„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუდუნებ" – ვაჟა

განმანათლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2015 წ. დეკემბერი * №47 * ფასი 1 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



გურჯაანის ყოვლაწმინდის ორგუმბათოვანი ტაძარი -VIII ს.

დავით ბეჟუაშვილი

ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა და დასავლეთი

გვ. 3-4

საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემების საწყისი მიზეზები და შედეგები...

გვ. 5

ოპერის მომღერლის საპრეზიდენტო ამბიციები...

ლეილა ცომაია

პოპულარული პერსონები, როგორც სოციალურმა ყოფამ წარმოაჩინა, მეტისმეტად ამბიციურები არიან და პოპულარობის რესურსს, მთელი ცხოვრების მანძილზე, სრულად იყენებენ და სიამოვნებითაც ირგებენ-კიდეც! ამ ნიშნით, განსაკუთრებული აქტივობით (მწერლებზე, მუსიკოსებზე და მხატვარ-მოქანდაკეებზე მეტად) გამოირჩევიან სცენის, კინოსა და სპორტის მოღვაწენი. ამადაც, ამ დარგში ყოფილ მოღვაწეთა სიმრავლე, არასოდეს აკლდა ჩვენს სახელისუფლო პოლიტიკურ სპექტრს და აკლია დღესაც (ვგონებ, სხვა ქვეყნებზე მეტად, ჭარბადაც!). პოპულარობის ხიბლში ჩავარდნილნი, ვერ ელევიან რა პატივსა და კეთილდღეობას, პროფესიულ სფეროში საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის ამოწურვის მიჯნაზე, თვითდაჯერებულად მიაშურებენ ხოლმე პოლიტიკას და ბიზნესს ;

61 წლის პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური ამბიციაც, უთუოდ ამ ფაქტორით ჩანს განპირობებული, მაგრამ უმაღლეს სახელისუფლო პოსტზე მისი განაცხადი ერთობ ყურისმომჭრელად ჟღერს და ვისიმე მარიონეტობის და პასუხისმგებლობისგან სტერილური პირის შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, გია ხუხაშვილის თქმით, 2012 წელს პაატა ბურჭულაძეს მათ შესთავაზეს პრეზიდენტობა ბიძინა ივანიშვილის პრემიერობით, მაგრამ ვერ გარისკაო; არ არის გამორიცხული, რომ სწორედ იმ შეთავაზებამ მაპროვოცირებელი მუხტი შესძინა მას შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებში. მანამდე კი, სახელმწიფო საქართველო, ხუთი წლით ნამდვილად გადაურჩა ოპერის მომღერლის პრეზიდენტობას, რომლის ბანი ნამდვილად ვერაფერში წაადგება სახელმწიფოს მართვის ურთულეს პოლიტიკურ და სამხედრო ტექნოლოგიებს.

2017 წლის საპრეზიდენტო არ-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

ჩვენებში ჩვენ, მეორე სცენის მოღვაწის, საბჭოთა პერიოდის ანსამბლ „მზიურის“ მესალამურე ნიკო ნადირაშვილის კანდიდატურაც გველოდება, რომელიც „ზვიადისტური“ ელექტორატის მიმხრობას ცდილობს ეროვნული ხელისუფლებისდროინდელი კონსტიტუციის აღდგენის მოთხოვნით, თუმცა წლების წინ, ბატონი ნადირაშვილი ნეგატიურად იყო განწყობილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკის მიმართ და სოციალურ ქსელში მასზე კრიტიკულ სტატუსებს დებდა, ჩემმიერი პოლემიკის გამო კი შემინწყვიტა ვირტუალური მეგობრობა. ნადირაშვილზე წერას აღარ გავაგრძელებ, რადგან მის პიროვნებაზე ამავე ნომერში დაბეჭდილია სტატია სათაურით „პატარა კაცის დიდი ამბიცია!“ (იხ. გვ. 16) და იქ გაეცნობით.

თუ საქართველოს მოსახლეობა 2016-17 წლებშიც 2012-15 წლების პრაქტიკით, ანუ ექსპერიმენტით გააგრძელებს სვლას, როდესაც ხელისუფლების მართვა მიანდეს პოლიტიკური ცოდნის, გამოცდილებისა და მოღვაწეობის სრულიად არმქონე პიროვნებებს, ბანკირებს (ივანიშვილ-ღარიბაშვილ-ჯავახიშვილს...), მომავალშიც მივიღებთ ისეთ სტაგნაციას და რეგრესს ყველა სფეროში, როგორიც დღევანდელ რეალობაში გვაქვს.

მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატის პაატა ბურჭულაძის მიერ დაფუძნებული „საქართველოს განვითარების ფონდის“ მოიმედე, აწ-უკვე ალბათ აღარ გახდება საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ეს-ესაა, უფრო რეალური, ფინანსური კაპიტალისტ მაგნატისაგან, სრული ოთხი წლის განმავლობაში მწარედ განწილდა. პაატა ბურჭულაძე კი დღეს, ჩვეულებრივი (ტიპიური) ანტრეპრენიორ-მენეჯერია, რომელიც იღვწის ფინანსების მოსაზიდად აწ-უკვე საკუთარ პოლიტიკურ კარიერაში დასაბანდებლად. მისი ე.წ. საქართველოს განვითარების ფონდის ფუნქცია და დანიშნულება კი, ამ მიზნსწრაფვის - 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისთანავე ამოიწურება. მართალია, ბატონი ბურჭულაძე იფიცება, რომ ამ ფონდში არ იქნება რუსული ფული, მაგრამ არც იმას გვიმხელს, თუ ვინ იქნებიან მისი დამფინანსებლები. რუსეთის მიმართ კი მისი ლოიალური დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა დაფარული; მას ეკუთვნის სიტყვები: „მთელ მსოფლიოში მიცნობენ, როგორც რუს ბანს და მე ვამაყობ ამით.“ ისიც ცნობილია, რომ პაატა ბურჭულაძე, აგვისტოს ომის წლისთავზე პუტინისთვის კრემლში სამღერად გაემგზავრა, რასაც ჩვენი მწვავე რეპლიკა მოჰყვა (იხ. გაზ.„განმათავისუფლებელი“, 2009 წ. N22, გვ. 5). „თუ ეს იქნება მეგრელი ხალხის ნება და სურვილი, ღვთისმშობლის წმინდა სამოსელი, მხოლოდ ერთი ღამით დაბრძანებული იქნება მახათას მთაზე“, – განაცხადა მსოფლიო (უფრო სწორად, რუსულმა) ბანმა პაატა ბურჭულაძემ 2015 წლის 7 აგვისტოს სამეგრელოში სტუმრობისას. „მეგრელ ხალხზე“ აპელირება კი საპრეზიდენტო კანდიდატის ბურჭულაძის მხრიდან სხვა არაფერი იყო რა, გარდა რუსეთის რეგიონალურ სტრატეგიულ ზრახვებზე წყლის დასხმა. ხოლო, საქართველოს ტერიტორიების დაკარგვაში, ბურჭულაძე, საქართველოს ხელისუფლებებსაც ადანაშაულებს.

ფონდი „საქართველოს განვითარებისთვის“ პაატა ბურჭულაძემ, ნაციონალ მიხეილ მაჭავარიანის ძმასთან, ვანო მაჭავარიანთან ერთად დაარსა. ვანო მაჭავარიანი კი, თავისი ძმის, მიხეილ მაჭავარიანის მსგავსად, პროდასავლური ორიენტაციისაა, რასაც ასე თამამად და ცალსახად ვერ ვიტყვით თავად პაატა ბურჭულაძეზე.

საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ ოპერის მომღერალმა ბურჭულაძემ, 2004 წელს პრეზიდენტ სააკაშვილის პატრონაჟით შექმნა, რომლისგანაც მას მინიჭებული ჰქონდა სრული ხელშეწყობა და ექსკლუზიური უფლება, ფართო და უსაზღვრო სამოქმედო ასპარეზი უმსხვილესი ტელეკომპანია „რუსთავი 2“- ის საინფორმაციო უზრუნველყოფით, რითაც მსხვილი ფინანსები და საერთაშორისო ავტორიტეტიც შესძინა მას. ხოლო საქართველოში კი, ლამის „ერის მზრუნველ მამად“ აქცია იგი ესოდენ საჭირო და აქტუალური საქველმოქმედო საქმიანობით. ამ მხრივ კი ნამდვილად დაჩრდილა, ათწლეულების მანძილზე, საქველმოქმედო ბანკ „ქართუს“ ფინანსური „მამა“ ბიძინა ივანიშვილი, რომელიც სოლიდურ ქველმოქმედებას, არცთუ მთლად გაჭირვებული და პატრიოტი ფენის - „წითელი ინტელგენციის“ მიმართ ეწეოდა და ეწევა დღესაც, ხოლო ბურჭულაძე კი მრავალშვილიან ღარიბ და უპოვართა პატრონად მოევლინა ერს.

როგორც სჩანს, პრაგმატულად მოაზროვნე ივანიშვილი, ბურჭულაძის ამ ბრწყინვალე ავტორიტეტის გამოყენებას შეეცადა 2012 წელს, როდესაც მას პრეზიდენტობა შესთავაზა და თანხმობის შემთხვევაში, შესაძლოა თავადაც დარჩენილიყო პრემიერ-მინისტრის მაღალ თანამდებობაზე რამდენიმე წლით მაინც!

მაშ ასე, ქველმოქმედების პოლიტიკურ ტრამპლინად ქცევის შესაძლებლობის უხერხული მაგალითები უკვე გვაქვს და რომ ამისათვის სულაც არ არის საჭირო ეკლიანი გზების გამოვლა, თავგანწირული ბრძოლები უსასტიკეს რეჟიმებთან, ციხეებში გვემა, რეპრესიები და საკუთარი ოჯახების „ჯვარცმა“ და არცთუ შესაბამისი წიგნიერება, ცოდნა და განათლება. არც მადლიერებისა და პატივისცემის გამოხატვა სახელმწიფოებრიობისათვის შეწირული იმ გმირი და უანგარო მამულიშვილებისადმი, რომლებმაც საკუთარი მოწამოებრივი სიცოცხლის ფასად ტეხეს ყამირი.

პრეზიდენტის ინსტიტუტი, საქართველოში, ისტორიულად ზვიად გამსახურდიას საკანონმდებლო მონაპოვარია და მისი ყოველმხრივი პროფანაცია სახელმწიფოებრიობის დასუსტებისკენ მიზანმიმართული ქმედება და დანაშაულია!

რა სიკეთეებს უნდა მოელოდეს ქართველი ერი პაატა ბურჭულაძისაგან? რა მაცთუნებელი დაპირებებით შენიღბავს იგი თავის კარიერისტულ ჟინს? მომავალი წლიდან მას გააქტიურება მოუწევს და ალბათ კოალიციური ოცნების აქტიურ ოპოზიციად მოგვევლინება და იქნებ გულწრფელადაც, რადგან იგი „ნაციონალების“ პროექტი უფრო შეიძლება იყოს, ვიდრე ივანიშვილისა. „ნაციონალებმა“ აქციეს ბურჭულაძე ქველმოქმედ ფიგურად, რამაც მას უფრო მეტი პოპულარობა

და ქარიზმა მოუპოვა, ვიდრე ოპერის მომღერლობამ, თუმცა, ხელოვნების ამ დარგშიც იგი ნამდვილად იყო დიდი!

პოსტ-ზვიადისტურმა მარიონეტულმა რეზიდენტ-პრეზიდენტებმა საქართველო ჯიჯგნეს და უმოწყალოდ წიხლეს ქართველი ერიც. ტერიტორიულად და ეთნიურად დამცრობილ ჩვენს ქვეყანას თვითგადარჩენის რეფლექსიც კი აღარ შერჩენია, ლამის. ფერად-ფერადი ეშმაკუნები სულსაც კი გვიწიაწებენ და ფესვებს გვიშიშვლებენ, რომ მთლად მოვისრათ და მოვტიალდეთ. აგონიაშია მტერი, გასავათდა ჩვენთან ბრძოლაში და დიდად ვერაფერი დაგვაკლო მაინც!

ვერც დაგვაკლებენ, რამეთუ ამ ალმურადენილ ბრძოლებში ვიწრთობოდით და ვიწრთობით, სწორედ!

ფული, დიდძალი ფული, მილიონობით დოლარები სჭირდება დღეს პოლიტიკაში მოსვლას პრეზიდენტად და პარლამენტში, ე.ი. არჩევნებში გამარჯვებას. გარდა კანონით დადგენილი ფინანსებისა, რომელსაც სახელმწიფო გასცემს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალებზე, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში ბევრად უფრო მეტი ფულის მასა იხარჯება მარცხენა ხელით, მიუხედავად აკრძალვებისა და ეს დაუწერელი ნორმა ყველამ ვიცით და მის მოქმედებაზეც უსიტყვოდ ვთანხმდებით. ფულის ამგვარ ბრუნვას თავისი სახელიც კი აქვს ჩვენში „საარჩევნო ბიზნესი,“ რომლის ნაწილითაც საარჩევნო კამპანიაში ჩართული აქტივისტებიც ხეირობენ.

დღეს ცხადია, რომ 90-იანი წლების დარად, იდეის, პოლიტიკური მრწამსისა და ცარიელი ენთუზიაზმის თვითკმარი ნებით აღარავინ იღვწის. ამიტომაც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალები „ხალხის მსახურების“ ნაცვლად, მთელი სახელისუფლო ვადით მოცულნი არიან არჩევნებში დახარჯული ფულის ამოგების და ჭარბი სიმდიდრის მოხვეჭის ფიქრით. შევარდნაძის პერიოდიდან დღემდე ამგვარი ხარბი ხელისუფლებების შემყურე ელექტორატის თვალში მთავრობისა და პარლამენტის ავტორიტეტი საგრძნობლად დაეცა და ჩამოყალიბდა უიმედო განწყობა ყოველი ახალი ხელისუფლებისადმი, რამაც შვა ინდიფერენტიზმი თავად არჩევნების, როგორც საკონსტიტუციო ნორმის მიმართ.

არსებული კოალიციური ხელისუფლება, ორი ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულმა ამგვარმა კრიზისმა აიძულა დაეწყო ფიქრი არჩევნებში მოქალაქის მისვლის „იძულებითი“ საკანონმდებლო ნორმის შემოღებაზე რიგი ქვეყნების გამოცდილების მსგავსად, რასაც ალბათ მომავალი წლის პარლამენტის სესიაზე უნდა ველოდოთ. ეს ბერკეტი უთუოდ იმოქმედებს ამომრჩეველის აქტივობაზე და ეფექტურად აისახება კიდეც საარჩევნო უბნებზე ხალხის თვალშისაცემი სიმრავლით, მაგრამ „ბიულეტენებში“ პროცენტულად მაღალ, ანუ იდენტურ მაჩვენებელს ნამდვილად არ უნდა ელოდეს არცერთი დღემდე მეტ-ნაკლებად ცნობილი კანდიდატი. უფრო მოსალოდნელია რომ, ამგვარი იძულება კოლოსალურად გაზრდის „უვარგისი ბიულეტენების“ რაოდენობას კანდიდატების ერთიანად გადახაზვის და ბიულეტენებზე შეურაცხმყოფელი წარწერების პრაქტიკით.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარმა არჩევნებმა საქართველოში, დღეისათვის სრული დისკრედიტაცია განიცადა და ეს ლეგიტიმური ბაზა მომაკვდავ მდგომარეობაშია, რაზეც პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება 90-იანი წლების შემდგომ მოსულ ყველა ხელისუფლებას. ამიტომაც საჭირო და აუცილებელია არსებულმა კოალიციურმა ხელისუფლებამ ამ მდგომარეობის გაჯანსაღებაზე იფიქროს და არა არაფრისმომცემ იძულებით ღონისძიებებზე, ანუ ხალხს დაუბრუნოს რწმენა და იმედი.

სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევრობის დაძლევა, ღირსეული პენსია და სოციალური დახმარებები უმუშევრებს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის რეალური ნაბიჯების გადადგმა, ერის გამრავლებისა და მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის და სოფლების აღორძინების პროგრამა, საბანკო პოლიტიკის ლიბერალიზაცია ხალხისთვის ხელმისაწვდომი ფულად-საკრედიტო რეფორმით და რაც მთავარია, სამართლიანი არჩევნები!

საჭიროა ქვეყანაში უსწრაფესად გახორციელდეს საყოველთაო „შოკური თერაპიის“ რეფორმა და იგი მტკივნეული იყოს არა ხალხისთვის, არამედ სწორედ ხელისუფლებისთვის, რათა მოხდეს ხელისუფლების, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის რეანიმაცია.

ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკა და დასავლეთი

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მმართველობის ერთ-ერთ სუსტ მხარედ ოპოზიცია თვლიდა საგარეო პოლიტიკურ კურსს. უმეტესობას მიაჩნდა, რომ სწორედ ამ სფეროში დაშვებულმა შეცდომებმა მიიყვანა ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციამდე.

იმისათვის, რომ ნათელი მოვფინოთ ამ საკითხს, საჭიროა განვიხილოთ 1980-1990-იან წლებში მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკური - ეკონომიკური მოვლენები და ამის ფონზე შევაფასოთ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური კურსი.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში, კონკრეტულად 1991 წელს, ევროპასა და აზიაში შეიქმნა 23 ახალი სახელმწიფო, რომელთა ნაწილი, ან ძალიან დიდი ხნის წინ არსებობდა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ან არასდროს ყოფილა წარმოდგენილი. ეს პროცესი დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლასთან. 1991 წლისათვის ჩვენ მივიღეთ თითქმის დამოუკიდებელი ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. ის რესპუბლიკები კი, რომლებმაც დამოუკიდებლობა 1918-20/21 წლებში მოიპოვეს და შემდეგ სსრკ-მ მოახდინა მათი ანექსირება, კვლავ გამოჩნდნენ მსოფლიო ასპარეზზე. ასეთთა რიცხვში შედიოდა საქართველო და მათ შორის აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი და ბელორუსია. შუა საუკუნეებში ფეოდალური სამთავროს სახით არსებული მოლდოვაც (მაშინდელი ბესარაბია) რესპუბლიკად მოგვევლინა. ასევე გაჩნდნენ საბჭოთა კავშირში აღმოცენებული სახელმწიფოები: ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, რომელთა საზღვრები სწორედ ტოტალიტარული იმპერიის წიაღში მოიხაზა. 1990 წელს ევროპაში გაქრა პოლიტიკური ერთეული-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ის საკუთარი ხალხის ნებით შეუერთდა ძირითად გერმანულ სახელმწიფოს - გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ამ მოვლენამ გააერთიანა ორად გაყოფილი ბერლინი და მას გერმანიის დედაქალაქის სტატუსიც დაუბრუნა.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუა პერიოდში ნავთობის ფასების მასშტაბური ვარდნის დროს შესამჩნევი იყო საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი. იგი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. შესაბამისად, კიდევ უფრო აგრესიულ პოლიტიკას ატარებდა შიდა საქმეებში - ვგულისხმობთ, რადიკალურ ნაბიჯებს, რომლებიც გადაიდგა დაქვემდებარებულ რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობების ჩასახშობად (თბილისის 1989 წლის 9აპრილი, ბაქო 1990 წ. 20 იანვარი). დიპლომატიური მოქნილობა და ალღო იყო საჭირო, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე მყოფი ქვეყნები იმპერიის ნანგრევებში არ აღმოჩენილიყვნენ, რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა მოახერხეს.

ყველა ეს რესპუბლიკა, რომელიც მზად იყო აღდგომოდა სსრკ-ს იმპერიალისტურ მიზნებს, ხვდებოდა, რომ დახმარების იმედი მხოლოდ დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა. თანაც, როგორც ვიცით, ცივი ომის შედეგად მსოფლიოში ძალთა გადანაწილებისათვის იბრძოდა აშშ და სსრკ. ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ სოციალური ბანაკის დაშლა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მთავარ, უპირველეს ინტერესს წარმოადგენდა და, რა თქმა უნდა, მთლიანად დასავლეთი, მათ შორის ცენტრალური ევროპის მოწინავე ქვეყნებიც, ახლად წარმოქნილი რესპუბლიკების გვერდით დადგებოდნენ. ამ მოვლენებს ადექვატურად თუ არაადექვატურად აკვირდებოდნენ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობაში და იმას ხვდებოდნენ, რომ დასავლეთი სერიოზულ პოლიტიკურ ინტერესს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკებისადმი ოფიციალურად არ ამჟღავნებდა. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იკავებდნენ პირდაპირი მხარდაჭერისგან. ამ აზრს ამყარებს თუნდაც 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიისადმი მათი დამოკიდებულება. არცერთი დასავლური სახელმწიფოს მეთაური არ გამოსულა და ოფიციალურად არ დაუგმია სსრკ-ს ხელისუფლების ქმედება, არ გაუკეთებია არანაირი კომენტარი.

სამაგიეროდ 9 აპრილის მოვლენებს სენატორმა ჰელსმა, აშშ-ს სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა, არა მარტო პოლიტიკური შეფასება მისცა, არამედ მოითხოვა საბჭოთა კავშირის იზოლაცია, რათა ამით ხელი შეეწყოთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

ეს იყო აშშ-ს რეზოლუცია N:110. იგი გამოხატავდა საქართველოსადმი ინტერესს და ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერის ხარისხს. რეზოლუცია 19 აპრილს გამოქვეყნდა აშშ-ს მთავრობის ბიულეტენში „Congressman Record“, საიდანაც ქართულ პრესაში გადმოიბეჭდა.

რეზოლუცია ოფიციალური დოკუმენტი გახლდათ, რომელიც მაშინდელ საერთაშორისო რეალობის გათვალისწინებით თავს იკავებდა მკვეთრი მხარდაჭერისგან. უფრო კერძოდ კი, რეზოლუცია დაადგენდა, რომ სენატი:

1) მხარს უჭერდა ქართველი ხალხის ბრძოლას, მის მოთხოვნებსა და დემოსტრაციებს, საკუთარ მიწა-წყალზე ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

2) მხარს უჭერდა ქართველი ხალხის ბრძოლას თვითგამორკვევისათვის; შესაბამისად ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი აქტისა, რომელზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც.

3) მხარს უჭერდა ქართველი ხალხის ბრძოლას ადამიანის უფლებებისთვის, რომელიც გარანტირებულია ვენის 1950 წლის ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რაზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც.

4) მოუწოდებს საბჭოთა მთავრობას ყურად იღოს ქართველის ხალხის ხმა - დააკმაყოფილოს ქართველი ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებათა კანონიერი მოთხოვნები.

რეზოლუციის პროექტი სენატს წარუდგინა სენატორმა ჰელსმა 9 აპრილიდან რამდენიმე დღის შემდეგ. სამწუხაროდ, ამ ფაქტს გამოხმაურება არ მოჰყოლია. მას მხოლოდ მორალური მხარდაჭერის მნიშვნელობა თუ ჰქონდა, რადგან არ ასახავდა შეერთებული შტატების ოფიციალურ კურსს.

ფაქტიურად ანალოგიური მდგომარეობა გრძელდებოდა 1990 წლის მეორე ნახევარში, როცა საქართველოში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა. ამგვარ ფონზე კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თვით ახალი ხელისუფლების პოზიციას, მის საგარეო ორიენტაციას და საგარეო კურსს. ამის გამორკვევა კიდევ უფრო საინტერესო იმიტომაა, რომ ხელისუფლების ოპონენტები ბრალს სდებენ მას არასწორი საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებასა და ქვეყნის იზოლაციაში მოქცევაში.

იმისთვის, რომ გავარკვიოთ თუ რა საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას იზიარებდა ქვეყნის ახალი ხელისუფლება, საჭიროა გადავხედოთ მათ მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებს. ასეთი დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს განვითარების გეგმას, იყო საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა. ერთ-ერთი ამონარიდი პლატფორმიდან: „ამიტომ დღეს საქართველოს თუკი ამოუდგება ვინმე გვერდში აღმოსავლეთის ქვეყნებთან კონფლიქტის შემთხვევაში, ასევე როგორც რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, ეს გვერდში მდგომი იქნება მხოლოდ მსოფლიო საზოგადოება და დასავლეთის სამყარო, რომელსაც საქართველო შავი ზღვით ბულგარეთისა და რუმინეთის გავლით დაუკავშირდება“.

ოპონენტებს შეეძლოთ გაეკრიტიკებინათ მრგვალი მაგიდის ბლოკი იმის გამო, რომ ხელისუფლების პლატფორმაში ისე ღიად და გარკვევით არ იყო საუბარი დასავლურ ორიენტაციაზე, როგორც მაგალითად, სახალხო ფრონტის საარჩევნო პლატფორმაში. თუმცა საკითხავია ეს კრიტიკა რამდენად ჯანსაღი იქნებოდა? რომელი პარტიის ხედვა უფრო სწორი იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მხრივ, ან რომლის პლატფორმა უფრო რეალისტური გახლდათ იმდროისათვის, 1990 წლის შემოდგომისთვის? იმისთვის, რომ ამ კითხვებს გავცეთ პასუხები მოვლენები მსოფლიო ასპექტში უნდა განვიხილოთ.

მიუხედავად იმისა, რომ მალტაში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრა ბუშსა და გორბაჩოვს შორის წარმატებით დასრულდა, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა იმ არაჩვეულებრივ მიღწევას, რომელიც მოხდა აშშ-სა და სსრკ-ს შორის ურთიერთობაში 1990 წელს. იანვარში წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც ქვეყნის მდგომარეობას ეხებოდა, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, შეემცირებინა ევროპაში განლაგებული აშშ-ს ჯარები 19000-მდე. თებერვალში ბუშის ადმინისტრაციამ ჩაატარა საბჭოთა კავშირთან დისკუსიები შეიარაღების კონტროლის თაობაზე, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანებაზე. შვიდი თვის შემდეგ მრავალი ორმხრივი დისკუსიის შედეგად საბჭოთა კავშირმა უარი თქვა თავის ომისდროინდელ უფლებებზე და აღიარა გაერთიანებული გერმანია NATO-ს სრულუფლებიანი წევრის სტატუსით. საბოლოო ხელშეკრულებას გერმანიის საკითხთან დაკავშირებით ხელი მოეწერა მოსკოვში, 12 სექტემბერს. 19 ნოემბერს ბუშმა და სხვა 21 ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერეს ყველაზე ამბიციურ და რთულ შეთანხმებას განიარაღების საკითხზე. იგი შეეხებოდა ათასობით ტანკის, თვითმფრინავის და საარტილერიო დანადგარის შემცირებას, რომელიც განალაგებული იყო NATO-სა და ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ქვეყნების მიერ.

აი, ამგვარ პირობებში, როდესაც ორი დაპირისპირებული ზესახელმწიფოს ურთიერთობის დათმობა მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად ქცეულიყო, მრგვალი მაგიდის საგარეო პოლიტიკური კურსი, სავსებით რეალისტურად მიმაჩნია. საქართველოს ხელისუფლებას ესმოდა, რომ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ანგარიში უნდა გაეწია დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკურ სისტემათა დაახლოებისთვის. მრგვალი მაგიდის წევრები გეოპოლიტიკური მოვლენების საღ ანალიზზე დაყრდნობით მოქმედებდნენ. ისინი სახალხო ფრონტელებისგან განსხვავებით ლამაზ, თუმცა არაობიექტურ დაპირებებს არ იძლეოდნენ და ხალხს ცრუ იმედებს არ უსახავდნენ.

დასავლეთის დამოკიდებულება ფაქტიურად ანალოგიური დარჩა 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც და არაა გასაკვირი, რომ საქართველოს ხელისუფლების პოზიციაც ფრთხილ ნოტაზე შენარჩუნდა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა ოფიციალურ ტექსტებში, გამოსვლებსა თუ დოკუმენტებში ხშირი იყო ტერმინი „მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები“. ასეთი ფორმის მიმართვის დროს ისინი, რა თქმა უნდა, დასავლეთს გულისხმობდნენ, მაგრამ არ გამოყოფდნენ და მოიხსენიებდნენ უშუალოდ აშშ-ს. ამის ერთადერთი ახსნა ისაა, რომ არ სურდათ ორ სამყაროს შორის დაპირისპირებისთვის შეეწყოთ ხელი. ხელისუფლების წარმომადგენლები ერიდებოდნენ დასავლეთის ქვეყნებისთვის მხარდამჭერები ან მოკავშირე სახელმწიფოები ეწოდებინათ. ეს კი საგარეო პოლიტიკის საკმაოდ რეალისტური შეფასება იყო.

საქართველოთი აშშ პირველად 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დროს დაინტერესდა. ჯორჯ ბუშმა არაოფიციალური ვიზიტით, ჩვენს ქვეყანაში მოავლინა აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. ვინაიდან ვიზიტი არ იყო ოფიციალური, იგი ვერ განიხილება სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე; თუმცა თვითონ ვიზიტი კი ამერიკის გაზრდილ ინტერესს მოწმობდა და შეიძლებოდა ურთიერთობის გარკვეული საფუძვლის მომზადებად განხილულიყო. ამასთანავე მას სხვა დატვირთვაც ჰქონდა. კერძოდ, მოსკოვში გამგზავრების წინ ნიქსონმა თბილისში რამდენიმე საარჩევნო უბანი დაათვალიერა და რეფერენდუმის პროცესებს გაეცნო. ამით აშშ მოსკოვს აგრძნობინებდა, რომ იგი პატივს სცემდა საქართველოს მოსახლეობის გადაწყვეტილებას დამოუკიდებლობის შესახებ. ამასთანავე ნიქსონის საარჩევნო უბნების შემოვლა, თვალყურისდევნება სსრკ-ს ლიდერებს არ მისცემდათ შესაძლებლობას, რომ ამ რეფერენდუმზე ყალბი ცნობები გაევრცელებინათ. ეს თუ მაინც ასე მოხდებოდა, ფაქტობრივად, აშშ-ს კომპეტენციურობაში ეჭვის შეტანის და მისი უგულებელყოფის ნიშანი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, ამ არაოფიციალურ ვიზიტს საკმაოდ დიდი დატვირთვა ჰქონდა. თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი სერიოზული ნაბიჯი ამერიკამ გადმოდგა და საქართველო თავის ინტერესთა არეალში მოაქცია. ამან კი თავის მხრივ შეაგულიანა ქართველი ხელისუფლების წევრები, თვით ზვიად გამსახურდიაც, და უფრო ხშირად იწყებენ დასავლეთის ხსენებას თავიანთ გამოსვლებში, თუ ოფიციალურ დოკუმენტებში.

ამერიკის ჩვენს მიმართ დადებით განწყობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ყოფილი პრეზიდენტის ვიზიტის დროს გამსახურდიასა და აშშ-ს პრეზიდენტის შესაძლო შეხვედრის დეტალები იქნა განხილული. რაზეც ხშირად საუბრობდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ინტერვიუების დროს. ამით, რა თქმა უნდა, თვითონაც გამოხატავდა ამერიკისა და დასავლეთისადმი ურთიერთობის რეალურ სურვილებს, იმედებს. ამას მოწმობს ისიც, რომ ერთ-ერთ თურქ სტუმარს ყურადღება მიუქცევია თბილისის ქუჩებში მომრავლებული ამერიკის დროშებისთვის. ზვიად გამსახურდიას კი თურქ კორესპონდენტისათვის უთქვამს, სწორედ იმ დღეებში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საქართველოს პრეზიდენტის ვაშინგტონში ჯორჯ ბუშთან შეხვედრის შესახებ. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმის, რომ ქართული ხელისუფლების ლიდერები აშშ-სთან ურთიერთობის აშკარა მზადყოფნას აცხადებდნენ.

ალბათ, საინტერესოა, თუ როგორ ესმოდა ზვიად გამსახურდიას „დასავლური ორიენტაცია“. იმისათვის, რომ ჩვენ ეს გავიგოთ უნდა მოვიხმოთ „ღია წერილი საქართველოს ტელევიზიისადმი“, რომელიც მან 1992 წლის მაისში უკვე დევნილობის პერიოდში ჩამოაყალიბა. ამონარიდი ამ წერილიდან: „ზოგიერთს დასავლური ორიენტაცია ჰგონია სადისტური ფილმების კულტი, ან თუნდაც დასავლეთის წინაშე ხელგაშვერილი დგომა უცხოური კრედიტების მოლოდინში, საეჭვო გარიგებები პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, მათი მოწვევა ჩვენს სამშობლოში, საქართველოს ბუნებრივ წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, საწარმო ობიექტების მიყიდვა

გაგრძელება გვ. 4

დასაწყისი გვ. 3

დასავლეთისთვის და სხვა. „აი ასეთ „დასავლურ“ ორიენტაციას ვგმობ“, დაასკვნიდა დევნილობაში მყოფი ზვიად გამსახურდია. დასავლეთის ცივილიზაცია, ხელოვნება, ფილოსოფია, პოლიტიკური ნააზრევი, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის. ჩვენი თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ“.

ეს გახლდათ ზვიად გამსახურდიას ზოგადი ხედვა და მისი ორიენტაცია დასავლეთის ღირებულებებისადმი. უფრო მკვეთრი პოზიციის დაფიქსირება, როგორც საქართველოს ოფიციალურ პრეზიდენტს, არ შეეძლო. პირველ რიგში, ისევ და ისევ იმდროინდელი გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით და მეორე, რომ არ გაეღიზიანებინა მოსკოვი. ერთი სიტყვით, სსრკ-ს არ გაღიზიანებისგან თავს იკავებდა როგორც დასავლეთი, ასევე ყველა ურჩი რესპუბლიკა. იმიტომ, რომ მაშინდელ შექმნილ ვითარებას ასეთი ფრთხილი პოლიტიკა ესაჭიროებოდა. იმის თქმა კი, რა თქმა უნდა, აბსურდული იქნება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისმოყვარე ხელისუფლება ნაკლებად იყო დაპირისპირებული რუსეთთან და გარკვევით არ გამოხატავდა თავის პოზიციას სსრკ-ს ლიდერებთან საუბრისას, თუ თავიანთ გამოსვლებში. ამას მოწმობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა რუსეთის პრეზიდენტ ბატონ ბორის ელცინისადმი 1991 წლის 14 სექტემბერს. „საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებსა და შესაძლებლობების კვალობაზე გავლენა მოახდინოთ ანტიქართულ ძალებზე, რომლებიც ცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ ჩვენსა და დემოკრატიულ რუსეთს შორის...

ბატონო პრეზიდენტო!

თქვენ იცნობთ ჩვენს პოზიციას, ჩვენ ერთმორწმუნე რუსეთთან ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მომხრენი ვართ. ხელშეკრულება ჩვენს ქვეყნებს შორის- სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის საფუძვლების შესახებ- ხელმოსაწერად მზად არის, მოხარული ვიქნები მივიღოთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უახლოეს დღეებში.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ,რომ პატივს გცემთ პირადად თქვენ და რუსეთის ხელმძღვანელობას“.

ამ მიმართვაში კარგად ჩანს, თუ როგორ ფრთხილად ცდილობს სათქმელის გამოხატვას ზვიად გამსახურდია, ისე რომ ხაზი გაესვას საქართველოს დამოუკიდებლობას და რუსეთიც კიდევ უფრო მეტად არ გააღიზიანოს. თანაც ნათლად ჩანს, რომ სწორი საგარეო პოლიტიკის წარმართვას, კეთილმეზობლურ ურთიერთობის პერსპექტივას უსვამს ხაზს, თან ამ ორი სახელმწიფოს სსრკ-სა და საქართველოს ერთმორწმუნეობის აზრს გამოხატავს.

ამაზე უფრო მკვეთრი განცხადებები, რა თქმა უნდა, კრემლს გამოიყვანდა მდგომარეობიდან და არ იქნებოდა გამორიცხული ღია რეპრესიებისთვის მიემართა საქართველოს მიმართ. სწორედ ეს ესმოდათ კარგად საქართველოს ხელისუფლებაში, რომ საჭირო იყო ლოდინი, დაცდა და ყველა მიზანი განხორციელდებოდა. ასეთ შინაარსის სიტყვებს ისმენდნენ ისინი დასავლეთის ლიდერებისგან. მაგალითად, როდესაც ზვიად გამსახურდია მოსკოვში თენგიზ სიგუასთან ერთად იმყოფებოდა, ჯეიმს ბეიკერს, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, უთქვამს, რომ „დაგეხმარებით, საბჭოთა კავშირი დაშლის პირასაა, ოღონდ ნუ იჩქარებთ“.

იგივეს მოწმობს 1991 წლის აპრილში, საფრანგეთში სამდღიანი ვიზიტიდან დაბრუნებული გ. ხოშტარიას განცხადება: „ არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დასავლეთი, თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, უფრთხის საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების დაჩქარებას. მას აშინებს იმ ძვრების მასშტაბი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამხელა სახელმწიფოს დაშლამ. ამიტომ არიდებს თავს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეებში ჩარევას და იმ საბაბით, რომ უპირატესობას რეფორმატულ გზას ანიჭებს, მხარს უჭერს გორბაჩოვის ოფიციალურ პოლიტიკას. ასეთია ევროპის ოფიციალური კურსი“.

მაშინდელი ოპოზიცია და ოპონენტები ირწმუნებოდნენ და, ალბათ, არც დღეს შეუცვლიათ აზრი, რომ გამსახურდიას ხელისუფლება ატარებდა მცდარ კურსს დასავლეთის მიმართ, რომ იგი შეგნებულად ახორციელებდა იზოლაციანისტურ პოლიტიკას. ფიქრობდნენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი გარემომცველმა ძალებმა აიძულეს დაპირისპირებოდა დასავლეთსაც და რუსეთსაც.



სხვა უამრავი ასეთი ბრალდებები არსებობდა და, ალბათ, კიდევ არსებობს, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ ეს ასე არაა! ეს ბრალდებები არ შეეფერება სიმართლეს! იმისათვის, რომ ნათელი მოვფინოთ საკითხს თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენებს.

არც ისაა მართალი, თითქოს გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები დასავლეთის ლიდერებს ლანძღავდნენ. ამგვარი ფაქტები ქართულ პოლიტიკურ რეალობაში 1991 წლის ივლისის ბოლომდე არ დასტურდება სათანადო ოფიციალურ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მასალებში; ხოლო რაც შეეხება ამერიკის და საქართველოს დამოკიდებულებას, იგი მართლაც შეიცვალა, გაუარესდა და უიმედო გახდა; თუმცა ეს არ უკავშირდება არანაირად გამსახურდიას პოლიტიკურ იმიჯს, ეს ცვლილება უფრო გამოწვეულია აშშ-სა და სსრკ-ს კიდევ ერთი შეთანხმებით.

1991 წლის 31 ივლისს შეერთებულმა შტატებმა მიაღწია შეიარაღების თაობაზე ყველაზე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან, როდესაც ბუშმა და გორბაჩოვმა მოსკოვში ხელი მოაწერეს დიდი ხნის მოლაპარაკების შედეგად „სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებას“. ამ შეთანხმების მიხედვით ორივე მხარის ბირთვული არსენალი მცირდებოდა 30-დან 40 პროცენტამდე, მაგრამ ეს შემცირებაც კი უმნიშვნელო გამოჩნდა პრეზიდენტ ბუშისა და ბორის ელცინის მიერ დადებული ხელშეკრულების შემდეგ, რომლის მიხედვითაც 2003 წლისთვის მთლიანად უნდა განადგურებულიყო „ქობინებიანი რაკეტები“. ორივე შეთანხმება ევროპაში დაახლოებით ორი მესამედით ამცირებდა ბირთვული იარაღის რაოდენობას 21000-დან 6000-7000 ცალამდე. ბირთვული იარაღის განადგურებამ და მუდმივმა შიშმა ატომური საფრთხის წინაშე შეაჩერა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ატომური კონფლიქტის საშიშროება.

ბუნებრივია, პირველი ხელშეკრულების ხელმოსაწერად, ასევე მეორე ხელშეკრულების სისრულეში მოსაყვანად, აუცილებელი იყო ამერიკის პრეზიდენტს კარგი ურთიერთობა ჰქონოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. თუ ჯორჯ ბუში ოფიციალურად დააფიქსირებდა თავის დადებით დამოკიდებულებას ურჩი რესპუბლიკებისადმი, რა თქმა უნდა, აზრი დაეკარგებოდა ხელშეკრულების სისრულეში მოყვანაზე ფიქრს და ყველა შეთანხმება ჩაიშლებოდა. ამიტომ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, სავსებით გასაგებია, რატომ მოიქცა პირიქით და მხარი რატომ დაუჭირა რუსეთის ახალი ფედერაციის შექმნის ინიციატივას, რასაც მოსკოვის ცენტრალური ხელისუფლება აპირებდა.

აი, ყოველივე ამას მოჰყვა ის ცნობილი ეპიზოდი, როცა 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე, ჯერ მოსკოში და მერე უკრაინაში ყოფნის დროს. ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, პირველმა გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიმართ. მან განაცხადა, რომ აშშ მხარს არ დაუჭერდა რესპუბლიკებს, რადგან ეს საბჭოთა კავშირის საშინაო საქმედ მიაჩნდა.

ამერიკის პრეზიდენტის პოზიცია შემაშფოთებელი იყო საქართველოსთვის, მისი ხელისუფლებისა და პრეზიდენტისთვის. ის, რომ აქამდე საქართველო განმარტოვებული იყო მსოფლიო თანამეგობრობისგან, ეს გასაგები გახლდათ. მარტოობის გარკვეული პერიოდი ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელია, რომელმაც ეს-ესაა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აღიარებას გარესამყაროსგან ელოდება. მაგრამ ამჯერად სულ სხვა ვითარებასთან გვქონდა საქმე, აშშ და მასთან ერთად დასავლეთი ოფიციალურად აცხადებდა, რომ იგი დამოუკიდებელ საქართველოს მხარს არ დაუჭერდა.

რით უნდა ეპასუხა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას მოულოდნელად შექმნილი ვითარებისთვის? ფაქტი ერთია, რომ საქართველოს და მისი მმართველობის საერთაშორისო იზოლირების პირველი პრეცენდენტი მომდინარეობდა აშშ-სგან და განპირობებული იყო იმჟამინდელი საერთაშორისო და გეოპოლიტიკური კონტექსტით. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერ პოზიტიურ თუ ნეგატიურ პოზიციას მეორადი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ მცდარია გამსახურდიას დადანაშაულება საქართველოს საერთაშორისო იზოლაციაში, ეს პროცესები მისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა და ასეთი პატარა ქვეყნის ვერცერთი ლიდერი მსოფლიო სახელმწიფოს ინტერესებს წინ ვერ აღუდგებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 1990 წლიდან მოყოლებული ერაყის ქუეიტში შეჭრით იყო დაინტერესებული, იმ შესაძლო საფრთხით, რომელიც მოელოდათ საუდის არაბეთსა და ყურეს სხვა პატარა სახელმწიფოებს. ინტერესი როგორც აშშ-სი ასევე დასავლეთის გამოწვეული იყო იმიტომ, რომ ერაყი საფრთხეს უქმნიდა ნავთობის ძირითად მომწოდებელს. ეს კონფლიქტი გამწვავდა. 1991 წლის 12 იანვარს გაეროს მიერ მიღებულ ვადაზე სამი დღით ადრე, კონგრესმა მიანიჭა პრეზიდენტ ბუშს ომის წარმოების უფლება. საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდა 1991 წლის ნოემბრამდე. იწვოდა უამრავი ნავთობის ჭაბურღილი.

ყურეს ომმა, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს საშუალება დაეყოლიებინა არაბული სახელმწიფოები, კერძოდ კი, ისრაელისა და პალესტინის დელეგატები, დაეწყოთ ერთმანეთთან პირდაპირი მოლაპარაკება რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. მოლაპარაკება დაიწყო მადრიდში, ესპანეთში, 1991 წლის 30 ოქტომბერს. ამ მოლაპარაკებებმა, თავის მხრივ, დასაბამი მისცეს საიდუმლო მოლაპარაკებებს ნორვეგიაში, რომელსაც მოჰყვა ისტორიული შეთანხმება ისრაელსა და პალესტინას შორის.

როგორც ვხედავთ, 1991 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ამერიკა უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, ვიდრე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოპოვებაა. მას საკუთარი მიზნები, ინტერესები აქვს, უფრო მნიშვნელოვანი, და ამიტომ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსი, თუ მისი მცდელობა დასავლეთთან კარგი ურთიერთობის დამყარების, უყურადღებოდ რჩება, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ განზრახ ტოვებს. ჯორჯ ბუშისთვის მთავარი ნავთობ მომწოდებლის მხარეში უსაფრთხოებაა. მისთვის ეს საკითხი უფრო მეტად პრიორიტეტულია, და ჩემი აზრით, ეს არცაა გასაკვირი. ამიტომ მცდარი შეხედულება იქნება თუ ამერიკის ჩვენს მიმართ უყურადღებობას და გულგრილობას ზვიად გამსახურდიას იმიჯს, ან საერთოდ მის პოლიტიკურ კურს დავაბრალებთ. კიდევ ერთხელ, მინდა ხაზი გავუსვა, რომ აშშ-ს ასეთი დამოკიდებულება საერთაშორისო მდგომარეობის შედეგი იყო.

როდესაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკაზე ვმსჯელობთ, გასათვალისწინებელია ის მდგომარეობა, რომ საქართველოს მესამე რესპუბლიკამ 1990-1992 წლებში, პრაქტიკულად, საბჭოთა წიაღში იარსება. როგორც აღვნიშნეთ სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დასავლეთის ლიდერები ვერ ახერხებდნენ საკუთარი პოზიციის მკაფიოდ დაფიქსირებას.

თუ საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციურ თეორიას დავეყრდნობით, ახლად წარმოშობილი სახელმწიფო, მხოლოდ მაშინ ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, როდესაც მას სცნობენ სხვა სახელმწიფოები. საქართველოს რესპუბლიკა 1990 წლის ოქტომბრიდან 1991 წლის დეკემბრამდე, ანუ საბჭოთა კავშირის ფორმალურ დაშლამდე, საერთაშორისო არენაზე არ უცვნიათ, თუ არ ჩავთვლით იმ დროს ჯერაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა (ესენი თვითონ არ იყვნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები) და, აგრეთვე, რუმინეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის აღიარებებს (რუმინეთმა ეს გააკეთა, რადგან პარალელურად მოლდავეთის დამოუკიდებლობასაც სცნობდა.) 1990-1991 წლებში საქართველო არ მიუღიათ არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

ამ არგუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ მხოლოდ ზვიად გამსახურდიას ან მისი მმართველი გუნდის სურვილი, ჰქონოდათ დასავლეთთან მეგობრული ურთიერთობა, სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებისგან მხარდაჭერა მიეღოთ, არ იყო საკმარისი. მეტიც, ეროვნული მოძრაობის ძალებს აღემატებოდა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობა. საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებს გარეთ ყოფნა, საქართველოს დამოუკიდებლობის არ ცნობა, ზვიად გამსახურდიას სუსტი ან ძლიერი, ან ნებისმიერი ხარისხის საგარეო პოლიტიკის შედეგი კი არაა, არამედ საერთაშორისო ურთიერთობისა და მაშინდელი მდგომარეობის შედეგია.

გიგი გივიშვილი,
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მეორე კურსის სტუდენტი

P.S.

90-იანი წლების დასაწყისი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია. ფაქტების შეფასებას დრო სჭირდება, რათა ობიექტური რეალობა კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდეს. ალბათ, ამიტომაცაა ამდენი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი, თუნდაც ზვიად გამსახურდიას საგარეო ორიენტაციის შესახებ.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ავტორის პირველ მცდელობას, შესაბამისად მოკლებულია საკითხის ღრმა გააზრებისა და მეცნიერული კვლევის შესაძლებლობას. ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ საგარეო პოლიტიკა ზოგადადაც იმდენად დიდი სფეროა, რომ სტატიის ფარგლებში ფუნდამენტური კვლევა წარმოუდგენელიცაა. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა, სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა, რათა მკითხველისთვის შედარებით გასაგები გავხადოთ იმდროინდელი გეოპოლიტიკური კონტექსტი.

მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ ლოგიკური კვლევის მეთოდი. დამუშავდა ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა ოფიციალური გამოსვლები და დოკუმენტები. საკითხის სწორად აღქმას ხელი შეუწყო ბ-ნ დიმიტრი შველიძის წიგნმა „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში“, შეიძლება ითქვას ჩვენ სრულად ვიზიარებთ მის შეფასებებს.

ვიმედოვნებთ, რომ 90-იანი წლების მეცნიერული კვლევა კიდევ უფრო წარმატებული იქნება სათანადო ფაქტობრივი გარემოებების შემდგომი აღმოჩენის შემთხვევაში (ავტ.).

საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემების საწყისი მიზეზები და შედეგები...

შევარდნაძის ,,მეორედ მოსვლის“ 12 წლიან ,,მოღვაწეობას“ უშედეგოდ არ ჩაუვლია: გაცოცხლდა მოღალატეთა სისხლ-ძარღვი, ისევ მოკალათდნენ მაღალ თანამდებობებზე ეროვნული ხელისუფლების მტრები, ენის მიტანა, ჩაშვება, მექრთამეობა და სამშობლოს ფარული გაყიდვა კვლავ მათ მთავარ საქმიანობად იქცა. საქართველო, 4 თუ 5 მილიარდი დოლარის ფასად, განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე სახელმწიფოდ აქციეს. და ეს ის საქართველო, რომელსაც უძველეს დროში ჰქონდა სასწავლო აკადემიები (მითრიდატეს, განათლება მიღებული აქვს ფაზისის აკადემიაში)... ამ 4 თუ 5 მილიარდით, საქართველოს გაუჩნდა პირველი საგარეო ვალი, რომელიც ავთვისებიან სიმსივნესავით იზრდება დღემდე...

1995-2000 წლებში, როცა მე ვმუშაობდი მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის სხვადასხვა უცხოელ ჯგუფებთან, საქართველოში ,,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“ ქართული მოდელის შექმნაზე (საბანკო ხაზით), მახსოვს, ყოველ ჩვენს კვალიფიციურ შეკითხვას თუ წინადადებას, გაოცებული კითხვითვე პასუხობდნენ: საიდან იცით ეს თქვენ?... ამას იმიტომ გვეკითხებოდნენ, რომ შევარდნაძის მიერ მონიჭებული სტატუსის თანახმად, უწიგნურები ვეგონეთ...

იმის გამო, რომ დღემდე განვითარებადი ქვეყნის სტატუსს ვატარებთ, ვინც კი ჩაიხედა ჩვენი განათლების საქმიანობაში, ვგულისხმობ მეგობარ სახელმწიფოებს, რომელთა გარეშე ჩვენს განვითარებას ,,მომავალი არა აქვს“, მიგვითითეს ისეთი სასწავლო გეგმებისა და მეთოდების შემოღებაზე, თითქოს ახლა ეყრება საფუძველი განათლების მიღებას ჩვენს ქვეყანაში, რომლის დანერგვის შედეგად გვაქვს დაბალი დონის საშუალო განათლების მიმცემი სკოლები, ასეთივე დაბალი განათლების მიმცემი უმაღლესი სასწავლებლები და გვყავს 25 და 28 წლის მეცნიერებათა დოქტორები. თავისთავად, არაფერია ცუდი იმაში, რომ 25 წლის ახალგაზრდა უკვე დოქტორია, მაგრამ როცა იგი ამას აღწევს განსაკუთრებული ნიჭისა და შრომის წყალობით და არა მხოლოდ გეგმური თეორიული საფეხურების გავლით (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი).

სამწუხაროა, რომ განათლების ხარისხი წლითი-წლობით სულ უფრო დაბალი ნიშნულისკენ მიექანება და არაფერი კეთდება, თუნდაც ადრე არსებულ დონემდე მისაღწევად. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008 წელს შეადგენდა 643 ათას სამასს, 2014 წელს კი-554ათასს, ანუ 89 ათასი მოზარდით ნაკლები იღებს საშუალო განათლებას, რაც კატასტროფაა, თუ ეს გამოწვეულია საშუალო განათლების მიღების სურვილის არ(ვერ)ქონით, მაგრამ მეორე უბედურებაა, თუ ასეთი კლება გამოწვეულია მოსახლეობის რაოდენობის თუ შვილის ყოლის მსურველ ოჯახთა რაოდენობის შემცირებით...

საქართველოში, მასობრივი და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების რიცხვი 2005 წელს შეადგენდა 2056 ერთეულს, 2014 წელს 824-ს, ხოლო წიგნადი ფონდი ამ წლებისთვის, შესაბამისად, შეადგენდა: 28 მილიონი 300 ათასს და 17 მილიონი 300ათასს.

ზემოდ აღვნიშნე და გავიმეორებ: საგარეო ვალს საფუძველი (როგორც დანარჩენ უბედურებებს) ჩაუყარა შევარდნაძემ, მაგრამ მის სისხლიან ნაკვალევზე მოსული დანარჩენი ფაქტობრივი ხელისუფლებები არ ჩამორჩნენ მას და საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, საგარეო ვალები, 2015 წლის იანვრის მონაცემებით შეადგენს 13,5 მლრდ დოლარს (25,1 მლრდ ლარი), თუ ამ ვალს გავყოფთ აღწერის მონაცემებით დადგენილ მოსახლეობის რაოდენობაზე (3.700.000), გამოდის, ერთ სულ მოსახლეზე ირიცხება 3.650 დოლარამდე ვალი. ვის, თუ რას მოხმარდა ამდენი თანხა წლების განმავლობაში? ან, როგორ გადაიხადოს ქართველმა ხალხმა ამდენი ვალი? რასაც ემატება მომსახურების თანხა (პროცენტები)?.. ამ კოლოსალური ვალების საპირისპიროდ, სულ უფრო უარესდება ადამიანთა ყოფა; შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი, საქსტატის მონაცემებით, 2015წლის იანვრის მონაცემებით შეადგენს 160,20 ლარს, შემდეგ თვეებში უფრო ნაკლებს და ოქტომბრის თვეში კვლავ გახდა 163,30 ლარი, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი უფრო ნაკლებია (ქალები, მოზარდები, მოხუცები და ა.შ).

სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (რეგისტრირებული სიღარიბე) 2007 წლის მონაცემებით შეადგენდა 6.4 %-ს და იმდენად ღატაკდება ხალხი, რომ 2014 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 11.6 %-მდე, აქვე, გასათვალისწინებელია, რომ რეალური სიღატაკე გაცილებით უფრო მეტ რიცხვს (პროცენტს) მოიცავს...

ასევე, საქსტატის მონაცემებით, საარსებო მინიმუმი ერთსულიანი ოჯახისთვის 2015 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით თვეებში მერყეევობს 155-163 ლარის ფარგლებში, ორსულიანი ოჯახებისა 227-231.5-მდე, სამსულიანი ოჯახების 255,4-260,4-მდე, ოთხსულიანებისა - 283.8-289.4-მდე, ხუთსულიანებისა - 319.30-325.5-მდე, ექვსსულიანებისა და მეტისთვის - 377.5-384.8 ლარამდე... საკვირველია, არა?! თუ ერთსულიან ოჯახს 160 ლარი ჰყოფნის და 7-8 სულიან ოჯახებს 385 ლარი, რომ ერთი თვის განმავლობაში დაიკმაყოფილონ საარსებო მოთხოვნები კვების, გადაადგილების, ჩაცმა-დახურვის, კომუნალური და სხვა გადასახდელების ჩათვლით, ასწავლონ შვილებს და ა.შ. მაშინ რატომ იღებენ სახელმწიფო სამსახურში მომუშავე მაღალი რანგის მოხელეები, ყოველთვიურად, ათეული ათასობით ხელფასებს, პრემიებს და დანამატებს? რასთან გვაქვს საქმე? თუ მოსახლეობისთვის დადგენილი საარსებო მინიმუმი სწორია, მის ათმაგ ოდენობაზე (ესეც გაბერილი ოდენობა ავიღე) მეტს, რა უფლებით ინიშნავენ სახელმწიფო მოხელეები, ხოლო თუ მინიმუმი ძალიან შემცირებულადაა გაანგარიშებული, მაშინ ხომ არ გვაქვს საქმე მოსახლეობის მიზანმიმართულ (ხელოვნურ) შემცირებასთან?.. საერთოდ, რატომ არ არსებობს კანონი სახელმწიფო მოხელეთა ხელფასისა და რანგირების შესახებ? ვის აწყობს ამ მხრივაც დაულაგებელი ქვეყანა?

ქვეყანაში არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც დაარეგულირებდა საპენსიო საკითხს. საუბრობენ კერძო საპენსიო ფონდის შექმნასა და ამ საკითხის მოწესრიგებაზე, მაგრამ ხვალიდანაც რომ დაარსდეს ასეთი ფონდი, ეს გრძელვადიანი პერსპექტივაა და შედეგს გამოიღებს 20-25 წლის შემდეგ, მაგრამ რა ქნას დღევანდელმა პენსიონერმა? როცა პენსიის დანიშვნის წესებში არ მონაწილეობს ისეთი ელემენტი, როგორიცაა წელთა ნამსახურობა, ანუ პენსიონერის მიერ, ახალგაზრდობაში სახელმწიფოს ხაზინაში შეტანილი წილი, რომელიც სიბერეში უნდა დაუბრუნდეს პენსიის სახით? რა ხდება დღეს ამ კუთხით? ყველა ხანდაზმულს, ვინც იმუშავა 25-50 და მეტი წელი, ისევე ეძლევა პენსია თვეში 160 ლარი, როგორც იმათ, ვისაც არასოდეს უმუშავია და სახელმწიფოსთვის ფულადი სარგებელი არასდროს მოუტანია (უფრო მკაცრი გამოთქმისგან თავს შევიკავებ). კომუნისტებსაც კი ჰქონდათ განსხვავებული მიდგომა მარტოხელა პენსიონერების მიმართ და მათ, მარტოხელობისთვის, ფულადი და ნატურით დანამატები ჰქონდათ. ახლა კი ამ კატეგორიის ხალხი მიტოვებულია სახელმწიფოსგან და ისინი ელიან უპატრონო და უსახელო სიკვდილს, მიუხედავად ხანგრძლივი და სასახელო შრომითი ბიოგრაფიებისა... მოკლედ რომ ვთქვათ, ასაკით პენსიონერები, მარჩენალის მყოლები თუ მარტოხელები, სიდუხჭირისთვის არიან განწირულნი.

უფრო უიმედო და კატასროფულ მდგომარეობაში კი შრომის უნარის მქონე ახალგაზრდები იმყოფებიან, რომლებიც არსად არიან დასაქმებულნი და თითქმის საპენსიო ასაკამდე არსებულ სიცოცხლეს უმუშევრად ატარებენ, ქვეყანაში კი არ არსებობს ამგვარ იძულებით უმუშევართა დახმარების სახელმწიფო პროგრამა, რაც თვითმკვლელობის და სხვადასხვა სახის დანაშაულობებისაკენ უბიძგებს სასოწარკვეთილ ადამიანთა არმიას, ამ მიზეზითაც ვერ მრავლდება ერი.

არც ბიზნესისთვის დამდგარა დღემდე მშვიდად მუშაობის დრო, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ახლა ნამდვილად არ ხდება ღამის ნებისმიერ დროს ქონებისა და სხვა სიკეთეების იძულებითი ,,ჩუქება“ სახელმწიფოზე ან ვინმე პიროვნებაზე, რაც უდავოდ სასიამოვნო ფაქტია. ასეთი ქმედება სააკაშვილის ხელისუფლების მიერ იყო ყაჩაღობა საკუთარ ხალხზე და თუ ყაჩაღობას არ სჩადის დღევანდელი ხელისუფლება, ეს სულაც არ ნიშნავს ხალხზე ზრუნვას: ხელისუფლება ყაჩაღი კი არა, საკუთარ ხალხზე მზრუნველი ორგანო უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კორექტივები შევიდა საგადასახადო კოდექსში, ის მაინც არ არის ბიზნესმენისთვის გასაგები ენით დაწერილი, ხშირია დამატებები და შესწორებები. კოდექსის მოთხოვნები და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები ძალიან განსხვავებულია ერთმანეთისგან, რაც იწვევს ოფიციალურად ორმაგი ბუღალტრული აღიცხვის წარმოებას, ამას კი მოსდევს შეცდომების დაშვება და ფინანსისტებისთვის - ორმაგი შრომა ერთმაგი ხელფასის მისაღებად, ბიზნესმენისთვის კი ჯარიმებისა და საურავების გადახდა. ნუთუ ასე ძნელია საგადასახადო კოდექსის დაახლოვება საერთაშორისო სტანდარტებთან, რომ ბიზნესმენმა გაუთვალისწინებელი ჯარიმები არ იხადოს? გასაგებად აწყობილი საგადასახადო კოდექსის არსებობის პირობებში, ბიზნესის აწყობა და მუშაობა უფრო ადვილი იქნება, ბიუჯეტშიც დროულად და არაიძულებითი წესით გადაიხდება თანხები.

ასე საამაყო მცირე და საშუალო ბიზნესისთვისაც არ არის სამუშაო პირობები ნორმალური: დღეს არსებული ინფლაციის პირობებში ძალიან ცოტაა 100 ათასი ლარი, რაც ასევე ცოტაა დამატებული ღირებულებით დაბეგვრისგან გათავისუფლებული ბრუნვისთვის. ასეთი თანხები, სულ მცირე 200 ათასი ლარი მაინც უნდა იყოს, ხოლო მცირე ბიზნესის მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურები დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვის გაანგარიშებისას, ჩათვლებში უნდა მონაწილეობდნენ, სხვანაირად, დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვის მქონე ფირმები, მისგან საქონელს არ შეიძენენ, რადგან ჩათვლის უფლება არა აქვთ... დღეს მოქმედი წესებით არსებობენ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფირმები, მაგრამ შეზღუდულად საქმიანობენ სამოქმედო წესების არასრულყოფილების გამო ...

ქაოსია საბანკო კრედიტით მოსარგებლეებთან დამოკიდებულებაშიც; უცნაურია, რომ ბანკები, დიდი მოგების მიუხედავად, ეკონომიას აკეთებენ (?!) ხელშეკრულებისთვის საჭირო საწერი ქაღალდის ხარჯვისას, სხვანაირად როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ მსესხებელთან დადებული ხელშეკრულება ისეთი წვრილი შრიფტითაა დაწერილი, რომ +30 ზომის გამადიდებელი შუშა თუ არ გამოიყენე, ვერ წაიკითხავ. თან ისეთი ტერმინებითა და სიტყვებითაა გადატვირთული, ჩვეულებრივი მსესხებელი ვერც იგებს შინაარსს (არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს სპეციალურად ხდება, მსესხებლის დასაბნევად)...

ახლა, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი: მოგეხსენებათ, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ბანკის ვალი აქვს და უმრავლესობა დადგენილ ვადაში ვერ იხდის კრედიტს. ჩვენში ძალიან ,,ხარბი თვალებით“ გაიღვიძეს ბანკირებმა და აი, რატომ?: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 403-ის მე-2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბებული იყო რედაქციით (თავი მეორე-მოვალის მიერ ვადის გადაცილება) ,,დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდა“, რომელიც, საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 29 ივნისის #5127 დადგენილებით ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით: ,,ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში“. როგორ ფიქრობთ, ეს ცვლილება ვისი ინიციატივით იქნება შეტანილი? ან რომელი ბანკი არ ისარგებლებს ამ შემთხვევით და არ ჩადებს ამ შესაძლებლობას, დამატებითი ფულის მიღებისა, ხელშეკრულებაში? გარდა ამისა, მოკლევადიან სესხებს (ერთ წლამდე ვადა), ვადაზე გადაუხდელობის შემთხვევაში ამატებენ დარიცხულ და გადაუხდელი პროცენტის თანხას და ხელახლა აფორმებენ ახალ სესხს ახალი ვადით, რადგან, მოკლევადიანობის გამო, დგება სესხის ხანდაზმულობის მიზეზით ბალანსიდან ჩამოწერის საკითხი, ასეთ ქმედებას ერთხელ მიღებულ სესხზე აკეთებენ რამდენიმეჯერ და რამდენიმე წლის განმავლობაში... მაგალითად, სამი თვით აღებული 500 დოლარის სესხი, მსესხებელს ერიცხება 5 და მეტი წლის

გაგრძელება გვ. 6

საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემების საწყისი მიზეზები და შედეგები...

დასაწყისი გვ. 5

განმავლობაში და საბოლოოდ, სახლ-კარის გაყიდვის ფასად იხდის 5-8 ათას დოლარს. დამატებითი უბედურება ისაა, რომ ამ საკითხში მოსახლეობის გაურკვევლობით სარგებლობენ ბანკები. ამიტომაც და ასეთი მეთოდით მუშაობის გამო, შეუბრალებლად ღარიბდება და ღატაკდება უმუშევარი და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები, ხოლო უსაზღვროდ მდიდრდება ბანკების მაღალი და უმაღლესი მენეჯმენტი. უფრო მეტიც: მოსახლეობას თავს დაატეხეს ამერიკული დოლარის კურსის აწევა ეროვნულ ვალუტასთან დამოკიდებულებაში, რამაც მსესხებლები დიდ ფინანსურ ზარალამდე მიიყვანა და მოსახლეობა კიდევ ერთხელ გააღატაკა; ყველაფერი გაძვირდა ბაზარზე, ერთ ლარად ღირებული წებო ,,მომენტი" 2.50 ლარი გახდა, ერთი კილო სტაფილო, შარშანდელი 40 თეთრიდან, წელს 1.20 ლარამდე ავარდა, ასევე ჭარხალი და ღარიბი მოსახლეობის ყოველდღიურ მენიუში შემავალი სხვა საკვები ინგრედიენტები...

ინფლაციას ყველა ეკონომისტი თავისებურად ხსნის, მაგრამ ვერსად გავექცევით მის კლასიკურ განმარტებას: ,,ინფლაცია-(გაბერვა), ეს არის მიმოქცევის არხების გავსება ქაღალდის ფულით, ფულის გაუფასურება და ფასების ზრდა". საიდან მოვიდა ამდენი ფული? ოფიციალური ინფორმაციით საქართველოს მოსახლეობის ერთი მილიონი ნაწილი ღარიბია, ნახევარი მილიონი - ღატაკი, დახმარება სახელმწიფოს მხრიდან მიზერულია, დასაქმებულად ჩათვლილი მოსახლეობის ნახევარ მილიონზე მეტს დარიცხული ხელფასი თვეში 500 ლარზე ნაკლები ჰქონია (საქართველოს შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია). აბა ვის ხელში ხვდება ამდენი ფული, რომ ფულის მიმოქცევის არხები გაივსო?..

საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელსაც აქვს საშუალება, დაიჭიროს კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთები, დაარეგულიროს და კომერციული ბანკების მიერ სესხების გაცემა უზრუნველყოს ეროვნულ ვალუტაში, უბრალოდ არ ერევა ამ საქმეში, უფრო მეტიც: როგორც ჩემთვის ცნობილია, ვალუტის კურსის დადგენაში მონაწილეობენ მხოლოდ ეროვნული და კომერციული ბანკები და სხვა არავინ (ენის გამომტანი). ამიტომ, არაა ცნობილი, რეალურად როგორ ხდება კურსის დადგენა და რა დამოკიდებულებაა ვალუტის მოთხოვნა-მიწოდების მოცულობებს შორის. მიმოქცევაში დიდი ფულის არსებობას, ცნობილია, რომ ხელს უწყობს გამოუმუშავებელი ფულის მასის გაშვება მიმოქცევაში, ასეთი ფული კი აქვთ სახელმწიფო მოხელეებს და საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებსაც წარმოადგენენ კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

აქ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, სხვაც ბევრია მოსაწესრიგებელი, დასარეგულირებელი და ქვეყნის სასარგებლოდ გადასაწყვეტი, მაგრამ არ მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს ეს და სხვა უბედურებები მხოლოდ ამ ხელისუფლების დროს ხდება. არა და არა, ეს ყველაფერი, როგორც სტატიის დასაწყისში ვთქვი, დაიწყო 1991 წლის 22 დეკემბრიდან და მას შემდეგ მოსული ხელისუფლებები არ ღალატობენ ედუარდის ანდერძს, გეგმაზომიერად ამცირებენ საქართველოს მოსახლეობას და არაფერს აკეთებენ ერის გადასარჩენად, თორემ ასეთის სურვილის შემთხვევაში ,,მრგვალი მაგიდის" მიერ შემუშავებული პროგრამა საქართველოს განვითარებისა, 25 წელია ელოდება საკუთარი ხალხისმოყვარე, ეროვნულად მოაზროვნე და პატიოსან მმართველს...

თეა ლაპკირბაია

ქვლავ უბოროტეს რუსულ იმპერიალიზმზე რუსაპეტათა მოერაკვლების პასუხად!

«Страна без бога, без доверия,
страна законных преступлении,
страна бутафории и ярлыков
вот вам страна Большевиков!»

ამ სტრიქონებს მიაწერენ საბჭოთა სახელმწიფოს მეხოტბედ აღიარებულ ვლადიმერ მაიაკოვსკის.

1721 წელს მოსკოვიის მეფემ პეტრე პირველმა მოსკოვია იმპერიად გამოაცხადა და უწოდა „რუსეთის იმპერია". პეტრემ დიდძალი ოქრო ჩაზიდა ევროპელ კარტოგრაფებთან, რათა რუკებზე თავისი საბრძანებლო ახალი სახელით დაეტანათ.

კაცობრიობის ისტორიაში რუსეთის იმპერია სიდიდით მესამეა დიდი ბრიტანეთისა და მონღოლეთის იმპერიების შემდეგ.

რუსეთის სამონარქო იმპერიამ იარსება 196 წელი - 1721-1917.

რუსეთის იმპერიის მსაზღვრელად და განმარტებად იქცა გამოთქმა „ხალხთა საპყრობილე", ასამდე მოდგმის ხალხი გმინავდა იმპერიის უღელ-ქვეშ. ათობით ერი და ეროვნება იქნა გადაშენებული ან გასახლებული და რეპრესირებული რუსეთის იმპერატორების და მათი თვითმპყრობელობის მიერ.

მაგალითისათვის მოვიყვანთ კავკასიაში და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები ერების საბედისწერო განაჩენს:

შაპსუღები იყვნენ 300 000 – დარჩა 1983 კაცი;

აბაძეხები – 260 000, დარჩა 14 660;

ნათუხალები – 240 000, დარჩა 175;

თემირღოელები - 80 000; დარჩა 3140;

ბჟედუღები - 60 000; დარჩა 15 263;

მახოშველები - 8 000; დარჩა 1204;

ადმიელები - 3 000, დარჩა 230;

უბიხები - 74 000; დარჩა 0

რუსეთის იმპერიამ, არც ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის ხალხებს დააკლო ხელი:

კერეკები: ხალხის გენოციდი პრაქტიკულად დასრულებულია – დარჩა 8 კაცი

ნანაელები: სატირალი სინამდვილე – დარჩა 100-150 კაცი

ორორჩები: გენოციდის მწარე ნაყოფი – დარჩა 532 კაცი

ნგანასანები: გადაგვარება და დეგრადაცია – ხალხთა ბედი რუსული იმპერიალიზმის უღელქვეშ, რაოდენობა 834კაცი (2004 წ). უკანასკნელი აღწერის მონაცემებით ენას ფლობს დაახლოებით 500 ადამიანი.

სელკუპები: ხალხის ტრაგედია, მათი რაოდენობა შეადგენს ოფიციალური მონაცემების მესამედზე ნაკლებს– 600 კაცს.

ოროკები: მწარე ბედი თითქმის გამქრალი ხალხისა, 346 კაცი, მათ შორის 201 ქალაქელია და 145 სოფლის მკვიდრი.

იუგები: იმედის გარეშე – 2002 წლის აღწერით რუსეთში იყო 19 იუგი

კეტები: გადაშენების ზღვარზე – კეტები – ჩრდილოეთ ციმბირის ერთ–ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხი. 2002 წლის აღწერით ხალხის რაოდენობა 1494 კაცი.

ულჩები: ჩაგრული ხალხის საავალალო სინამდვილე –1989 წლის აღწერით სსრკ–ში ცხოვრობდა 3233 ულჩი.

ნეგიდალები: გადაშენების ზღვარზე – 2002 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, 527 კაცი.

ამ მონაცემებზე ჩვენ ადრინდელ პუბლიკაციებშიც ვწერდით.

როგორც ვიცით საქართველოს ქართული სამეფოებისა და სამთავროების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ემსხვერპლა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორეს მიერ რუსეთის იმპერიასთან დადებულ სამეგობრო და სამოკავშირეო ხელშეკრულებას - გეორგიევსკის ტრაქტატს. რუსეთის იმპერატორებმა პავლემ და ალექსანდრემ 1801 წელს გამოსცეს მანიფესტები რომლის ძალითაც რუსეთის იმპერიაში გუბერნიის სახით შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფო. რუსული ოკუპაცია-ანექსია გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებამდის აფხაზეთის სამთავროს მიტაცებით.

საქართველოს მფარველად შემოსულმა რუსეთის იმპერიამ მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში საქართველოს მოსწყვიტა მისი ძირძველი კუთხე დვალეთი, ეს მოხდა 1858-1860-იან წლებში, როცა საქართველოს ძირძველი მხარე კავკასიის მეფისნაცვალმა ა. ბარიატინსკიმ საბოლოოდ მოსწყვიტა საქართველოს და ოსეთს შეუერთა.

1918-1921 წლებში დვალეთის ტერიტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. 1921 წელს რეგიონი საქართველოს ჩამოაჭრეს და რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას გადასცეს.

მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე მოხდა რუსეთის იმპერიის მოდერნიზება ორი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. ცარისტული იმპერია დაამხეს ახლად გაჩენილმა მარქსისტმა სოციალ-დემოკრატებმა - მენშევიკებმა 1917 წლის თებერვალში მსოფლიოში მიმდინარე ძვრების ფონზე. მოგვიანებით, 1917 წლის შემოდგომაზე კი რუსეთში ხელისუფლება აიღეს სოცდეკების რეაქციულმა ფრაქციამ ბოლშევიკებმა და დაარსეს იდეოლოგიზირებული იმპერია, უსასტიკესი მსოფლიო იმპერიებს შორის - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ანუ საბჭოთა კავშირი. ისტორიამ მას ასეთი სახელი უბოძა - ბოროტების იმპერია.

ცარისტული რუსეთის იმპერიის ნამსხვრევებზე გასული საუკუნის ათიანი წლების ბოლოს წარმოიშვა მთელი რიგი ახალი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ბოლშევიკურმა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს აღიარა და ხელშეკრულებაც დადო მასთან, მაგრამ რუსი რისი რუსია, რომ დადებული ხელშეკრულება შეესრულებინოს და დაეცვას?

1921 წლის თებერვალში მშიერმწყურვალი და ნახევრად შიშველი საბჭოთა რუსეთის ურდოები სომხეთის მხრიდან შემოიჭრენ დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრებში და 1921 წლის 25 თებერვალს მათი ნახევარძმების, ქართველი მენშევიკების ბედოვლათობითა და ხელშეწყობით აიღეს საქართველოს დედაქალაქი თბილისი.

ინტერვენცია, ანექსია და ოკუპაცია გრძელდებოდა მარტის თვის დასასრულამდე. მენშევიკების მთავრობამ დატოვა საქართველო და გაიხიზნა ემიგრაციაში - ევროპაში.

იმ დროისათვის ბოლშევიკურ რუსეთში მოღვაწეობდა რენეგატ ქართველთ მთელი კორჰოტა სტალინის თავკაცობით, ისინი წამყვან სახელმწიფო თანამდებობებზე ვერ დამკვიდრდებოდნენ, რადგან ემიგრანტებად ითვლებოდნენ, მათ გასათეთრებლად საჭირო იყო საქართველო ქცეულიყო რუსულ-ბოლშევიკური სივრცის ნაწილად, ამიტომ ქართველმა ბოლშევიკებმა თანამდებობებისა და სკამებისათვის ყველაფერი იღონეს, რათა მოეშთოთ ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო და მოდერნიზებული იმპერიის პროვინციულ ნაწილად ექციათ .

1922 წლის 30 დეკემბერს ოფიციალურად გაფორმდა საბჭოთა კავშირი, საქართველო მასში შეიყვანეს როგორც ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკის ნაწილი. ამ ფედერაციამ იარსება 1936 წლამდის, შემდგომ კი საქართველო საბჭოთა იმპერიაში იწოდებოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

საბჭოთა იმპერიის ფართობი მოიცავდა 22 402 200 კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი შეადგენდა 293 მილიონს.

ახლა ვანხოთ, თუ რა „სიკეთე" მოუტანა ახალმა მოდერნიზებულმა რუსულმა საბჭოთა იმპერიამ საქართველოს.

საბჭოთა ისტორიოგრაფია თაობებს ზრდიდა სიცრუით, თითქოსდა საქართველოში დაიწყო მუშებისა და გლეხების შეიარაღებული გამოსვლები და საბჭოთა რუსეთის არმია შემოვიდა აჯანყებულთა დასახმარებლად, მაგრამ ამ სიცრუეს ამხელს თვით საბჭოთა ბელადი, ათაშანგის სნეულების მხვერპლი ვ. ი. ლენინი, რომელიც 1921 წლის 28 →

← თებერვალს მოსკოვის საბჭოს სესიაზე მიუთითებდა: „ჩვენ ვიცით, რომ ამბოხება დაიწყო საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ ნეიტრალურ ზონაში და მასში სომეხთა და რუსთა ნაწილები მონაწილეობდნენ (ლევან ურუშაძე, „ბოლშევიზმ-მენშევიზმი და დემოკრატიული საქართველო„).

მანამდე კი გაურკვეველი წარმომავლობის ქართველთმოძულე ი.ბ. სტალინი 1921 წლის 24 იანვარს მიმართავდა ცკ-ს წევრებს: „წინადადებას ვაყენებ მოვიწონოთ ამხ. ჩიჩერინის ხაზი საქართველოს საკითხში და რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს მივცეთ დირექტივა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას იმისთვის, რათა გადაწყვიტოს საკითხი კავკასიაში სამხედრო ჩარევის წესის თაობაზე. ამავე დროს დირექტივა მივცეთ ორჯონიკიძეს, მოამზადოს აჯანყებულთა გამოსვლა საქართველოს ცნობილ რაიონებში“.

ცალკერძ კი ქართველთა მტერი ი. ბ. სტალინი ატყობინებდა მეორე მოღალატეს, პირსისხლიან ორჯონიკიძეს; სტალინი – ორჯონიკიძეს: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნეს სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა, აგრეთვე შეკითხვა გაუგზავნონ კავკასიის ფრონტს ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, იმაზე თუ რა ძალები დაგვჭირდება კიდევ, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო, თორემ ტროცკი ირწმუნება, რომ თქვენს ფრონტზე ჩვენ ერთობ სუსტი ვართო. აუცილებლად ჩემს სახელზე გამოაგზავნე ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ გამარჯვების იმედი ძალთა რაოდენობით. მე და ილიჩი ველით შენგან ზუსტ, გაუზვიადებელ ცნობებს“

1921 წლის 15 თებერვალს ლენინი მიმართავდა მე-11 არმიის რევოლუციურ საბჭოს: „ცეკას მიაჩნია, რომ XI არმიის ოპერაცია წარმოადგენს ნეიტრალურ ზონაში მყოფი აჯანყებულების დაცვას, რომელთაც ემუქრებათ განადგურება თეთრგვარდიელების მხრიდან. ანგარიში გაუწიეთ თქვენი ოპერაციის ამ პოლიტიკურ ხასიათს ყველა თქვენს საჯარო გამოსვლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან მოველით ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას. თუ ნეიტრალურ ზონაში მყოფ აჯანყებულთა დასაცავად, სამხედრო თვალსაზრისით, საჭიროა თბილისის აღება, XI არმია არც ამას უნდა მოერიდოს“ .ამ დეპეშას აქვს სტალინის მინაწერი: „სამი დღის შემდეგ ველი ცნობას თბილისის აღების შესახებ“.

სტალინი ორჯონიკიძეს: „ცეკა მოითხოვს თქვენგან რეგულარულ ინფორმაციას ორჯერ დღეში. შენ კი უკვე ორი დღეა ცნობას არ იძლევი. ჩეკა მოითხოვს დირექტივის შესრულებას. ამ წუთშივე მოგვეცი ცნობა აჯანყებულთა მიღწევების შესახებ. საჭიროა დააჩქაროთ ქალაქის აღება“.

მალე ორჯონიკიძე აფრენს წითელ ურდოში „სასიხარულო“ დეპეშას – „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს!“, რითაც ამ ორმა ნაძირალამ გაინაღდეს თავიანთი „მოკრძალებული“ ადგილები წითელი იმპერიის „ვერხუშკაში“. უამისოდ ისინი ხომ ემიგრანტებად რჩებოდნენ საბჭოთა რუსეთში, რაიც ერთგვარ ბარიერს წარმოადგენდა უმაღლესი ეშელონებისაკენ მიმავალ გზატკეცილზე.

საქართველომ დამოუკიდებლობასთან ერთად ტერიტორიებიც დაკარგა, რომელშიც ამჯერადაც ლომის წილი უძღვის საქართველოს სიძულვილით დაავადებულ, არაკაცთა დიდ ბელადს ი. სტალინსა და მის ლაქიებს.

საქართველოს ტერიტორია 1918-1921 წლებში მოიცავდა 107 6000 კვადრატულ კილომეტრს.

ბოლშევიკების ოკუპაციის შემდეგ რუსეთმა მიისაკუთრა საქართველოს 4 400 კვ. კმ. ტუაფსეს აქეთ მდებარე სოჭის ოლქი და აფხაზეთის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი პილენკოვო, ახლანდელი განთიადი.

საკუთარი ერის სიძულვილით დაავადებულმა სტალინმა და ორჯონიკიძემ აზერბაიჯანს უფეშქაშეს 6 000 კვ. კმ., – ზაქათალის ოლქი, გარეჯის ველი, ყარაიაზის სექტორი, ელდარი 92 600 მცხოვრებით, სომხეთს კი 4 600 კვ. კმ. – ლორე-ალავერდის მხარე 38 ათასი მცხოვრებით, თურქეთს კი სამუდამო მფლობელობაში გადასცეს 23 000 კვ. კმ. – 200 ათასამდის მცხოვრებით.

საბოლოო ჯამში 1918-1921 წლებში საქართველომ დაკარგა ტაოკლარჯეთი, სპერი, შავშეთი, ერუშეთი, არტაანი, ატოცი, ჭანეთი, ტაშირი, ჩრდილი, ჰერეთი, ბამბაკი, დვალეთი. მას დავუმატოთ სტალინის მიერ შექმნილი ავტონომიების აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიები – 8 600 კვ. კმ. და 3 885 კვ კმ. საერთო ჯამში 40 585 კვ. კმ. ეს ფართობი უტოლდება ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების – ბელგიის (30 528 კვ. კმ.) შვეიცარიის (41 285 კვ. კმ.) და ნიდერლანდების (41 528 კვ. კმ) ტერიტორიებს.

საქართველოში ბოლშევიკების შემოთახსირებამ ქვეყანას სისხლის თქეშად გადაუარა, საქართველოს ისტორიაში შავი არშიით გარშემოვლებული დარჩა 1921, 1922, 1924, 1929-1933, 1937-1938, 1941-1942, 1951-1952, 1956 წლები.

1924 წლის აჯანყების ჩახშობისას დაიღუპა 7000 კაცი, აჯანყების ჩახშობის შემდეგ კომუნისტებმა ერთ კვირაში დახვრიტეს 12 000 კაცი (საქართველოს მოსახლეობის 0,5%), ათეულ-ათასობით ადამიანი იქნა გასამართლებული, 20 000 –ზე მეტი კაცი გაგზავნილ იქნა გადასახლებასა და სიკვდილის ბანაკებში (საქართველოს მოსახლეობის 1%).

1921 წლიდან 1941 წლამდის საქართველოში დაიხვრიტა 60 ათასი ადამიანი, საქართველოდან კი გასახლებული იქნა 200 000-ზე მეტი კაცი.

ქართველთმოძულე სტალინმა ქართველობა, არც მეორე მსოფლიო ომის დროს დაინდო, ქვეყანაში სამჯერ გამოცხადდა მობილიზაცია და ფრონტზე გაიწვიეს 700 000-ზე მეტი მამაკაცი, საქართველოს მოსახლეობის 20%. ამ დროს საქართველოს მოსახლეობა 3. 540. 000 კაცს აღწევდა. ეს კი გაცილებით აღემატება ომში მონაწილე დიდი სახელმწიფოების მაჩვენებელს – მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით ომში გაწვეულთა რაოდენობა იმ დროისთვის ნებისმიერ სახელმწიფოში შეადგენდა საშუალოდ 6,5%. საქართველოს ომში დაეღუპა 350. 000 მეტი გაწვეული. ხოლო ცოცხლად დარჩენილთა უმრავლესობა ქვეყანას დაუბრუნდა ავადმყოფი და ხეიბარი. ცოცხალი ძალის დანაკარგი ამერიკისათვის შეადგენდა 274000 ადამიანს; ინგლისისათვის 264000; საფრანგეთისათვის კი 200000 კაცს.

საერთოდ კი რუსეთის იმპერიის უღელს 200 წლის მანძილზე შეეწირა მილიონნახევარზე მეტი ქართველი.

საბჭოთა კავშირად წოდებულმა რუსეთის ბოროტების იმპერიამ იარსება 69 წელი, 1991 წლის 26 დეკემბერს ალმა-ატის შეხვედრაზე გამოცხადდა საბჭოთ კავშირის დაშლა, რომელიც ჩაანაცვლა ახალმა მოდერნიზებულმა რუსულმა იმპერიამ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ СНГ.

1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში დაიწყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეთაურების შეკრება, შეკრებას არ ესწრებოდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ კი დამკვირვებლის სტატუსით მიავლინა თავისი წარმომადგენლები, საქართველო უარს აცხადებდა ამ ახალ „სამოკავშირეო“ ხელშეკრულებაზე.

ამოქმედდა კრემლის აგენტურა საქართველოში და 1992 წლის 22 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში დაიწყო რუსეთის მორიგი აგრესია, იმპერიამ შეაიარაღა თავისი დასაყრდენი მოღალატე ქართველები და საქართველოდან განდევნა საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება.

ძნელად ვიდოდა საქართველო თავისუფლების ნარეკლიან გზაზე, უფლის წყალობაც არ გვაკლდა, უფალმა მონობის უსინერი უდაბნოდან თავის დასაღწევად ჩვენი მოსე მოგვივლინა ზვიად გამსახურდიას სახით და ჩვენ ის მოვკალით...

დღეს კი ბედკრული საქართველო, ერთგული და თავდადებული გემის კაპიტნის გარეშეა ჩენილი და შეგდებულია აზვირთებულ და აბობოქრებულ მსოფლიო ოკეანეში.

რამდენ ხანს ცოცხლობენ იმპერიები?

იმპერიებად იწოდებიან ის ქვეყნები, რომლებიც ფლობენ და იმორჩილებენ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებს. მაშ გადავხედოთ ისტორიას, საშუალოდ რამდენ წელს ცოცხლობდნენ იმპერიები?

თუ ჩვენ გადავფურცლავთ ისტორიის ფოლიანტებს, აღმოვაჩენთ შემდეგ კანონზომიერებას, რომ იმპერიათა უმრავლესობას სამ ასეულ წელს მიუტანებია, სხვაობა მეტ-ნაკლებობით მხოლოდ რამოდენიმე წელია.

ასურეთის იმპერია. დაპყრობითი ომები ახალასურულ სახელმწიფომ დაიწყო ძველი წელთაღრიცხვის 912 წელს მეფე ადად-ნერარის დროს. ძველი წელთაღიცხვის 610 წელს ასურეთი გაანადგურა მიდიელებმა, სკვითებმა და ბაბილონელებმა და როგორც სახელმწიფომ შეწყვიტა არსებობა. ასურეთის იმპერიის ასაკი 302 წელია.

ურარტუ. ეს სახელმწიფო დაპყრობითი ომების გზაზე დგება ძველი წელთაღრიცხვის მეცხრე საუკუნის 80-იან წლებში და ამ დროიდან იწყება ამ იმპერიის განვრცობა. ძველი წელთაღრიცხვის 590 წელს ეცემა ურარტუ. ურარტუს იმპერიის არსებობა ითვლის 304 წელს.

სპარსეთი. დაპყრობით ლაშქრობებს იწყებს მიდიის მეფის ქსერქსეს დროიდან - 625 წ. ძვ. წ. ძვ.წ. 327 წელს ალექსანდრე მაკედონელმა მთლიანად დაიპყრო სპარსეთი. სპარსეთის იმპერიამ იარსება 298 წელი.

რომი. რომის იმპერია ოფიციალურად გამოცხადდა ძვ.წ. 27 წელს. 330 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ დედაქალაქი რომიდან კონსტანტინეპოლში გადაიტანა და რომის იმპერიას შეენაცვლა ბიზანტიის იმპერია. რომის იმპერიის სიცოცხლემ გასტანა 303 წელი.

ფრანკეთი. მეექვსე საუკუნის შუახანებში ფრანკების სახელმწიფო იერთებს მთელს დასავლეთ ევროპას. მეცხრე საუკუნის შუახანებში ფრანკია იშლება მთელ რიგ სახელმწიფოებად - საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ა.შ. ფრანკების ასაკი დაახლოებით 300 წელს აღწევს.

ესპანეთი. მეფე კარლოს მეხუთის ზეობისას ესპანეთი ხდება კოლონიალურ სახელმწიფოდ. 1524 წელს ესპანელი კონკისკადორები იწყებენ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის დაპყრობას. 1824 წელს ეპანეთი კარგავს თავის კოლონიებს ამერიკაში და წყვეტს იმპერიულ არსებობას. ასაკი ზუსტად 300 წელი.

ინგლისი. 1649 წელს ინგლისი იპყრობს ირლანდიას და ამ დროიდან ხდება დიდ ბრიტანეთად, იმპერიულ სახელმწიფოდ. 1947 წელს დაჰკარგა რა ინდოეთი, დიდი ბრიტანეთიც წყვეტს იმპერიულ არსებობას. ასაკი 298 წელი.

ავსტრია. 1618 წელს იპყრობს ჩეხეთს და ხდება იმპერია. 1918 წელს ხდება ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაცემა და ევროპის რუკაზე ჩნდება რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც ადრე ავსტრო-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. ავსტრიის იმპერიის ასაკია 300 წელი.

რუსეთის იმპერია. როგორც უკვე მოგახსენეთ, რუსეთი იმპერიად ოფიციალურად გამოცხადდა 1721 წელს პეტრე პირველის დროს და დღესამომდის რამოდენიმეჯერ განიცადა სახეცვლილება... დაე, მკითხველმა თვით გამოითვალოს თუ რამდენი წელი დარჩა რუსეთის იმპერიას ჩაძაღლებამდის...

იმედია, ღმერთის შეწევნით ეს საშინელი იმპერია მის წინამორბედ შავ ყვავებს შორის არ აღმოჩნდება თეთრ ყვავად და აღესრულება შავი ყვავის ასაკში - 300 წლისა!

ალექსანდრე სანდუხაძე

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელით მოქმედი რენეგატები ...

ყოველკვირეულ გაზეთში „ილორი“ (N333 (392) 29 სქტემბერი - 6 ოქტომბერი, 2015), მე-6 გვერდზე დაიბეჭდა ე.წ. „ქართველი ემიგრანტების წერილი“ (იხ გვერდით), რომლებიც იუწყებოდნენ, რომ თითქოსდა სირიაში იბრძვის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე 3 035 გვარდიელი, რომელთა ნაწილი „2015 წლის 10 ივნისს სირიაში, დამასკოში, ღამის 3-4 საათზე, მასონური ამერიკის მიერ გაწრთვნილმა 20-მდე ტერორისტმა კონსპირაციულ ბინაში, სადაც იმყოფებოდნენ...“ (ჩამოთვლილია გვარ-სახელები, რომლის გამეორებას აქ არ ვაპირებთ იმ უბრალო მიზეზით, რომ ყველა გვარ-სახელი, წერილის ხელმომწერებიანად არის ყალბი და მოგონილი) ცეცხლსასროლო იარაღებით დაჭრეს, მაგრამ ქართველმა მებრძოლებმა ოცივე მომხვდური გაანადგურა, ხოლო თავად დაჭრილები კი პუტინის მიერ გაგზავნილი სპეც-თვითმფრინავით გადაიყვანეს მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ საავადმყოფოში, სადაც სრულ რეაბილიტაციამდე უმკურნალეს, რისთვისაც ე.წ. „ზვიადისტი“ მებრძოლები დიდ მადლობას უხდიან პუტინს.

ნიშანდობლივია, რომ გაზეთი „ილორი“ სააგენტო საქინფორმის ეგიდით გამოდის, რომლის მთავარი რედაქტორი რუსოფილი ანრო ხიდირბეგიშვილია და სააგენტოს ლოგოზეც რუსეთის ფედერაციის დროშა უდევს. თავად გაზეთ „ილორს“ კი მოსკოვში მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭიას სეპარატისტი თანამზრახველები აფინანსებენ.

მსგავს ქვებუდან „ზვიადისტთა“ თვითლუსტრირების პროცესის აპოთეოზს წარმოადგენდა, მიმდინარე 2015 წლის 28 ოქტომბერს, პარლამენტის შენობასთან გამართული რამდენიმე ათეულკაციანი მიტინგი, რომელსაც უძღვებოდნენ გიორგი კერვალიშვილი, ეთერ მგალობლიშვილი, სოსო ჯაჯანიძე და სხვა რენეგატები. მათ, ჩვეული აქტივობით, მხარს უმშვენებდა ირაკლი შონიაც, რომელმაც თავის სამიტინგო სიტყვაში „კანონიერი ხელისუფლების აღდგენაც“ კი მიულოცა მომიტინგეებს; ასე ამოდ და ყალბადმეტყველნი ეს ჯგუფი „ზვიადისტებისა“, შემოკრებილან, უმწიფარი გონების და სპეცსამსახურებთან მოთანამშრომლე გიორგი კერვალიშვილთან და ნებსით თუ უნებლიედ ახდენენ პროფანაციას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მრწამსის, იდეის და თვით ეროვნული მოძრაობისაც;

მიტინგის აპოთეოზი კი გახლდათ ეთერ მგალობლიშვილის გრძელი და მჭექარე სიტყვა სირიაში მებრძოლ „ზვიადისტ გვარდიელებზე“ და მათი მიმართვის ტექსტის წაკითხვა „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ მოძრაობისადმი, რომელშიც გატარებული იყო სტრატეგიული არსი, რომ ზვიადი ცოცხალია და იგი ძლევამოსილი დაბრუნდება საქართველოში, სირიაში, რუსეთის სატელიტი ბაშარ ალ ასადის რეჟიმის გამარჯვების შემდეგ, თავის „გმირ“ გვარდიელებთან ერთად!

იმავე მიმართვის ტექსტს ავრცელებს ინტერნეტით მოსკოვში მცხოვრები fsb აგენტი, კოლაბორაციონისტი ზაზა გაბედავა, რომელიც ირიბი მოკავშირე გახლავთ საქართველოში „ეროვნული მოძრაობის და ზვიადისტის“ წოდებით მოქმედი ზემოხსენებული კერვალიშვილ-მგალობლიშვილის ტანდემისა.

უბედურება და მწარე ცინიზმიცაა, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილიც, დღეს უკვე, რუსეთთან ინტეგრაციის მომხრედ გვევლინება, რითაც გადაფასება ხდება ზვიადის ხელისუფლების პოლიტიკური კურსისა. თუ ზვიადის ეროვნული ხელისუფლება 1992 წლის 6 იანვარს რუსეთის იმპერიულ სამხედრო მანქანასთან უთანასწორო ბრძოლაში ფიზიკურად დამარცხდა, რენეგატ დეპუტატების სიმრავლით დღეს უკვე ზვიადის იდეურ-პოლიტიკური მარცხიც იკვეთება, რაც კატასტროფის მომასწავებელია ქართველი ერისთვის პროგრესისა და ცივილიზაციის თვალსაზრისით, ხოლო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, სამარცხვინო რეგრესი ელის.

დღეს უფრო მკვეთრად გამოვლინდა, რომ ქართველი ერი, არც მენტალურად და არც განათლების სიღრმით იყო მზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის და მისი აბსოლუტური უმრავლესობა, ზვიადის ქარიზმის უბრალო, მოხალისე თანამდევ მასას შეადგენდა...

ჩვენ გულწრფელად შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის წარმომადგენლები და უზენაესი საბჭოს ის დეპუტატები, რომლებმაც დღეს უკვე გადაუხვიეს ზვიადის გზას, ყველანი იმთავითვე ჩანერგილები იყვნენ, მაგრამ ასევე გულწრფელად არ გვჯერა, რომ ყველა ეს კატეგორია, ასე უბრალოდ ვერ გრძნობდეს პასუხისმგებლობას ერისა და ქვეყნის წინაშე და არ რეკდეს მათში სინდისის ხმა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ არცთუ იშვიათად გვიწევს ამაზე წერა.

„ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 3035 მებრძოლი“... ეს კი იმგვარი ყურისმომჭრელი სიცრუეა, რომ სირცხვილისგან თვალებიც კი დაგეხუჭება პატიოსან მკითხველს გაზეთი „ილორის“ თუ სხვა მსგავსი („საერთო გაზეთი“, „ასავალ-დასავალი“...) რუსული ორიენტაციის ბეჭდური მედიისა გამო.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1000 ერთგული და თავდადებული შეიარაღებული მებრძოლი რომ ყოლოდა, ქუთაისის მახლობლად გუბისწყალთან კი ვერ შეაჩერებდა შევარდნაძე-შაშიაშვილ-იოსელიანის ხუნტა, არამედ თბილისამდეც მოაღწევდნენ, ქვეყანაში აღადგენდნენ კონსტიტუციურ წესრიგს და საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და ტერიტორიულადაც, დღემდე გაცილებით უფრო დაცული,ძლიერი და მტკიცე იქნებოდა.

ჰეი თქვენ, პუტინის ქვეშევმრდომნო, ქვახვრელში მძრომო თვითმარქვია ზვიადისტებო, შეწყვიტეთ ზვიადის სახელის წინააღმდეგ ბრძოლა ზვიადისავე სახელით! თქვენ არ მოგელით საქართველო!!

ლეილა ცოფაია

ქართველი ემიგრანტების წერილი

2015 წლის 10 ივნისს სირიაში, დამასკოში ღამის 3-4 საათზე მასონური ამერიკის მიერ გაწრთვნილმა 20-მდე ტერორისტმა შეაღწია კონსპირაციულ ბინაში, სადაც იმყოფებოდნენ კონსპირაციულად მცხოვრები ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური. დაგეგმილი იყო მათი ლიკვიდაცია და სნაიპერის მართა სავანელის ცოცხლად აყვანა. დაიჭრა ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური, მართა სავანელი. ნაილი ხომერიკი, ლაშა გამსახურდია, ლევან ზაალიშვილი, დავით ჯანდიერი ძმები სანდრო და მიშა მარიამიძეები. ოცივე ტერორისტი ლიკვიდირებულ იქნა.

მეორე დღესვე, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბრძანებით ჩაფრინდა თვითმფრინავი დამასკოში ექიმებთან და მედპერსონალთან ერთად. ყველა დაჭრილი გადაყვანილ იქნა მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ საავადმყოფოში. თითოეულ მათგანს ორი-სამი ოპერაცია გაუკეთდა. მართა სავანელს 8 ტყვია ამოუღეს, 12 დღე იყო კომაში.

5 სექტემბერს ყველა ქართველი მებრძოლი დაბრუნდა დამასკოში. საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 3.035 მებრძოლნი დიდ მადლობას უხდიან რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, ყველა ექიმს, გაწეული შრომისათვის, თავდადებისათვის, გულისხმიერებისთვის.

სალომე მწიფური
გიორგი ჩოლოყაშვილი
ავთანდილ გამყრელიძე
ლელა ჯინჭარაული
გიორგი ციხისთავი
სულ 3.035 მებრძოლის სახელით,
სირია, დამასკო, 7 ოქტომბერი.

უგნოგისა გამო გიძინას „დიდებით“ დაგრუნებაზე...

ბიძინა ივანაშვილი შეიძლება დაბრუნდეს პოლიტიკაშიო, - კი მაგრამ, როდის წავიდა რომ? ამ ჭორვილის მასშტაბის მეფისტოფელს თავი ახლა ივანე მრისხანე ჰგონია, თავის დროზე, გადადგომა როს გაითამაშა და მოსკოვის ახლოს რეზედენციაში დაიდო ბინა. ალბათ ბიძინაც ელის ისეთ"დეპუტაციას", ივანე მრისხანეს მუხლმოდრეკით რომ ეახლა, დაგვიბრუნდი, ნუ გაგვწირავო და მანაც "სულგრძელად" შეისმინა ხალხის მუდარა - დაბრუნდა და სულ ვაი-დედასა აძახებინა მთელ რუსეთს. დარწმუნელი იყავით, ჩვენთანაც სულ მალე შეიკრიბება შესაბამისი ხალხმრავალი დეპუტაცია და მუხლებზე ხოხვით (ამაში ნავარჯიშებნი ქე ვართ...), შეევედრება ბიძინა-ლამას, რათა კვლავაც "იხსნას" უმადური სამშობლო! მანამდე კი თავისი "ოპრიჩინით", რომელსაც ჩვენთან პროკურატურა ჰქვია, ურჩებს, იმ ურჩებს რომლებმაც გაბედეს და ურჩობა გაუწიეს, საპყრობილეში ხომ ამწესებს და გაამწესებს, ხოლო ბრბოდქცეულ ხალხს მისი ერთგული ბოიარ-წითელი ინტილიგენციით საამოდ ისე დაამუნათებს და დააზომბებს, როგორც აქამდის ამუნათებდა და აზომბებდა, სადღვებელაშვილ-ვაჩნაძეს მსგავსი მოიერიშეებით "გათავხედებულ ჭინკებს" კი თავპირს დაუსისხლიანებს და ასე ამგვარად "ხალხი" ოსანას ძახილით შეეგებება მონობის ახალ უღელს, რომელსაც ბიძინას ბედნიერ დაბრუნებას დაარქმევენ ჩვენი სახელოვანი მემატიანენი.

არა გჯერათ? არა გჯერათ და ნუ გჯერათ, ჩემი საქმე იყო გაფრთხილება, თქვენი კი დაფიქრება იმაზე, თუ დროზე....

ნოდარ კობერიძე

შეკითხვა ლიტერატურულ მკვლევარებს!

ე.წ. პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირმა ინაშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელის (როგორც ისტორიულად ცნობილია, პირველი ტყვია ილიას, სწორედ მისმა ოპოზიციის ლიდერმა ივანე ინაშვილმა ესროლა, შემდგომ კი ბერბიჭაშვილმა) პირდაპირი შთამომავალი ხომ არ არის?!.

ინაშვილების გვარი, არცთუ ისე მრავალრიცხოვანია ჩვენში, რომ მეცნიერებს გაუჭირდეთ ირმა ინაშვილის ნათესაური შტოს დადგენა ივანე ინაშვილთან...

კონსტანტინე გამსახურდია (უფროსი) ეკუთვნის ნოდარ ჯავახიშვილს

როგორც შევიტყვე, პირველ არხზე დასრულდა ფილმი ლარის შემოღებაზე, რომელსაც უკვე 20 წელი შეუსრულდა ოქტომბერში. ფილმში ნოდარ ჯავახიშვილი (ბიძინას მიერ წუმპიდან ამოთრეული კაცუნა), სისულელეს როშავს ზვიად გამსახურდიას შესახებ, რის თაობაზეც რომან გოცირიძე, ლარის ერთ-ერთი ავტორი, ხოლო ზვიად გამსხურდიას პარლამენტში ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იხსენებს:

"ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, რომ ზვიად გამსახურდიამ იკითხა, ხომ არ არსებობს მაგალითები ფულზე მოქმედი პრეზიდენტის გამოსახვისო. მიმიხვდით, რა უნდოდაო smile ემოცია. არ დაიჯეროთ. სრული სისულელე. ზვიადს არასდროს უთქვამს ეს. ჯავახიშვილი რაიონული პატარა ბანკის მმართველი იყო და არ ჰქონდა ამ საკითხთან არავითარი შეხება. ძალიან კარგად ვიცით გივი თაქთაქიშვილმა, ტარიელ გელანტიამ და მე თუ რა და როგორ იყო. სამწუხაროა, რომ დღემდე არ წყდება უაზრო ჭორები. ყოველ ასეთ რამეს დღეს უფრო მძაფრად განვიცდი, რადგან ვიყავი იმ საბედისწერო პროცესების მონაწილე.

მამუკა გონგაძე ჰყვება საინტერესო რამეს: ერთ-ერთ ვერსიად ამირანის ვარიანტი გვქონდა მოხაზული და ზვიადმა თქვა, კარგი იქნებოდა, ამირანის სახე თუ მერაბ კოსტავას მიემგვანებოდაო. ესეც სასხვათაშორისოდ. მისი ერთადერთი სურვილი იყო ფულზე ყოფილიყო შოთა რუსთაველი. ეს ჩვენც ვიცოდით მაშინ."

უსულობით დამპლებო, კი არ დაგვიწყებია თქვენი მაშინდელი ჭორები, მოსკოვამდე და ვაშინგტონამდე რომ გაგქონდათ და გამოგქონდათ, ზვიად გამსახურდიამ კათალიკოს-პატრიარქს უბრძანა, სვეტიცხოველში მეფედ უნდა მაკურთხოო. ასეთ ხმებს რომ ავრცელებდით, დღეს ხომ ჩანს, რატომაც: ჯიხაშკარ-ხიბულას ამზადებდით, თქვენს სულს თუ უსულობას შეუკურთხა სატანამ.

2016 წლიდან ეროვნული ბანკი მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის - ლარის განახლებულ ბანკნოტებს გამოუშვებს. ახალი ბანკნოტების პრეზენტაცია სებ-ის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ უკვე გამართა. 20, 50 და 100-ლარიანი ბანკნოტები ეტაპობრივად გამოვა და მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად.

"ეს არის ლარის 20-წლიანი ისტორიის მანძილზე, ბანკნოტების დიზაინის პირველი მნიშვნელოვანი განახლება. ეს პროექტი აერთიანებს ფულის ნიშნების წარმოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღს, მოვლენას და ფაქტორს: პირველი, როგორც მოგეხსენებათ 2015 წელი ეროვნული ვალუტის საიუბილეო თარიღია, ეს იყო ახალი ეპოქა ქართული ფულის ისტორიაში, შესაბამისად, დიზაინის განახლებაც ამ მნიშვნელოვან თარიღს დავამთხვიეთ; მეორე, მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკი პერიოდულად ავსებს ფულის ნიშნების მარაგებს, რითიც ანაცვლებს მიმოქცევაში არსებულ უკვე გაცვეთილ და დაზიანებულ ფულის ნიშნებს ახალი ბანკნოტებით. მოცემული პერიოდისთვის სებ-ს მარაგების შევსება უწევდა, შესაბამისად, ეს იყო საუკეთესო დრო, ვინაიდან პროცესი არ მოითხოვდა დამატებით ფინანსურ რესურსს; მესამე ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა და ტექნოლოგიური პროგრესი - თავის დროზე ლარის ბანკნოტები საკმაოდ მაღალი სტანდარტის იყო და პასუხობდა საერთაშორისო მოთხოვნებს, წლების მანძილზე მნიშვნელოვნად დაიხვეწა ბეჭდვის პროცესი, შეიქმნა უფრო ძლიერი დამცავი ნიშნები - სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, გვქონოდა განახლებული დიზაინის ფულის ნიშანი", - განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ.

ლარის განახლებულ ბანკნოტების დიზაინის ავტორი ბაჩა მალაზონიაა.

წყარო: http://www.tabula.ge/ge/story/101364-laris-ganaxlebuli-banknotebi-mimoqcevashi-2016-tsels-gamova

„როდესაც მწერალთა ჩამონათვალში აღმოჩნდა კონსტანტინე გამსახურდია, პრეზიდენტმა მისი ფულზე გამოსახვის შესაძლებლობა კატეგორიულად გამორიცხა“

საქართველოს სახელმწიფო გერბის, საინვესტიციო და საცირკულაციო მონეტების ავტორი, მხატვარ-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე განახლებული 20, 50, და 100 ლარიანი ბანკნოტების კონკურსის გარეშე, ერთი მხატვრის მიერ შექმნას მახინჯ მემკვიდრეობას უწოდებს. გონგაძე საკუთარ განცხადებაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული ფილმის შესახებ რამდენიმე დაზუსტებას აკეთებს.

„კვირას, 8 ნოემბერს, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა ფილმი „ლარის გზა“, სადაც ერთ-ერთი რესპონდენტი გახლდით მეც, რადგან 1991 წელს საქართველოს პრეზიდენტთან, ეროვნულ ბანკთან და უზენაესი საბჭოს სამუშაო ჯგუფთან ერთად ვქმნიდი ახალი ქართული ფულის ესკიზებს.

ყოველგვარი პოლიტიკური მიკერძოების გარეშე მინდა გავაკეთო რამდენიმე დაზუსტება: ფილმში ნათქვამი იყო, რომ გარკვეულ წრეებში საუბარი იყო ახალ ქართულ ფულზე მოქმედი პრეზიდენტის ზვიად გამოსახურდიას გამოსახვის შესახებ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ უშუალოდ პრეზიდენტთან მსგავსი საუბარი არასდროს არ ყოფილა. მეტიც, პრეზიდენტთან განხილვებისას, როდესაც წარდგენილ ფულის ოჯახში მწერალთა ჩამონათვალში აღმოჩნდა კონსტანტინე გამსახურდია, პრეზიდენტმა მისი ფულზე გამოსახვის შესაძლებლობა კატეგორიულად გამორიცხა.

აღნიშნულ საკითხს არ მივაქცევდით განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ზემოთ ხსენებული ყბადაღებული მიზეზი არ გამხდარიყო 1992 წელს - უკვე სამხედრო გადატრიალების შემდეგ - ახალი ფულის ნიმუშების მომზადების სრული უფლებამოსილების ერთი მხატვრისთვის გადაცემის საფუძველი. 1992 წელს 2 იანვარს, ფულის გამოშვების საქმესთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის ვიზიტი ევროპის ქვეყნებში გაუქმდა. იმავე წლის 6 იანვარს ხელისუფლებამ დატოვა თბილისი, ხოლო 2 თებერვალს სამხედრო საბჭოს სხდომაზე - ახალი ქართული ფულის ნიმუშების მომზადება - მიზეზით - „თქვენ აპირებდით ზვიად გამსახურდიას დახატვას ფულზე“ - სამუშაო ჯგუფებს შეუწყდათ უფლებამოსილება ერთი მხატვრის სასარგებლოდ.

ტრადიცია გრძელდება დღესაც. 2016 წელს მიმოქცევაში გავა განახლებული 20, 50, და 100 ლარიანი ბანკნოტები, რომლებიც შექმნილია იგივე მხატვრის მიერ (ბაჩა მალაზონიას - რედ.), ყოველგვარი კონკურსის, საზოგადოებრივი ჩართულობის, გამჭვირვალეობისა და სახელმწიფო სიმბოლოსათვის აუცილებელი სტანდარტების დაცვის გარეშე.

დიდი მადლობა ფილმის ავტორებს, რომ დაინტერესდნენ ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხებით, აღნიშნული ფილმი მიუძღვნეს განახლებულ ლარს, ლარის შექმნიდან 20 წლისთავს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ლარმა გაიარა რთული გზა, უცილობლად დიდი მონაპოვარია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მაგრამ როგორც 90-იანი წლების მახინჯი მემკვიდრეობა გასწორდა სხვა სფეროებში, აუცილებელია, ამ მემკვიდრეობის გამოსწორება ლარის შექმნის, განახლების და ღირსეული მომავლის უზრუნველყოფის საქმეშიც“, - აღნიშნულია განცხადებაში.

შეგახსენებთ, საზოგადოებრივი ჩართულობის გარეშე ახალი ბანკნოტების გამოშვებასთან დაკავშირებით, გონგაძის განცხადებებს ეროვნულ ბანკში უპასუხეს. ბანკის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მელაშვილის განცხადებით, ლარის ახალი ბანკნოტების შემუშავებაზე კონკურსი გამოცხადდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა მათი თემატური ცვლილება.

ქალაქის ხიდს 100 ათასი მოწამის სახელი ეწოდა

მიმდინარე, 2015 წლის 13 ნოემბერს, 100 ათასი მოწამის ხსენების დღეს, მეტეხის ხიდს, წმინდა 100 ათასი ქართველი მოწამის სახელობის მეტეხის ხიდი ეწოდა დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას გადაწყვეტილებით.



ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ირაკლი ჭინჭარაული

***

მოდი, მიგლოვე უშენობის ურჩი არნივი,
ან სიყვარულის ქარაფები გავითავისოთ,
მდუღარე სისხლით აღელვებული
ვენებს დავიჭრი,
თუ ორგულობა შემიჩნდება საგულლამისოდ.
ნახე, ჰორიზონტს ვეფერებით მე
და ნისლები,
ნახე, სამშობლოს ბინდისფერი
ჩოხა აცვია,
დღეს გულნატკენი ხევსურივით
გადავითვრები,
ვერ განმიკურნავს მთვარის
სისხლი შენგან ნატყვიარს.
ცეკვის ლანდები აჭყვეტიან ხეობის ლანდებს,
რქადალეწილი მნვერვალები დაინყებს ბორგვას,
თუ სიკვდილია, როცა გინდა, საამოთხეს გავდეს,
თუ სიცოცხლეა არასოდეს არ გავდეს ბოდვას.
მოდი, მიგლოვე უღმერთობის ურჩი არნივი,
ან სიყვარულის ქარაფები გავითავისოთ,
მე ილბლიანი ფათერაკის ნამებს დავითვლი
და უშენობა შემიჩნდება საგულლამისოდ.

***

ბედი დასნყიეს დედისაო, მზეც თუ შვილებმა მიმატოვეს,
აკვან ვეურნიე ნანინაო, მაინც ცხელ გულზე დამათოვეს.
ეამი დალიეს რაშვილითა, ოდეს ქარიკით ცა დატორეს,
კვალი არიეს გახედნითა, სული ბეჩავი ბრმა დატოვეს.
ვხედავ დარია ვედრებისა, ღმერთო არიდენ გლალატობდე,
ჯვარი დამნერე შენევნითა, ნულარ ეული ვანათობდე,
ვზარდო ნისლები ფერებითა, ცისნყალი უხვად არაკობდეს,
და ბილიკების ჭრელებითა, სამზეოს კვარი დანათოდეს.

გივი ილურიძე

***

– რუსთველო ბრძნობა გიკურთხა,
ზნე გიკამკამა ზეანამან;
ზნით, – შენით, – მზენიც აზნენა,
ზნეცა მით განამზენა, მან!
ნას, შენსას, ბაძვით მივებნით,
შეგვცინა ამაზე, ნამან, –
როკვით გვიოგნა ჯვრეტანი, სმენანი
– ლამაზ ენამან.
– შენ, შაირთა ფლორად მფენი,
რუსთველად ზეანამ გადიადა;
ვინ მოსთვალოს, – თქმანი გვირგი,
სად ვარდად და სად იადა!..
ცაც, ციმციმთა მცვრევად გვემცნა, ეს ხომ ცხადზე ცხადია და
მზრდელად მადლი დაგვიბედდა (დად, დედად და გადიადა)!

***

ქართულო, თუ არ შენითა, მზე ზნესთან რამ აზიარა?!
საჯურჯლე შენი ვიხილე, აღმომხდა: ლამაზია, რა!
ბექთარიც შენი ავისხი, ვგმე ლიქნი, თავაზი – არა!
შოთავ, მით გულსა მელხინა, მირჩა, – ფარნავაზ, – იარა!
– მტერიმც, – ქართულო, ვერ განყენს, თავსა არ ანყენ, თუ შენით:
კუთხურსა გვინუნებდიან, არ კუთხურ (არ–კი, მრუშ) ენით;
რაც არ კუთხურით გვინყინეს, კუთხურვე მოვიშუშენით,
მით ვიმეგრ–ვისვან–ვიმესხნეთ, მუნ მითვე ვიფშავ–თუშენით!
– სიტყვავ, – ცრერთა ზნისა ხარ, – სნორიც და ნართაულიცა!
(ქართულმან, უკუთხურონი ნუნიათ გადაულიცა; –
კუთხურთა ძნათაც მოჰკრიდა, კუთხურ ავარგა ულიცა)!
ახლითაც სული მიდგია, გენაცვა არქაულიცა!

***

დარდო, დედოსა რით მოჰგავ, ზარნიცა რა რიგ რეკენი! –
დროთა ქარაგმად რად მოგდგამს იქს–ენი და იგრეკ–ენი!
მეც, უქარაგმოდ რა მექნა, – ჩანგი და ნაი გრეკენი,
ნათქმნიცა, ზოგნი ვაიქსენ, ზოგნიცა ვაიგრეკენი.

***

თხრილსა ვზი სანუთროისა, ერთისა ვარ ამარა: ნის!..
თავს დამცქერაის ასული, – მზეთა თუ არა, მა, რანის!..
აზვრის, აბადავს სანახთა (არ მთრობად არ ამარანის),
მანგთა და ვარდთა ნანავსა ახშირს, ანარამარანის!
ნადილის დილაც გამითენდ, პირიმზისაა – რა კოცნა!..
მთასა გვირგვინად უსნორდა (ალაგიც საარაკო ცნა)!..
– ნისლ, მიმშვენდ, მილალდ, დამირიკდ, აიგავ–აარაკ ოცნა!
როკვაც რო საიგავო გჯირს, ხელთა მაქვ – საარაკოც, – ნა!
ზენავ, შენსა ხმას მივენდე, სხვათაც, – თუცა – ნამეტანი
(ნყრომის ნილცა, – რას ვიზმიდი, თუ არ თმენით ამეტანი)! –
კორდსა ცვარნიც მით არ ვაკელ, ვარდ–ზამბახთა ვნამე ტანი;
„ახ, ნეტათ" მზენიც ვსახნე („ახთა", „ოხთა" პლანეტანი);
თქმანი ვკონე, ხმათ ვეაჯე, გზა მიკვალა ამ აჯამ და
თქმათ და ხმათა თაიგულად, ფერთ და შუქთა გამა ჯამდა;
იმავ ფერთა შუქთა ეტყო, – თქმით, რომ ართუ რამ აჯამდა;
აჯათ ჯერთა ჯერნიც მივჯარ, ჯერი ჯერთან გამაჯამდა.

ნათელა გოხელაშვილი

ზვიადის ბოლო ნოტი

ჯიხაშკარი დაეფარა ნვიმამრავალ
ლრუბელს,
ზვიადს ნვიმის ეს ნვეთები
უმძიმებდა უბეს,
მხრებზე ანვა საქართველოს
ხანდაზმული ტვირთი,
ზღვის ტალღებზე მონავარდე
აზრდაყლილი ზვირთი.
სევდიანად აყლერებდა
უკანასკნელ ნოტებს,
ამბავს ყრემლით უყვებოდა
რემბოსა და ბოდლერს,
ჯიხაშკარში განმეორდა ნინამყრის განყდა,
ბოლო ნოტი ლილეოსი, საქართველოს გასყდა.

დავითი გეტყვის

მნუხრი ჰფენია საქართველოს ნათმარ მინდორს,
ნარსულ დიდებას ვერ ივინყებს, გასტქერის დიდგორს,
ნეტავ, საიდან ჩაგვისახლდა სულში სატანა,
რა რიგ ძნელია შეგუება, ამის ატანა.
მოვა ეამი და, ქართველი კვლავ დაიბადება,
ბაგრატ მეფედ და ყრმა დემეტრე თავდადებულად,
ტოტნე გაარღვევს საუკუნეს ერის სახსნელად,
გაყოყლდებიან საქართველოს გადასარჩენად.
დავითი გვეტყვის– რად მოუშვით მტერი აქამდე,
საზღვარს აღვადგენთ,–ნიკოფსიდან დარუბანდამდე!

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ტეხურის პირზე დაცემული უფლისციხელი მედროშე და პატარა ბიჭი მახარია

ნოველა

ეს ნოველა სამშობლოს ჭეშმარიტ თავისუფლებას შეწირული ვარაზ ვარაზიშვილის, არჩილ რამიშვილის და აფხაზეთში დაღუპული გმირების -კაკო ხარაბაიძის, რეზო სესკურიას, კირილე რევიშვილის სხვათა მრავალთა ნათელ ხსოვნას ეძღვნება. ჯერ კიდევ ბავშვობაში გადავფურცლე გურამ რჩეულიშვილის „უსახელო უფლისციხელი“. მაშინდელი ტკივილი სულსა და გულში ჩაკირული, მთელი ცხოვრების მანძილზე მომყვება. მაშინ დამდინდა ცრემლი პირველად სვედამწვარ ქართლის ბედზე. ლანდადქცეული საქართველოს დღევანდელობამ კვლავ შემიხსნა ყრმობისდროინდელი იარა და კალამს ხელი შევახე...

დღე ილეოდა... მწუხრის პირს ეთხოვებოდა გათანგული, ნამტირალევი მზე....ნაომარ, სისხლით მორწყულ ჭალაში ათიოდე წლის ფეხშიშველა, თვალებხატულა ყმაწვილი დააბოტებდა ცხედრებს შორის. გაფითრებულ სახეზე დამშრალი ცრემლის კვალი დასტყობოდა. სევდით ავსილ დაწითლებულ თვალებს შეძრწუნებული აქეთ-იქით აცეცებდა. ნაჭურვალი ადგილიდან მომაკვდავის კვნესა შემოესმა, მიიხედა... სისხლით მოსვრილ გულმკერდზე დაფლეთილი დროშა წაეფარა დაჭრილს. შეშინდა ყმაწვილი, არ ენახა არადეს მომაკვდავი. დაყვირება სცადა... მშველელს ეძებდა... ვერ გაბედა ხმის ამოღება. გადაღმა ჯავშანმანქანის თუხთუხი ისმოდა. მივიდა, ისინი ჯერ ისევ არ გასცლოდნენ ბრძოლის ველს.

— ვაი თუ ჩემს დაძახილზე მოცვივდნენ, მთლად დაცხრილავენო მხეცები დაჭრილს – მსწრაფლ გაიფიქრა. მომაკვდავმა თვალები გაახილა, თვალისჩინი ელეოდა... ლიბრი გადაჰკროდა ბაიაზე, ბურუსი ეძალებოდა სახედველს...ყმაწვილი ახლო ჩაუცუცქდა... მათარა შეახსნა... შიგ ჩარჩენილი წყალი პირთან მიუტანა.. მოასმევინა... ხელი დაისველა, შუბლი მოუწმინდა...იგრძნო დაჭრილმა; ვიღაც მშველელი მოვლენოდა...ძალი მოიკრიბა, ბურუსს დასძლია...პატარა ანგელოზი დასდგომოდა თავს... გაუღიმა... მადლიერმა პაწაწა ხელი დაუკოცნა... გეშინია ბიჭიკო? მიმართა დარანული ხმით. პატარამ იუარა შიში, თავი გააქნია.

— გიკვირს, თოლიგე, გიკვირს? მეც მიკვირს ყოველივე, რა ბოროტებაც ხდება ჩვენს თავს. შენოდენა რომ ვიყავი ასპინძა და შამქორი მესიზმრებოდა, ბასიანსა და დიდგორს ვნახულობდი მძინარე. კოჯორი და ტაბახმელა გულს მიკლავდა. ბაზალეთი მზარავდა და მეშინოდა მისი. თავისუფლების განთიადსაც შევესწარ, მაგრამ ცისკარი დაგვიღამეს...ტეხურის პირს წამოგვეწია ის წყეული ბაზალეთი...დღეს აქ, ამ ჭალაში, ავტომატი კაკანებდა, ქვემეხები ჰქუხდნენ, მიწა გადაბუგეს, ხედავ ამ ხეებს შუაზე გაჩეხილთ?

— თავის წამოწევა სცადა სულთმბრძოლავმა...პატარა შეეშველა... იქვე ჩამოუჯდა... მუხლზედ გადაიდო დაჭრილი თავი...

— შეხე, აი იქ, ბუჩქის კიდეს შაშვი გდია დაფლეთილი, არც ის დაინდო ბრმა ტყვიამ... არადა მისი სიმღერის გარეშე რა ხიბლი აქვს ამ ჭალას. თუმც რაღა ელხინებოდა, აწ აღარ იგალობებენ აქ შაშვები და მაფშალიები. ეს ადგილი ცოდვიან, საგოდებელ ჭალად იქცა. აქ ომი იყო, თოლიგე ომი, სამარცხვინო, ძმათამკვლელი ომი... ტეხურის გაღმა „ისინი“, გამოღმა ჩვენ... რაო, რისთვის იომეს? აქეთურნი სამშობლოსათვის... თავისუფლებისათვის... პირნათლად, ალალად იბრძოდნენ, იქეთურნი — სკამისთვის და ფულისთვის, მოტყუებულნი და შეცდომილნი. თუმც იმათ რომ ჰკითხოთ, ისინი მამულის ჯარისკაცები არიან, „პროვინციულ ფაშიზმს“ აუმხედრდნენ, „თავისუფლებისა“ და „დემოკრატიისთვის“ იბრძვიან, ოღონდ უცხო თესლის მხარდამხარ, მაგრამ მომხვდურთან, გადამთიელთან ერთად არ ეგების მამულისთვის წვა და დაგვა, არა! ის ოტროველა, ფლიდია და ავაზაკი. არ გაბრძოლებს დედულ-მამულის სასიკეთოდ. იმ სხვას თავისი მუცლის გვრემა აწუხებს, სულ სხვისი მიწა-წყლისკენ უჭირავს მოწკურული თვალი. ამ ჭალაში ძმებმა დადაღეს ერთმანეთი... ამ ჭალაში სამშობლო წაგვართვეს... მიწა გამოგვაცალეს ფეხქვეშ... მახარია.... ფესვებს მოგვწყვიტეს... ერისმთავარი დაგვიმარცხეს მამულზე დაგვით გათანგული... მარცხი მისი კი ჩვენივე გაუტანლობა და ბედოვლათოობაა...უფლისციხედან წამოველ, მახარია, ქართველების შერიგება მინდოდა, ტაბახმელასთან დაცხრილული დროშა ვიახლე თან. მეგონა შევძლებდი შერიგებას, მაგრამ აქ გადამთიელნიც დამხვდნენ თავისი განუყრელი ტანკებით. არყით გამომთვრალ ავაზაკთ თავისი გაეტანათ...ვერ შევძელ... გონდაბინდულმა ყურად არ იღეს ჩემი ვედრება... არც ფიცმა გასჭრა... მერე აქეთ გადმოვლახე ხევი... იქ ყოფნას, აქ მამულიშვილებთან სიკვდილი ვარჩიე...არ ვნანობ, მახარია, ესეც ჩვენი ქვეყნის უიღბლო ბედისწერა ყოფილა...

ეროვნული ხელისუფლების განდევნა [უმენაესი საბჭოს შენობა, 1992 წლის 7 იანვრის დილა]

ჩვენი სიცოცხლე მიიღო ზეციერმა ... მოღალატეთაგან შებილწული საკურთხეველი საქართველოსი ჩვენივე სისხლით უნდა განწმენდილიყო, ალბათ... იქ, უფლისციხეში დედა დავტოვე მარტოსული, ხმა მიაწვდინო ეგების... კოლხეთისკენ მამულად წამოველ... დედას ვერ გავენდე, შემებრალა... ვიცი დამეძებს და მელოდება, ჩემს ცხედარს ნუ დაუკარგავთ უბედურს...ამ ჭალაში მამული მოგვისრეს, ღირსება შეგვიგინეს, სულში ჩაგვაფურთხეს, აბუჩად აგვიგდეს...დაიხსომე! წაგლეჯილ მამულს დაბრუნება და გაფრთხილება უნდა, მახარია! თუ მკვიდრად არ დადექ შენს მიწაზე, თუ არ ჩაეძირკვე შენს ფესვებს, იცოდე გადაჯიშდები!...სულსაც ამოგვართმევენ... თავის ბილწ სულს ჩაგჩრიან მაგ ლამაზ ჯიშიან სხეულში, ჩვენეული ღვთივკურთხეული სული ხომ აცისკროვნებს და აკისკასებს. უკეთურნი ჯილაგსაც წაგგვრიან, წაგართმევენ გვარსაც და კოლტის ღორივით ყურს დაგინომრავენ! ასე სჭირდება „ახალ მსოფლიო წესრიგს“ სატანურს! დაგამონებენ სამუდამოდ! ოოო, რა უბედურია უსულო მონა!...დახე და დაიხსომე ესენი, აქ რომ მიმოფანტულან, აქეთურნიც და იქეთურნიც, შენი ძმანი არიან, სისხლი სისხლათაგანი და ხორცი ხორცთაგანი... ილოცე მათთვის... ადიდე შენს ოდაბადეს უანგაროდ შეწირულნი, მამულის მეციხოვნენი და შეავედრე უფალს იქეთური ძენი ცდომილნი...ყრმის ლოცვა ალალია, წმიდაა, უანგარო...შეისმენს უფალი...

გაპობილი გულისპირი ხრიალებდა, დაკოლტილი სისხლი გადმოინთხა იარიდან... დროშის კიდით გადაიფარა ჭრილობა მომაკვდავმა, მოერიდა პატარას, შეძრწუნდებაო, გაიფიქრა... გადაივლის ეს ბურუსი, ეს კვამლიც გადაეცლება ცის თავანს... მოუშუშდება ყოველი ნაიარევი ჩემს ჯვარცმულ მიწა-წყალს... ცრემლიც შეაშრება ქვეყანას... წართმეულ გონსაც დაიბრუნებს ჩემი ხალხი... მაგრამ, აწი, მომავალში, არ ჰქნათ ამგვარი...შენს ტოლებთან მხარდამხარ, თანადგომით უნდა იბრძოლო ბედნიერი მერმისისთვის...გულისძირამდის შეიყვარეთ ერთურთი... სიძულვილი არ გაივლოთ გულში, არ გაიკაროთ სიახლოვეს...თვინიერ სიყვარულისა ვერ დაიბრუნებთ წარტაცულ მამულს... სიყვარული თვით არს ღვთისგან ბოძებული დაუშრეტელი საუნჯე!...სიძულვილი ეშმასეულია... სიძულვილმა დაგვამარცხა ამ ჭალაში და გაგვაცამტვერა... დღენიადაგ იღვაწეთ თავისუფლებისათვის! სხვისგან ძღვნად მორთმეული თავისუფლება ფუჭია და უნაყოფო. დიდხანს არ გაგყვებათ, ყინულის ლოლოსებრ შემოგალღვებათ, თვალისჩინივით გაუფრთხილდით მას. სამშობლოს მოუარეთ, უჭირისუფლეთ, ჩვენსავით ნუ მოურღვევთ ღობე-ჭიშკარს, ნუ მოაფრიალებთ, არ დააგდოთ და არ მოიძულოთ, თორემ ჩვენი ჯილაგი არ ჰხარობს უცხო მიწაზე, ვერ ხეირობს, კნინდება, სნეულდება და კვდება... ნურც უცხო თესლს აპარპაშებთ და ათარეშებთ სამტროდ და სამამაძაღლოდ ამ ჩვენს მამულში!... არ დაანებოთ მახარია ეს მიწა-წყალი არვის! იგი ჩვენი სისხლი და ძვალია მიწად ქცეული...ჩვენსავე თესლმა უნდა იხაროს მის წიაღში...ოდითგანვე ოცნებობდნენ უქართველო საქართველოზე, მოყვარე არ გვყავს, ჭირიმია, არსაით, ავის მდომნი და მუხთალნი დაგვსევიან თავსზეით ყოველი, მოყვრულად არცვინ მოსულა აროდეს...ნუ გამიხარებთ იმათ გულს, მახარია! „ჩელას“ და „ლილეოს“, „წინწყაროსა“ და „შენ ხარ ვენახს“ ნუ დამიდუმებთ!

მრავალჟამიერს ნუ ჩამიკლავთ! არ ჩააქროთ კერია!.... ჩვილთა ღნავილი და აკვნის თალა არ მოშალოთ, მახარია, თვალხატულა გოგო-ბიჭების სიცილ-კისკასს გააყრუებინეთ არემარე... მოძლიერდით, მოღონიერდით, შვილთა სიმრავლემ არ შეგაშინოთ, გამრავლდით! ას მილიონსაც დაგიტევთ დედა საქართველო, ის უსაზღვრო და უსასრულოა საკუთარ შვილთათვის....ვაზს გაუფრთხილდით, ის უკვდავების თილისმაა ჩვენი მოდგმისა, უფლის ძარღვებია წმიდა სისხლმჩქეფარე...სხვის ომში ნუ იბრძოლებთ სხვისი დროშის ქვეშ, არ დაგიმადლებენ, თოლიგე, არ დაგიფასებენ დანთხეულ სისხლს, სხვის მიწაში ძვლებსაც არ გაგიჩერებენ, ასეთია მათი ჩვევა და ადათი ოდითგან...

შუბლი და საულვაშე ცივმა ოფლმა დაუნამა. ყოველს სიტყვას ძალას ატანდა, უნდოდა ყველაფერი მოესწრო, უთქმელი არ დარჩენოდა, თან არ ჩაეტანა სამარტვილეს.

— მაცდურმა არ გაცდუნოთ! სჯული არ დააგდოთ ჩვენეული, თორემ ზეციდან შეგაჩვენებთ წმინდანთა საუფლო ჩვენი! იცოდე საქართველო ორია — ერთი — აქ, მიწაზე დღეს დაცემული, დაბეჩავებული და ნირწამხდარი, უძღებ შვილთაგან ჯვარცმული. მეორე — იქ ზეცაში ამაღლებული და განსპეტაკებული, განწმენდილი, მართალთა სავანე და დევგმირთა სამზეო. დედის, დის და ცოლის მანდილს გაუფრთხილდით! მის ღირსებას ანაცვალეთ ყოველივე...ქართველი ქალი ყოფილა ჩვენი მოდგმის მესაძირკვლე და სარანგი ყოველჟამს! ცოდნას დაეწაფეთ უშურველად, სიბრძნის კელაპტრით გაიკაშკაშეთ გონება. სული გაირანდეთ და ზადი არ მიაკაროთ და თქვენი მომრევი არვინ დაშთება დუნიაზე! დაჩეხილია ჩვენი მამული, მახარია, დღეს...მას გამრთელება, სულის შთაბერვა, გაცოცხლება უნდა...მის წყლულებსა და ნაჭდევთ სალბუნად თქვენი გაზრდილი მგლის ლეკვები და ლომის ბოკვრები უნდა დაუდოთ, თორემ სხვაგვარად არ ეგების. ქვეყანას მართალი ჭირისუფალი თუ გამოუჩნდეს, ჩვენსავით არ გაუმწაროთ სიცოცხლე, ჯვარს არ აცვათ, ხიზნად არ აქციოთ, ძვალთ შესალაგი არ დაუკარგოთ, მტერი არ გამიხაროთ მახარია, თორემ აღარ შეგვინდობს ღვთისმშობელი, შემოგვწყრება უფალი და მოგვსრავს ამ მიწიდან... ცოდვად და სირცხვილად ბაზალეთი, წიწამური და ხიბულაც გვეყოფა. ღვთის შიში და სიყვარული დაიბრუნეთ და შეისისხლხორცეთ, მოყვასის ერთგულება, სამშობლოსთვის თავგანწირვა წარიმძღვარეთ შორეთში. ძმას და მოკეთეს ხიდად გაუდექით, ლხინში ულხინეთ, ჭირსა და გაუსაძლისში მხარს შეუდექით... ნურც სხვის სამშობლოსკენ გაგექცევათ თვალი, ქართველს არ სჩვევია სხვისი კუთვნილის დაჩემება და მისაკუთრება, არაა ქართველკაცური ეს საქმე, მარადჟამს ჩვენეულს გვეცილებოდნენ და გვტაცებდნენ. გულისფიცარზე სამიოდე სიტყვა ამოიტვიფრეთ: „ენა, მამული, სარწმუნოება“! ეს სამი სიტყვა უწმიდესი თილისმაა ჩვენი ერის უკვდავებისა, ილიასეულია, ამას ანაცვალა ყოველივე მისმა მემკვიდრემ და წამებულმა, ჩვენმა სინდის – ნამუსმა. ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ რომელიმე დაჰკარგეთ, თვალი ჩაიშლება, ლიბო მოერღვევა ჩვენს ტაძარს, მარადისობა რომ ჰქვია სახელად... აბა, შენ იცი მახარია, ნუღარ სტირი, ცრემლი შეიშრე, თავი ასწიე, გაჰყევ იმ გზას, რომელზედაც მართალნი ვლიდნენ, აღმა იარე, დაღმა არ ჩაჰყვე, აღმა მიდიოდა ისიც, მის გზას გაჰყევ...დაიხსომე, აქეთ არ გადმოუხვიოთ აროდეს, უკან არ მოიხედო, ეს ცოდვის კალოა, ნაძრახი, ბარაბას გზის ბოლოა! ის კი მაცხოვრისაა-იმ გზას ბოლო არ უჩანს, უსასრულოა, იმ გზით უნდა იაროს ჩვენმა ჯიშმა და თესლმა, მარადჟამს! ჩემზე ნუ იდარდებ, ჩვენი იღბალი ბრძოლის ველზედ სიკვდილი ყოფილა, საამოა ეს სიკვდილიც! მივდივარ, მაგრამ ტყვია არ მისვრია ქართველისთვის! დანაბარები ამისრულე, უფალს შეავედრე ჩემი სული, აი, ამ სამფეროვან დროშას გაუფრთხილდი, ნაომარია კოჯორსა და ტაბახმელაზე, პაპაჩემს ეპყრა ხელთ, იქაც და აქაც უგვანო ქართველმა დაფლითა და დაცხრილა, ვერც მე მივიტანე ტაძრამდის. შენ გაბარებ მახარია, ბრძოლის ქარცეცხლში არ დახარო, გამარჯვებისას ცაში ამიტყორცნე, გადმოგხედავ, იქ მაინც გავიხარებ, მახარია! მივდივარ, ცოტა გულიც მწყდება, სიყვარული ვერ მოვასწარ, ჩემი ცირა არ მყოლია, მახარია, მხოლოდ დედის ცრემლი მიმყვება თან და შენიც... მართალი და კაცური...

დაჭრილმა აკანკალებული ხელი მხარზე შემოსდო, უნდოდა მკერდში ჩაეკონა, დაუცურდა, ერთი ამოიგმინა და სულიც ამოჰყვა ...დედის ცრემლივით წმიდა იყო სულისთქმა მისი...მახარიას მკერდზედ შეაცივდა მედროშისა მარჯვენა... აზლუქუნებულმა პატარამ მკერდში ჩაიკრა ქოჩორჩამოშლილი მედროშის თავი...დასტიროდა პატარა მახარია უცნობ მედროშეს... ქვემეხით გაპობილი მზე დასალიერს ჩაესვენა... ეთხოვებოდა გმირის ცხედარს, ეთხოვებოდა ხვალამდის, რათა გაემრთელებინა გაპობილი მკერდი და ხვალე ისევ გაეცისკროვნებინა კოლხ-ივერთა მიწა და ზეცა ... სიო უგრილებდა პატარა მახარიას მარგალიტებად დადენილ მდუღარე ცრემლს... ბინდი ეძალებოდა ტეხურისპირს დადაგულ ჭალებს... იქით მთებს გადაღმა, ტყეში ჩამალული ძველი მონასტრის ჩამონგრეული სამრეკლოდან ძალუმად რეკდა დარანული დედოზარი...

ალექსანდრე სანდუხაძე

ეკონომიკური კრიზისი და პროფკავშირის პოზიცია

საქართველოში დღეს ეკონომიკური კრიზისია, რაც პირველ რიგში აისახება შემოსავლების უთანაბრობაში. ქვეყანაში „ჯინის კოეფიციენტი“ 0,40-ია. ეს მიუთითებს, რომ საშუალო ფენა იმდენად მცირეა, რომ საზოგადოება პრაქტიკულად მხოლოდ მდიდრებად და ღარიბებად იყოფა.

საქართველოდან საქონლის ექსპორტმა 2015 წლის იანვარ-სექტემბრის ცხრათვიან პერიოდში შეადგინა 1 644 900 000 აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23,6 %-ით ნაკლებია.

საქართველოში საქონლის იმპორტმა 2015 წლის იანვარ-სექტემბრის ცხრათვიან პერიოდში შეადგინა 5 664 200 000 აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9,0 %-ით ნაკლებია.

საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2015 წლის იანვარ-სექტემბრის ცხრათვიან პერიოდში შეადგინა 7 309 100 000 აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,8 %-ით ნაკლებია.

2015 წლის ნოემბერში 2014 წლის ნოემბერთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 6,3% შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 4,1 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,27 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღსანიშნავია ფასების მნიშვნელოვანი მატება შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (22,2 %), ზეთი და ცხიმი (15,6 %), ყავა, ჩაი და კაკაო (10,4 %);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 11,1 პროცენტით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1,04 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა. ფასები ძირითადად გაიზარდა ფარმაცევტულ ნაწარმზე (27,4 პროცენტი);

ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება: ჯგუფზე ფასები გაიზარდა 13,1 პროცენტით, რამაც წლიურ ინდექსზე 0,82 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა;

საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 8,2 %-ანი ზრდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,70 პროცენტული პუნქტით აისახა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, ელექტროენერგიის, აირისა და სათბობის სხვა სახეების ქვეჯგუფზე ფასების 10,5 %-ანი ზრდით იყო გამოწვეული.

საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი 2015 წლის ოქტომბრის თვისათვის 163,3 ლარს შეადგენს, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის ესეც კი სანატრელია.

2014 წლის მონაცემებით ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი 12.4 %-ია. გასათვალისწინებელია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მეთოდი, რომლითაც უმუშევრობის მაჩვენებლის დათვლა ხდება. იგი არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებსაც გააჩნიათ მცირე მიწის ნაკვეთი და მინიმალური მასშტაბის შინა მეურნეობა და არიან სოფლის მაცხოვრებლები. უმუშევრებში ასევე არ ითვლებიან ის ადამიანებიც, რომლებიც სამუშაოს არ

ან ვერ ეძებენ. შესაბამისად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ უმუშევრობის ოფიციალური მონაცემი - 12,4% სრულად არის აცდენილი რეალობას და უმუშევრობის რეალური ციფრი სავარაუდოდ 40%-მდეა.

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის შემადგენლობაში დღეს 7 პირველადი ორგანიზაციაა გაერთიანებული: შპს „რუსთავის აზოტი“-ს, შპს „ქართული ფოლადი“-ს, სს „მინა“-ს, კომპანია RMG-ის, შპს „საქნახშირის“, შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის და შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ის ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები. კოლექტიური ხელშეკრულება კი მხოლოდ შპს „რუსთავის აზოტი“-ს ადმინისტრაციასთან გვაქვს გაფორმებული. საქართველოს მთავრობის მიერ არ ხდება კოლექტიური მოლაპარაკებების წახალისება, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს დაძაბულობა და დასაქმებულთა მიმართ პროფკავშირული ნიშნით დისკრიმინაცია, მათი კონსტიტუციით და სხვა კანონმდებლობებით მინიჭებული უფლებების ტოტალურ შელახვა დამსაქმებლის მხრიდან, მაგალითად: შპს „ჯეოსთილი“-ს (რუსთავი), შპს „ევრაზიანსთილსის“ (ქუთაისი), შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“ (ფოთი) მეტალურგიული ქარხნები, სადაც შრომის არსებითი პირობების განსაზღვრა, ცვლილება, კორექტირების შეტანა არ ხდება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და ყველაფერს კომპანიის ადმინისტრაცია წყვეტს სოციალური პარტნიორობის გარეშე.

საგანგაშო ის არის, რომ 2014 წლის 1-ლი მაისის შემდეგ არ შემდგარა საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს - სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა. არა და საქართველოს შრომის კოდექსი 2013 წელს შესული ცვლილებების შემდეგ, უკვე ითხოვს ზემოთხსენებული მექანიზმების არსებობას და ფუნქციონირებას.

საქართველოს მთავრობის მიერ მოხდა შრომის ინსპექციის შექმნის სიმულაცია. რატომ? რადგან ნაცვლად შრომის ინსპექციისა, ქაღალდზე შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპრტამენტი, რომლის პერსონალური შემადგენლობა დაკომპლექტებული არ არის და მისი ხელმძღვანელის მოვალეობას ითავსებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. პარალელურად შეიქმნა სამუშაო ადგილების მონიტორინგის პროგრამა, რომელსაც კონტროლისა და რეაგირების ფუნქცია არ გააჩნია, ხოლო მედიაციის სამსახური, რომელმაც სამართლებრივად უნდა დაარეგულიროს კოლექტიური შრომითი დავები, საერთოდ არ შექმნილა. ზოგადადაც, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების მართვის პროცესში პროფკავშირების სრული იგნორირება ხდება. საქართველოს მთავრობის სწორედ ასეთი მიდგომა უწყობს ხელს სამუშაო ადგილებზე ტექნიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური უსაფრთხოების კატასტროფულად დაბალი დონის არსებობას.

პროფკავშირული აქტივობა იდევნება, ამის მაგალითებია: შპს „ჯეოსთილი“, შპს „მოულდს ენდ მეტალს ჯორჯია“, შპს „ჯი თი ემ გრუპი“ და სხვები. რომელთა ადმინისტრაციებმა ყოველ ჯერზე, როცა კი დასაქმებულებმა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები შექმნეს, პროფკავშირული ინიციატივის გამომჩენი მუშაკები სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო დანარჩენი დასაქმებულების მიმართ განახორციელეს სხვა სახის ზეწოლა და შანტაჟი. ამ მეთოდების გამოყენებით მათ მოახერხეს დასაქმებულთა დაშინება და უკვე შექმნილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების დაშლა.

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ხელმძღვანელებმა რეალური პროფკავშირული მოძრაობის გასანეიტრალებლად ხელი შეუწყო „ერზაც-პროფკავშირული“ (ყვითელი) ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც დასაქმებულთა შრომით-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების წარმომადგენლობისთვის საერთოდ არაფერს აკეთებენ. საქართველოს მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ დამსაქმებელთა მიერ პროფკავშირის ჩამნაცვლებელი

ორგანიზაციების შექმნა და ნებისმიერი სახის ხელშეწყობა მკაცრად არის აკრძალული საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებით, მაგალითად N98 კონვენციით.

სოციალური პარტნიორობისადმი ალერგიის მქონე დამსაქმებლებს ხშირად ახასიათებთ აბსურდული ქმედებები. მაგალითად: შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს ადმინისტრაციამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, რაც შეეხებოდა კოლექტიური ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებებთან დაკავშირებით, დასაქმებულებს წარუდგინა და გააცნო როგორც კომპანიის მენეჯმენტის კეთილი ნება. არა და დასაქმებულები 2 წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ, ხშირ შემთხვევაში თავადაც ესწრებოდნენ სასამართლო პროცესებს და ელოდებოდნენ კონკრეტულ შედეგებს.

შპს „ევრაზიანსთილსი“-ს ადმინისტრაციის ქმედებაც ასევე აბსურდული იყო. 2013 წლის გაფიცვის დროს ადმინისტრაციამ სამსახურიდან პროფკავშირის სამი ლიდერი გაათავისუფლა. საქართველოს პროფკავშირების დახმარებით სასამართლო დავა იქნა წამოწყებული ლიდერების სამსახურში აღდგენისა და განაცდური ანაზღაურების მოთხოვნით. 2014 წლის ბოლოს, მას შემდეგ რაც საქმემ სამივე ინსტანციის სასამართლო გაიარა, პროფკავშირის სასარგებლოდ დასრულდა, რის შემდეგაც მოხდა მოსარჩელეთა დაკმაყოფილება 2 წლის განაცდური ხელფასით და სამუშაოზე აღდგენით, თუმცა დამსაქმებლის სოციალური უპასუხისმგებლობა და სამართლებრივი ინფანტილიზმი იმდენად დიდი იყო, რომ პროფკავშირული ლიდერები სამუშაოზე აღდგენიდან ერთი კვირის შემდეგ გაათავისუფლა. შესაბამისად კვლავ იქნა სასამართლო პროცესი წამოწყებული, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში მაინც პროფკავშირის გამარჯვებით დასრულდა.

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მოქალაქეთა შრომით-სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური უფლებებისა და ინტერესების მიმართ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის დამოკიდებულება რადიკალურად უნდა შეიცვალოს სოციალური პასუხისმგებლობისკენ. ამის გაკეთება განსაკუთრებით აუცილებელია სამთო მრეწველობის სფეროში, მაგალითად ტყიბულში, ჭიათურასა და კაზრეთში. მთავრობამ და პარლამენტმა ამ რეგიონებში არსებული სამრეწველო პოტენციალი არ უნდა განიხილოს როგორც მხოლოდ ბიზნეს-პროექტი. ამ ქალაქებისა და დაბის არსებობა მთლიანად განპირობებულია მათი ბუნებრივი რესურსების პოტენციალით, მათი ურბანული, საყოფაცხოვრებო თუ სოციალური ინფრასტრუქტურა ამ საწარმოების მუშაობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მთავრობისა და პარლამენტის მიერ გახორციელებული უნდა იქნას სოციალური სახის ღონისძიებები და კონკრეტული პროექტები ამ ქალაქებსა დაბაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის.

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ არის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სოციალური პარტნიორი. მაგრამ მას ასევე ხელეწიფება სოციალური პროტესტის ყველა ფორმის გამოყენება, იქნება ეს მიტინგი, მანიფესტაცია, პიკეტირება, გაფიცვა, თუ შრომის საერთაშორისო სამართლით აღიარებული სხვა ტიპის აქციები. ჩვენ ვართ დიდი საერთაშორისო პროფკავშირული ოჯახის წევრები, გაერთიანებულები ისეთ ორგანიზაციებში, როგორიც არის: Industriall Global Union-ი, International Eurasian Metalworkers Federation-ი და სამთო-მეტალურგიული საერთაშორისო ფედრაცია.

ჩვენი პროფკავშირი მოუწოდებს მეტალურგიულ, სამთო და ქიმიურ მრეწველობაში დასაქმებულ ყველა მუშაკს, გავერთიანდეთ საერთო ძალისხმევაში. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოებას კი მივმართავთ - დავირაზმოთ მშრომელი ადამიანის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად!

თამაზ დოლაბერიძე

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი.

ცხვრები მგლებს შორის

მ ო ნ ა ნ ი ე ბ ა

ყოველთვის, როცა მოახლოვდება ხოლმე დეკემბრის ის საბედიდწერო დღეები, როცა საქართველოს მოღალატე პუჩისტებმა იარაღის ძალით იერიში მიიტანეს მთავრობის სახლზე, განდევნეს ეროვნული ხელისუფლება და პრეზიდენტი, შემდეგ კი თავზე დაგვამხეს და ნაფლეთებად გვიქციეს საქართველო, ყურში ჩამესმის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიტყვები:

...„ფაქტობრივად მე დამტოვეს მარტო, გაიხსენეთ ჩემი მოწოდებები დეკემბრის პუტჩის წინ, მიტინგზეც აღარ მოდიოდა ხალხი. მართალია დაშინებული იყო, მე მესმის, მაგრამ, გაიხსენეთ ლიტვა, როგორ ამოუდგა ლიტველი ხალხი მხარში ლიტვის ხელისუფლებას, ლანდსბერგისს 13 იანვარის მოვლენების დროს. თვეების განმავლობაში მორიგეობდა ათასობით ადამიანი ლიტვის პარლამენტთან. ჩვენთან კი, რა დაინახეს სიცარიელე მთავრობის სასახლის მოედნის წინ, სწორედ მაშინ დაიწყეს პუტჩი„(„ქართველ ერს, საქართველოს მოსახლეობას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას“-ზ. გამსახურდია, გროზნო 15.01.1993 წ. გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ თებერვალი, 1993, N3-5. ტექსტი გადმოღებულია ვიდეოჩანაწერიდან).

პრეზიდენტის ეს სიტყვები დღემდე სინდისის ქეჯნას იწვევს ჩემში, გულში მჭრის და სულს მიფორიაქებს, რადგან იმ საბედისწერო ღამეს მეც დავტოვე მოედანი. ბევრი ვიქექე მეხსიერების შრეებში, რათა იმ დღეთა ისტორიაში რაიმე ხელმოსაჭიდი და გასამართლებელი მეპოვნა, მაგრამ ამაოდ. იმდენად დიდი აღმოჩნდა ჩვენი დაუდევრობით, წინგაუხედავობით და არაორგანიზებულობით გამოწვეული სავალალო შედეგები საქართველოსთვის, რომ ვერცერთმა მიზეზმა ის ვერ გადაფარა.

მივყვეთ ფაქტებს, რომელიც იმ დღეებში მთავრობის სახლის წინ, როგორც სახალხო მიტინგების ერთ-ერთმა მონაწილემ ჩემი თვალით ვიხილე და ჩემი ყურით მოვისმინე; 4 ოქტომბერს მთავრობის სახლის წინ, მოედანზე იმდენი ხალხი ვიყავით, რომ იტყვიან ნემსი არ ჩავარდებოდა. სწორედ ეს აღიზიანებდათ საავკაცოდ მოსულთ და თავიანთი მზაკვრული შესასრულებლად ხალხის დაშინება და პროვოცირება განიზრახეს, რათა მოედანი გაეთავისუფლებინათ და გზა ხსნილი ჰქონოდათ შეიარაღებული იერიშისათვის.

უკანასკნელი ნაძირალებივით მუცლის არეში დაუტრიალეს დანები და არმატურის სინები კანონიერი ხელისუფლების მომხრე უიარაღო ვაჟკაცებს. გავარდა საბედისწერო ტყვია, რომელმაც იმსხვერპლა პრეზიდენტის დაცვის წევრი გია ტეტელაშვილი. ხალხმა შეიარაღება მოითხოვა, პოლიციაც შეუიარაღებელი იყო, თუმცა ისინი იმ დღეს ჩვენი დაცვისათვის თავს არ იწუხებდნენ. გადაწყდა, აქცია შეუიარაღებელი დარჩენილიყო.

„რა ვაკეთე?...რას ვშვრებოდი?“ იქვე მდგომ ადვოკატთა კოლეგიის წევრ ქალბატონებს ვთხოვე ტექსტი შეედგინათ იმის შესახებ, რომ გარკვეული ძალების მიერ, მთავრობის სახლის აღების მიზნით მოხდა პრეზიდენტის დაცვაზე შეიარაღებული თავდასხმა. მათ მომიწონეს აზრი, მოიტანეს საკანცელარიო რვეული და შეადგინეს ცოტა განსხვავებული ტექსტი, რომ მოხდა მთავრობის სახლის წინ მდგომი მშვიდობიანი მომიტინგეების ძალისმიერი რბევა. გადმომცეს რვეული და დავიწყე ხელმოწერები, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე, რადგან რუსთავისაკენ მიმავალ ბოლო ავტობუსისთვის უნდა მიმესწრო. რვეული გადავეცი ერთ ქალბატონს და ვთხოვე ხელმოწერების ჩამთავრების შემდეგ მიეტანა ვახტანგ ჭითავასთან, რომელიც იმ დროს მიტინგს უძღვებოდა. ჩემთვის დღემდე უცნობია იმ რვეულის ბედი. ვნანობ ჩემი წამოწყებული საქმე თავად ბოლომდე რომ ვერ მივიყვანე.

5 ოქტომბერს, მიუხედავად წინა დღით დატრიალებული სისხლიანი ბარბაროსობისა, მთელი დღე მოედინებოდა ხალხის ნაკადი. იქვე შევიტყვეთ გარეწრებს მოშიმშილეების შესაშინებლად 9 აპრილის მემორიალთან დილის 5 საათზე მორგიდან გამოტანილი ქალის გვამი დაედოთ.

ხალხის სიმრავლეს მოთმინებიდან გამოჰყავდა



ისინი და პროვოკაციებს უფრო მეტი ძალისხმევით განაგრძობდნენ. კარგახნის შეღამებული იქნებოდა, რომ მოულოდნელად ბომბის ზათქის ხმა გაისმა. სასახლის ექომ კიდე უფრო გააძლიერა მისი ხმა. ჰაერში ისროლეს. ვერ მივხვდით საიდან იყო სროლა. დაბნეულები და შეშინებულები ცხვრებივით ერთმანეთს ვიწრო გასასვლელისკენ მივაწექით, ნაწილმა სახლებს მიაშურა, ნაწილმა, ვინც ღამის თევით ვიყავით მისულნი რუსთაველის კინო-თეატრს შევაფარეთ თავი. სროლა მთავრობის სახლიდან მომხდარა. დავეჭვდით, რაში დასჭირდებოდა მთავრობას საკუთარი მომხრეების გაფანტვა? ... სწორეს ეს ფაქტიც ჰქონდა ალბათ პრეზიდენტს მხედველობაში, როცა იმავე მიმართვაში აღნიშნა:

... „ შიგნითაც ნახევარზე მეტი მოღალატე იყო, ამ მწარე სიმართლეს დღეს გეუბნებით. მთავრობის სახლის დამცველთა შორის ნახევარზე მეტი და თვით შტაბის უფროსი მოღალატე იყო “.

შუაღამე კარგახნის გადასული იქნებოდა, შეგვრცხვა მოედანი ამდენი ხნით რომ დავტოვეთ. უკან დაბრუნებულებს კი უმძიმესი სურათი დაგვხვდა: მოედანზე თითო- ოროლა კაციღა იდგა. თავად პრეზიდენტი დაცარიელებულ კიბეებზე მარტო ჩამოსულიყო(?!). გული შემეკუმშა, მიწა რომ გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე ის მერჩივნა. გვირჩია ის ადგილები დაგვეკავებინა, საიდანაც შეიარაღებული თავდასხმის საშიშროება იყო მოსალოდნელი. ცოტა შევყოვნდით. შეგვატყო რა შიში, მოგვმართა: - „კარგით, მაშინ მე წავალ და იქ ჩავდგები“ - და იქეთა მხარეს გასწია. მაშინ კი მოვწყდით ადგილებს და სწრაფად იქეთ გადავინაცვლეთ, სადაც ჩვენმა თავდადებულმა საქართველოსა და თავისი ხალხის უერთგულესმა პრეზიდენტმა მიგვითითა. ასე დასრულდა ეს განცდებიანი ღამე .

სიტუაცია თანდათან რთულდებოდა. მიტინგებიდან გასულ ხალხს ხვდებოდნენ, ემუქრებოდნენ, ამიტომ, შეღამებულზე მარტო ველარსად გავდიოდით.

21 დეკემბერს მუქარას უმატეს. დაგვცინოდნენ, ავტობუსები გაწიეთ „უნდა ჩაგეხუტოთო“, თუმცა მეტრო „თავისუფლების“ მხრიდან კარი ყველა უიარაღოსათვის ღია იყო. მოგვიანებით ავტობუსები თავადვე უცერემონიოდ გაათრიეს, ზოგიც გადააბრუნეს. ჩვენ მათ პირისპირ აღმოვჩნდით. მათი წარმომადგენლები ჩვენ ხალხს შეფარულად შეერივნენ და გვაშინებდნენ: „ჩვენ უკან დასახევი გზები მოჭრილი გვაქვს, დატოვეთ მოედანი, თორემ სხვა გზა აღარ დაგვჩენია, აღარ დაგინდობთ, გესვრით!“. სიგუას მიტინგიდან კი რუსლან მიქაბერიძის მუზამ ომის დაწყება გვამცნო. მან ლექსით გაგბაფრთხილა:

„გავიხედე სერზედაო
სიგუა ზის ცხენზედაო,
წინ კიტოვანი მოუძღვის
დაგეშილი თქვენზედაო,
ჭითავამ თქვა-ჩირგვში ვზივარ
ვერვინ მოვა ჩემზედაო.“

მაშინ მე ეს იუმორად ჩავთვალე და დიდი ყურადღება არ მიმიქცევია მისი შინაარსისთვის. იმ დღეს ყველაზე უცნაურად კი ის მეჩვენა, რომ დილიდანვე მოდიოდა ხალხი წყვილ-წყვილად ან ჯგუფებად, დაგვხედავნენ, მოივლიდნენ მოედანს, თითქოს ვილაცას ეძებენო და მალევე უკან ბრუნდებოდნენ. ეტყობა ქალაქში ცუდ ხმებს ყრიდნენ იმ საღამოს საშიშროებაზე. პანიკას თესდნენ. მოსაღამოვებულზე ჩვენ საკმაოდ ბლომად ვიყავით. იქვე შევნიშნე რუსთავის პრეფექტი თანმხლებ პირებთან ერთად. მანამდე ის საზღვარგარეთ იყო გულის ოპერაციის გასაკეთებლად. ისინი შეღამებულზე უკან გაბრუნდნენ. რუსთავის ილია მართლის წევრები კი დეკემბრის დღეებში საერთოდ არ შემინიშნავს(!). მოგვიანებით უნივერსიტეტის შენობის წინ გამართულ მიტინგებზე შემოგვიერთდნენ. რა დამავიწყებს მსვლელობას და მიტინგს გამართულს მილიციის სკოლასთან, სადაც, ადვოკატმა თემურ გოქსაძემ ტაქტიანად და ლოგიკურად გამართული ბრწყინვალე სიტყვით მიმართა მის დირექტორს გივი კვანტალიანს, რომ დაგვხმარებოდნენ მთავრობის სახლის დაცვაში. ამაოდ დავშვრით, არც კი გამოგვხედეს. გვითხრეს, გაფიცულები არიანო (?!) რა დამავიწყებს მამა ამბროსი ქათამაძის მჭექარე გამოსვლას, მისი ხმის ზეციურ ტემბრს ორთაჭალაში გამართულ მიტინგზე. 21 დეკემბრის ღამე უნდა გაგვეთენებინა იქ მოედანზე, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა.

20-ში და 21-ში, სიცივეში, 12-12 საათიანი ფეხზე დგომის შემდეგ შემამციენა. მივხვდი ღამის თევას ველარ შევძლებდი. ღამის 11 საათი იქნებოდა, მოედანს გადავხედე, ხალხის ხალვათობა შევნიშნე, მაგრამ ისეთი ინტენსივობით კლება აღარ მიმდინარეობდა. გავიფიქრე: ცუდად რომ გავხდე ამათ მეღა ვაკლივარ-თქო და მოედანი დავტოვე, რაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სანანებელი გამიხდა.

მეორე დილით ფურცელაძის ქუჩით ისევ მთავრობის სახლისაკენ მივექანებოდი. რუსთაველზე ცხვირი ვერ გავყავი, ისმოდა სროლების ხმა. რა უნდა მომემოქმედა? გადავწყვიტე ქალაქი შემეთვალიერებინა. ყველგან სიმშვიდე იყო. მოხუცები „სკვერებში“ ნარდს თამაშობდნენ, მაღაზიები ჩვეულებრივ ვაჭრობდნენ, ქუჩებში ბავშვებს დაასეირნებდნენ. არავითარი აჯანყების და რევოლუციის ნიშან-წყალი არ შეიმჩნეოდა. ერთი მუჭა პუტჩისტები იარაღით შეესეოდნენ მთავრობის სახლს - სულ ეს იყო!

მომდევნო დღეებში პრეზიდენტმა რადიოთი მოუწოდა ხალხს მისულიყვნენ სასახლესთან და თავიანთი თვალებით ენახათ რა ხდებოდა იქ, რათა შემდგომში ისტორიის გაყალბების საშუალება არავის მისცემოდა. ამ მიზნით რუსთავიდან, პედაგოგებით დატვირთული ორი ავტობუსი დაიძრა. როდესაც ავტობუსები „კორტებთან“ გაჩერდა, პროფკავშირის თავმჯდომარემ აუკრძალა პედაგოგებს ტრანსპორტიდან ჩამოსვლა. კოლმეურნეობის მოედნის დათვალიერების შემდეგ მან ავტობუსები, პედაგოგებითურთ, უკან გაატრიალა და თვითონაც მათ გაჰყვა(?!)

კოლმეურნეობის მოედანზე უამრავი ხალხი მოგროვილიყო. მათ თავებზე, ხეებიდან, ტოტებისა და ფოთლების კორიანტელი სცვიოდა. სახურავებიდან ხალხის დასასშლელად ჰაერში ისროდნენ. ხალხი ადგილიდან არ იძროდა. მათ გადაკეტილი ჰქონდათ ის გზა, საიდანაც უნივერმაღთან მდგარ ბანდას იარაღითა და BTR-ებით ამარაგებდნენ, ახალგაზრდებს წინაღობად ძველი ავეჯისა და ნივთებისგან პატარა „ბარიკადიც“ გაეკეთებინათ. გულით გავიხარე როცა ხალხის ასეთი ერთგულება დავინახე.

უცებ, ფურცელაძის ქუჩიდან ერთი დაგვაჯული, ტანდაბალი ახალგაზრდა მამაკაცი ჩამოვიდა. იდაყვებმოხრილს ორივე ხელის გულზე ხატები ესვენა, აქეთ-იქეთ დარბოდა და ხალხს ხატებს უჩვენებდა. ან მუნჯი იყო ან მუნჯობანას თამაშობდა. მამაკაცებმა ბოთლების ნავთით გავსება დაიწყეს.

დასასრული გვ. 14

დასაწყისი გვ. 13

ნავთით სავსე ბოთლების დანახვისთანავე ის „ჯუჯა“ სადღაც გაუჩინარდა. სულ მალე ფურცელაძის ქუჩაზე მდგარი ტაძრიდან ზარების საგანგაშო რეკვა გაისმა, რომელმაც ყველა შეგვძვრა. რამოდენიმე მამაკაცი აღმართს აუყვა, მათ სხვებმაც მიბაძეს. სწორად არ იქცევიან - გავიფიქრე, მაგრამ ჩემდა უნებლიედ მეც მათ გზას გავყევი. ავიდა თუ არა უკანასკნელი კაცი ქუჩაზე, ქუჩა გადაგვიკეტეს ავტომატიანმა პუტჩისტებმა. ახლა კი გაეხსნა გზა BTR -ებს. ისინი კარგახანს მიგრუხუნებდნენ ჩვენს გულებზე. ვიღაცამ ინფორმაცია მოიტანა, მამაო დაჭრილ პუტჩისტებს იფარებსო. ყველამ სხვადასხვა გზით დატოვა ქუჩა. დაინახეს თუ არა დაცარიელებული ქუჩა, გზაც გახსნეს. რა დასანანია, რომ გველივით გონიერნი ვერ გამოვდექით და გაგვაბრიყვეს.

ჩვენ სტიქიურად ჩვენს ენთუზიაზმსა და ღირსების გრძნობას მივყავდით მთავრობის სახლთან, რადგან ჩვენი ნებისა და არჩევანის შელახვას არ ვპატიობდით საქართველოს მოღალატეებს. ჩვენ მეტ დარაზმვას და ორგანიზებას ვსაჭიროებდით პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან. ასევე, მეტი უსაფრთხოების ზომების მიღებას მილიციის მხრიდან. პოლიტიკური ორგანიზაციები „ქუდზე კაცით“ უნდა მოგვხმარებოდნენ, ვინც ყველაზე მეტად გვეიმედებოდა ზვიადის გვერდით, თურმე აბრკოლებდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას თბილისისკენ.

„ურემი რომ გადაბრუნდა“, იცოცხლე, მაშინ გამოვცოცხლდით. ნათქვამია: „ცხვარი ცხვარიაო, თუ გაცხარდა მცხარეაო “. ჰოდა აზვირთდა ხუნტის წინააღმდეგ მიმართული მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგები, რომლებიც სასტიკად ირბეოდა და იხვრიტებოდა. შიში სადღაც გაქრა. რაც მეტი მსხვერპლი იყო მით მეტად ვმრავლდებოდით. იყო უფრო მეტი ორგანიზებულობა და დარაზმულობა, მაგრამ იყო უფრო მეტი რეპრესიებიც. ედვარდ დამაქცევარი ახლა უკვე ქალების გასამართლებასაც შეუდგა, რამაც თავადვე მას შეურყია ავტორიტეტი. დაიჭირეს და წელიწადნახევარი პატიმრობა მიუსაჯეს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავჯდომარეს ქალბატონ ლეილა ცომაიას თანამებრძოლ ქალბატონთან ერთად (ის თანამებრძოლი კი მე გახლდით).

პოლიტიკური ბრძოლის კულმინაციად „კოლხურ კოშკში“ გამართული მოშიმშილეთა ათასკაციანი აქცია შეიძლება ჩაითვალოს (სადაც 12 დღე გადაბმულად მეც ვიშიმშილე). ამ უჩვეულო აქციამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, ჩამოდიოდნენ საზღვარგარეთელი სტუმრები და გაკვირვებულები რჩებოდნენ. თუ არ ვცდები აშშ-ს კონგრესმენთა ერთი ჯგუფიც ეწვია მაშინ „კოლხურ კოშკს“. ამ აქციამ მაგრად შეურყია მიტაცებული სავარძელი ცეცხლითა და მახვილით მოსულ საბჭოთა კავშირის ყოფილ მინისტრს ედ. შევარდნაძეს, რომელმაც აღმოსავლეთი გერმანიის დათმობის ფასად რუსეთზე გაასხვისა აფხაზეთი და სამაჩაბლო და თავისი გაუმაძღარი კარიერისტული ჟინი იმით დაიკმაყოფილა, რომ მსოფლიო ისტორიაში თურმე ოქროს ასოებით ჩაწერენ, მერე რა, რომ საქართველოს ისტორიაში მოღალატის სახელს დაიმკვიდრებს.

გავიდა ხანი და იმძლავრეს მსოფლიო სატანისტურმა ძალებმა და ჩვენი ბრძოლა ე.წ „ვარდების რევოლუციის“ შირმით სათავისოდ გამოიყენეს; ნაციონალები დაირქვეს და შევარდნაძის მიერ დაწყებული მონდიალისტურ-გლობალისტური იდეოლოგია გააგრძელეს (რაც დღემდე გრძელდება).

გათიშულობის მიზეზად დღეს ეროვნული მოძრაობის თავკაცები „პოლიტიკური ორიენტაციის“ არათანხვედრას ასახელებენ. ისმის კითხვა, თუ ადგილი აქვს მათი ძირითადი მიზნის - კანონიერი ხელისუფლებისა და კონსტიტუციის აღდგენის თანხვედრას, გარკვეულ მომენტამდე ხომ მაინც ერთად უნდა იბრძოლონ? მაგრამ, თუ სიტყვა „პოლიტიკური ორიენტაცია“ სხვათა და სხვათა გაგებით იმაზე მიუთითებს, საიდან ამოვიდეს საქართველოს მზე - ჩრდილოეთიდან თუ დასავლეთიდან - მაშინ უკაცრავად, მაგრამ ხელ-ფეხშეკრული და თვალახვეული არ შეუწირავს თავი საქართველოსათვის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას; კარგად ვხედავთ, რისი მომტანიც არის არსებული ტოტალიტარული რეჟიმი. მიწას ჩვენი არსობისა ფეხქვეშ გვაცლიან და გამტიალებელნი, საქართველოს, „შაგრენის ტყავივით“ გვიპატარავებენ. ახლა მაინც მივყვეთ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას შეგონებას, რომ მხოლოდ ბრძოლითაა შესაძლებელი ნამდვილი თავისუფლების და კეთილდღეობის მოპოვება. ბრძოლას კი ყოველთვის აქვს აზრი!

მთავარია პასუხისმგებლობა და სინდისის ქენჯნა ვიგრძნოთ იმ ადამიანების წინაშე, ვინც ეროვნული ხელისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა და ამაოდ არ ჩაიაროს ჩვენგან ჯვარცმული პრეზიდენტის სულისკვეთებამ. გერმანელებს აქვთ ერთი ასეთი გამოთქმა: „თუ სურვილია გზასაც იპოვნი“.

მთავარი სურვილია, თორემ მშვიდობიანი ბრძოლის ყველა ნიუანსი და ბრძოლის მიზანი მზამაზარეულად მოგვაწოდა თავის მიმართვებში და ინტერვიუებში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. საჭიროა ის სამაგიდო წიგნად ვაქციოთ და ამ გზით ვიაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონმა ზვიადმა საქართველოს გარდაუვალი კატასტროფა და დაღუპვა უწინასწარმეტყველა. ამის ნიშნები უკვე არის. დრო აღარ ითმენს. ყველა ერთ ნავში ვსხედვართ. გულნამცეცებიც ნუ ვიქნებით, ვიყოთ მიმტევებლები იმათ მიმართ, ვინც გამოწვლილვით აღიარებს თავის დანაშაულს და მხოლოდ ამის შემდეგ საქმით მოინანიებს შეცდომებს. მთავარია ასეთებმა არ გაგვაბრიყვონ, როგორც ეს 24 ივნისს მოხდა.

ნათქვამია: „ენდე, მაგრამ გააჩნია, ვის“ და ასევე - „ენდე, მაგრამ ამოწმე!“

თამილა ნიკოლაძე,
ეროვნული მოძრაობის რიგითი ჯარისკაცი

რეპლიკა

უახლესი ისტორიისათვის

ელექტრონული მედიის ჟურნალისტები 2 თებერვლის მსვლელობის და მისი არნახული სისასტიკით დახვრეტის გარემოებებზე ხშირად უსვამენ კითხვებს ეროვნული მოძრაობიდან მიწვეულ სტუმრებს (რესპოდენტებს), მაგრამ ამ გარემოებათა შესახებ ამომწურავი პასუხები მე არცერთი მათგანისგან არ მომისმენია. არ ვიცი რას მივაწერო ეს ფაქტი, პოლიტიკური მეხსიერების უქონლობას თუ ისტორიის შეგნებულ მიჩქმალვა- გაყალბებას.

„ვაგზლის მოედანზე“ დაგეგმილი ყველა მსვლელობების მონაწილე მეც გახლავართ და 2 თებერვლის მშვიდობიან მსვლელობასაც ბოლომდე ვესწრებოდი. ამ მსვლელობის ტრაგიკულ შედეგებზე ბევრი დაიწერა. მე მინდა მკითხველის ყურადღება უფრო იმ მიზეზებზე გავამახვილო, თუ რამ გამოიწვია ესოდენი არნახული სისასტიკით მისი რბევა, რით დაიწყო და როგორ განვითარდა მოვლენები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სამართლიანობა და დაღუპულთა სისხლი გვავალდებულებს ყველას თავისი დამსახურებისამებრ მოეთხოვოს. ყველაზე ამაზრზენი კი ნახევარი სიმართლით სიარულია, რაც არაზნეობრივია!

მოვლენებს ცოტათი გავუსწრებ; 1992 წლის 3 თებერვალი იყო თუ 2 თებერვლის საღამო, ზუსტად აღარ მახსოვს, საქართველოს ტელევიზიით, სრულიად მოულოდნელად, ისე რომ არაფერთან დაუკავშირებიათ, გაისმა მამაკაცი დიქტორის ხმა (ვიზუალურად არ დამინახავს, რადგან ეკრანს გვიან შევხედე): „გადავწყვიტეთ გავუშვათ ვიდეო ფირი, რომელიც ჟურნალისტმა ვალერი კვარაცხელიამ ჩამოიტანა მოსკოვიდან საახალწლოდ ედუარდ შევარდნაძესთან სტუმრობის შემდეგ“. ამ ვიდეოფირზე ედ. შევარდნაძე ხუნტის ორგანიზატორებს აკვალიანებდა, თუ რა უნდა ეკეთებინათ მათ იმჟამად. ეს შინაარსობრივად და თითქმის სიტყვა-სიტყვით ასე ჟღერდა: „ამ ეტაპზე“ აუცილებელია საქართველოში განვითარებული მოვლენები შეფასებული იქნას, როგორც სახალხო აჯანყება, ან თუ გინდათ სახლხო რევოლუცია დაარქვით, ამას მნიშვნელობა არა აქვს და ამისთვის ყველაფერი უნდა იღონოთ რადაც არ უნდა დაგიჯდეთო. ფირი არ იყო ინტერვიუს რეჟიმში, შესაძლებელია ნაწყვეტი აჩვენეს.

იმ ხანად თბილისში ხუნტის წინააღმდეგ აგორებული, მშვიდობიანი, მრავალათასიანი, პერმანენტული საპროტესტო მიტინგები და მსვლელობები, სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველოში არანაირ სახლხო რევოლუციას ან სახალხო აჯანყებას ადგილი არა ჰქონია. გარდა ამისა, უამრავი აკრედიტებული ჟურნალისტი და დამკვირვებელი იყო საზღვარგარეთიდან ჩამოსული, რომლებიც პროცესებს თვალყურს ადევნებდნენ და ვიდეოკამერებით იღებდნენ. ეს კარგად მოეხსენებოდა იმ დროს მოსკოვში მოკალათებულ ხუნტის ხელმძღვანელ ედ. შევარდნაძეს. რადგან სიგუა ვეღარ ახერხებდა მოსკოვში ინსტრუქციების მისაღებად ჩასვლას, ხუნტის ორგანიზატორებს შევარდნაძე ვიდეოფირით შეფარულ ბრძანებებს აძლევდა, რაც მათ ასე უნდა ეთარგმნათ: არ დავუშვათ მრავალათასიანი მიტინგები და მსვლელობები, თუნდაც ეს მათი სისხლის ფასად დაგიჯდეთ. არ დაუშვათ კამერებით დახვრეტების გადაღება, თუნდაც საზღვარგარეთელი ჟურნალისტების მიერ. სწორედ ამიტომ დაიხვრიტა მიტინგი 3 იანვარს დიდუბის მეტროსთან, 7 იანვარს მეტრო დელისთან. იერიში მიჰქონდათ საზღვარგარეთელ ჟურნალისტებზეც. ართმევდენენ ვიდეოკამერებს, იღებდნენ იქედან ფირებს. ადგილობრივ ჟურნალისტებს კი უმსხვრევდნენ და უნადგურებდნენ კიდეც .

ისმის კითხვა: ვის და რატომ დასჭირდა ერთი თვის შემდეგ და მაინცდამაინც იმ დღეს ამ გასაიდუმლოებული ვიდეოფირის სააშკარაოზე გამოტანა? ნათქვამია: „ვინც თავი არ იცის ბოლოს ვერ გაიგებსო“. საქმე ის გახლავთ, რომ 2 თებერვლის სისხლიან ბარბაროსობამდე იყო ამ საშინელი ხოცვის მომასწავებელი პირველი თებერვალი, როცა რკინიგზის სადგურიდან დაიძრა ნახევრმილიონიანი მოსახლეობა - ხალხის რაოდენობის მხრივ ჯერ არნახული მსვლელობა. კანცელარიის შენობის ეზოში გაიმართა დიდი მიტინგი-მხილება. გვქონდა ხუნტის მამხილებელი სამენოვანი ლოზუნგები, პლაკატები, სურათები და მოწოდებები კანონიერი ხელისუფლების აღდგენის და პრეზიდენტის დაბრუნების მოთხოვნებით. ხალხი გრგვინავდა „ხუნტა“, ხუნტა“-ს.

სიგუა იმ დროს კანცელარიის შენობაში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მასპინძლობდა, ამიტომ ისე მივედით კანცელარიის შენობამდე, რომ არავის დავურბევივართ. მხოლოდ სადგურის მოედანზე იყო წყლის ჭავლით ჩვენი დაშლის მცდელობა, მაგრამ ჩვენ არ შევეპუეთ. კანცელარიის შენობის წინ მან ვეღარ გაიმეორა 31 იანვრის სცენარი (მაშინ მან წყლის ჭავლით დაშალა იქ მისული ხალხი). იმ დღეს კი მნიშვნელოვანი სტუმრების გამო იძულებული შეიქნა დემოკრატობანა გაეთამაშა და არ დაგვარბია. მოვითხოვეთ ჩვენი წარმომადგენლების შეხვედრა სტუმრებთან, მაგრამ უარი მივიღეთ. ჩვენთან შესახვედრად ჩამოვიდა სიგუას წარმომადგენელი ლევან ღვინჯილია. მას წერილობით გადავეცით სტუმრების მისამართით დაწერილი ჩვენი მოთხოვნები. იმ დღეს მშვიდობიანად დავიშალეთ. ჯავრი კი ჩვენზე 2 თებერვალს იყარეს, როცა მსვლელობისა და მიტინგის მონაწილეთა სისხლის გუბეები დააყენეს. ისე მკაცრად დაგვსაჯეს, რომ ეტყობა თავადაც შეშფოთდნენ სავალალო შედეგებით და ხელების დაბანა გადაწყვიტეს, როცა ტელევიზიით გააშვებინეს მოსკოვიდან გამოგზავნილი ის ვიდეოფირი, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. აშკარა იყო, ხუნტა თავს იმართლებდა დატრიალებული ტრაგედიის გამო და პასუხისმგებლობას ყველა ხვრეტაზე ედ. შევარდნაძეს აკისრებდა, რითაც ნებსით თუ უნებლიედ აღიარა მისი მეთაურობა და ხელმძღვანელობა.

შემდგომში ოპოზიციური გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ შევარდნაძემ პირველი თებერვლის აქციის დაშვების გამო მკაცრად გააფრთხილა ხუნტა, რომ მათ მკაცრი სამსჯავრო და სასჯელი არ ასცდებოდათ თუ მოსახლეობა შეძლებდა თავიანთი შეუპოვრობით გაეროს მხარდაჭერას და აღსდგებოდა ეროვნული ხელისუფლება. ეს გაფრთხილება მოხდებოდა, რასაკვირველია, ტელეფონით, რადგან ზარებს უკვე ხუნტა აკონტროლებდა. სწორედ ამ ზარს მოყვა მეორე დღის არნახული სისხლიანი რბევა.

ეს ვიდეოფირი მთელმა საქართველომ ნახა.

თამილა ნიკოლაძე

ქართული სუვერენიტეტი ენერგეტიკაში

საქართველოსთვის ენერგეტიკული სისტემა სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია და მისი განვითარების ვექტორი პირდაპირ განაპირობებს მთელი ქვეყნის მომავალს.

ათენის ხელშეკრულების საფუძველზე 2005 წლიდან ფუნქციონირებს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება, რომლის მიზანია ევროკავშირისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ენერგეტიკული სისტემების გაერთიანება, რათა ევროკავშირის ენერგეტიკული და ეკოლოგიური კანონმდებლობა გავრცელდეს დღეს ამ კავშირის არაწევრ ევროპულ ქვეყნებზეც.

ევროკავშირი საქართველოს გაწევრიანებას ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში განიხილავს, როგორც სტრატეგიული სატრანზიტო პროექტების განხორციელების მნიშვნელოვან პირობას.

2007 წლიდან საქართველო ამ გაერთიანებაში სარგებლობს დამკვირვებლის სტატუსით, ხოლო 2013 წლიდან ოფიციალური განაცხადიც გააკეთა მის წევრობაზე.

საქართველოს ეროვნულ ინტერესებშია კონკურენტუნარიანი ენერგო სექტორის განვითარება და ამ დარგში ევროპული შრომითი სტანდარტების დამკვიდრება. ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებას ინვესტიციების, ვაჭრობის, ენერგეტიკული ქსელების, ენერგეტიკოსთა პროფესიული და სოციალური განვითარების თვალსაზრისით დიდი შესაძლებლობები გააჩნია.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს დღეს უკვე აკისრია ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის პაკეტის განხორციელების ვალდებულება და მოლაპარაკება მიმდინარეობს გაერთიანებაში გაწევრიანების კონკრეტულ პირობებსა და ვადებზე. საქართველოში ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვა სათანადო ევროპულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას გულისხმობს. ასევე ამ პროცესის თანმდევია დარგში ცივილიზებული შრომით ურთიერთობების, სოციალური პასუხისმგებლობის, დიალოგისა და პარტნიორობის განვითარება. გაერთიანებაში წევრობა ქვეყნისთვის ინსტიტუციურ და ტექნოლოგიურ წინსვლასაც ნიშნავს. ერთობლივი პროექტების მეშვეობით საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები გაიზრდება.

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება ის პლატფორმაა, სადაც საქართველოს შეუძლია იმ ქვეყნებთან თანამშრომლობა, რომლებთანაც დღეს პირდაპირი ენერგეტიკული კავშირი არ გააჩნია. ქვეყანას ამ ფორუმში მონაწილეობით ეძლევა საშუალება საგანგებო ენერგეტიკულ სიტუაციებში ათენის ხელშეკრულების შესაბამისად აამოქმედოს ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრ საქართველოს ეძლევა ინსტრუმენტი რითაც იგი განახორციელებს ევროკავშირის პირდაპირ რეაგირებას რუსეთის ფედერაციის ანტისამართლებრივ ქმედებებზე ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა (მცდელობა დაწყებულ იქნეს კონტინენტურ შელფზე ნავთობის მოპოვება) და ცხინვალის რეგიონში (მილსადენების მშენებლობა), რათა შეწყდეს რუსეთის ხელისუფლების ეს უკანონო ქმედებები და აღმოიფხვრას მით გამოწვეული მავნე შედეგები.

ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს წევრობა ასევე თანხვედრაშია საქართველო - აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიასთან.

ევროკავშირი უახლოს წლებში ერთიანი ენერგო ბაზრის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული და ურთიერთობა ენერგეტიკულ საკითხებში მესამე ქვეყნებთან ასევე ერთიანი გახდება.

ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში მონაწილეობა საქართველოს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს და ამ პროცესის დამუხრუჭება მხოლოდ რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო სტრატეგიას უქმნის გასაქანს, რადგან სამხრეთ კავკასიაში მას არ ხვდება გამაწონასწორებელი ფაქტორი.

სახალიფოს მორიგი ნიღაბი...

2014 წლის 29 ივნისს სირიისა და ერაყის რესპუბლიკების ტერიტორიებზე სახალიფოს აღდგენა გამოაცხადდა. ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მიზნად თითქმის 14 საუკუნის წინ არსებული კონგლომერატის კვლავ შეკრება იქცა.

გაზეთ „განმათავისუფლებელში“ ჩემს მიერ დაბეჭდილ სტატიაში „იმპერია თუ ხალიფატი“ (2007 წლის დეკემბერი, №15) ავღნიშნე, რომ „ისლამური“ ფუნდამენტალიზმის მთავარი მიზანი ხალიფატის ჩამოყალიბებაა“.

რას წარმოადგენს ეს სახალიფო დღეს? არსებითად იგი კაპიტალისტური ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება კაპიტალის მფლობელი სამხედრო არისტოკრატიის ხელშია. მმართველი ბირთვი ტოტალიტარული პოლიტიკურ–რელიგიური სექტაა, რომელიც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას ტერორისტული დიქტატურის მეშვეობით ახორციელებს. სახალიფოში ადამიანები სეგრერირებულნი არიან რელიგიური, ეთნიკური და სოციალური ნიშნით. ეკონომიკა კაპიტალისტურია, კერძო საკუთრება ტერორისტული მეთოდებით დაცულია. სახალიფო თავის არეალს სამხედრო ლაშქრობებით იცავს და აფართოებს. კაპიტალის მფლობელი სამხედრო არისტოკრატიის მთავარი სამიზნე ბუნებრივი სიმდიდრეებია, პირველ რიგში ნავთობი და გაზი. მმართველი ტოტალიტარული პოლიტიკურ–რელიგიური სექტა აქტიურად ვაჭრობს ტრანსნაციონალურ კაპიტალთან მის ხელში ჩავრადნილი ბუნებრივი რესურსებით და სირიისა და ერაყის ისტორიულ–კულტურული მემკვიდრეობით. სახალიფოში არანაირი რევოლუცია არ მომხდარა, პირიქით, სახეზეა კონტრევოლუცია. მუშებმა, გლეხებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ ის მცირე სოციალური ორგანიზაციის უფლებაც კი დაკარგეს, რაც კი გააჩნდათ. სახალიფო კლასობრივი ჩაგვრის ყველაზე ღია ფორმაა, ხოლო მისი მმართველი კაპიტალის მფლობელი სამხედრო არისტოკრატია მშრომელი მასების პირწავარდნილი კლასობრივი მტერი. საკუთრების, წარმოებისა და გაცვლის კაპიტალისტური წესი ყველაზე კაპიტალისტურია დღეს არსებულთა შორის. სახალიფოში კაპიტალისტური ექსპლუატაცია ხორციელდება ელემენტარული სოციალურ–შრომითი უფლებების უგულველყოფის პირობებში. სახალიფო აბსოლუტური ვაჭრუკანული დამოკიდებულებით გამოირჩევა კულტურისადმი. მისთვის ის არსებობს, როგორც საბაზრო პროდუქტი და მეტი არაფერი. ვანდალიზმთან ერთად იგი აქტიურად ყიდის კულტურის ნიმუშებს და ამით დიდ ფინანსურ სარგებელსაც ნახულობს.

სახალიფო მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის პირმშოა. რელიგიური შირმის უკან, უაღრესად დიდი რეაქცია და ობსკურანტიზმი დგას შიშველი, მტაცებლური კაპიტალიზმის სახით. მორიგი ნიღაბი არ გამოვიდა.

1988 წლის შემდეგ, როდესაც მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას, თითქოსდა უდრტვინველად უნდა ეარსება, მაგრამ კრიზისულმა მოვლენებმა მას უბიძგა მსოფლიოს ერთ ნაწილში დემოკრატიულობის ყველა საფენელი თვით შემოეძარცვა და კაცობრიობის წინაშე წარმსდგარიყო სრულიად დაუფარავი სახით.

სახალიფოს არსებობა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ფინანსურ–ეკონომიკური და სოციალურ–შრომითი კონფლიქტების გადაწყვეტის უუნარობა წარმოშობს სახალიფოს მსგავს რეაქციებს. კაპიტალის მფლობელი სამხედრო არისტოკრატიის ტერორით ხდება მცდელობა ჩაიხშოს მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის სოციალური და პოლიტიკური პროტესტის ხმა. ერებისთვის კულტურული მემკვიდრეობის მოპარვით სურთ მათი ქცევა უსახურ ბრბოდ წარმოაჩინონ. ბუნებრივ სიმდიდრეებზე ტოტალიტალური პოლიტიკურ–რელიგიური სექტის კონტროლის დაწესებით სურთ განვითარების საშუალება წაართვან დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებს. სახალიფოს შექმნამ მაინც ვერ გადაწყვიტა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის წინაშე არსებული ისტორიული გამოწვევები და მხოლოდ პროცესების რადიკალიზაციას შეუწყო ხელი.

თინათინ ხიდაშელი ცდება

თავდაცვის სისტემა სრულიად უსარგებლოა, თუ მას არ შეუძლია ბრძოლა საჰაერო თავდასხმის საშუალებებთან. თავდაცვის ამჟამინდელი თუ ყოფილი მინისტრები როდესაც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე იწყებენ საუბარს საზოგადოება მხოლოდ შეცდომაში შეჰყავთ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას საქართველოს ცა იმაზე უკეთესად იყო დაცული, ვიდრე დღეს არის დაცული NATO–ს წევრი ბევრი ქვეყნის ცა. 1991 წელს საქართველოში განლაგებული იყო:

ა) საზენიტო–საარტილერიო 1 დივიზია; 2 ბრიგადა და 2 პოლკი;

ბ) საზენიტო–სარაკეტო 3 ბრიგადა და 2 პოლკი;

გ) საავიციო–გამანადგურებელი 2 პოლკი;

დ) რადიო–ტექნიკური 3 ბრიგადა და 1 ბატალიონი.

ამ ძალების საერთო მართვას კი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის არმიის შტაბი ახორციელებდა.

საქართველოს ჰაერიდან კიდევ უფრო დიდი საფრთხეები ემუქრება. როდესაც მინისტრი თინათინ ხიდაშელი მომავალში სავარაუდოდ განსახორციელებელ ცვლილებებზე საუბრობს, ძალიან ცდება თუ ფიქრობს, რომ 1991 წლის ჰაერსაწინააღმდეგო შესაძლებლობების მაჩვენებლის დაძლევამდე ოდნავ მაინც უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას საჰაერო თავდასხმისაგან.

საფრთხეები სრულიად რეალურია და აუცილებელია სრულფასოვანი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე ზრუნვა.

სამხედრო მარცხის მიზეზები

(მე–20 საუკუნის 90–იან წლები)

მე–20 საუკუნეში ქართველ ერს ორჯერ მოუწია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენების დაწყება, შესაბამისად დამოუკიდებელი სამხედრო ძალების ფორმირება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის მიღებისას სახეზე იყო მხედრული ცოდნითა და საბრძოლო გამოცდილების მქონე ოფიცერთა კორპუსი. დიამეტრალურად საპირისპირო იყო სურათი 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, მხედრული ცოდნითა და საბრძოლო გამოცდილებით აღჭურვილი ოფიცერთა კორპუსი უბრალოდ არ არსებობდა.

„თბილისის უმაღლესი სამეთაურო საარტილერიო სასწავლებლის შარშანდელი გამოცდებისთვის შეირჩა 247 კანდიდატი, გამოცდების ჩასაბარებლად გამოცხადდა 151, კურსანტი კი გახდა 54, რომელთაგან მხოლოდ 5 იყო ქართველი, ამ ხუთიდანაც 2 გაირიცხა პირველივე კურსიდან იმის გამო, რომ არ ჰქონდათ სწავლის სურვილი და იქცეოდნენ უდისციპლინოდ“. (გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1987 წლის 14 მარტი №33 (10952).

ოფიცერთა კორპუსი არ ნიშნავს „პარკეტის ოფიცერს“. კორპუსის ჩამოყალიბებას ათწლეულები სჭირდება. აუცილებელია როგორც ცოდნა, ასევე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის გამოცდილება. 1956 წლიდან კი ეს ყოველივე უკიდურესად დაბალ დონეზე იყო, როდესაც დადგა 90–იანი წლები ოფიცერთა კორპუსის არარსებობამ განაპირობა ათეულ ათასიანი მსხვერპლი და ოკუპირებული ტერიტორიები.

ეს ისტორიული გაკვეთილია.

გვერდი მოამზადა **დავით არაბიძემ**

ჭეშმარიტ ყველის ლიდერი ამბიცია!

უწინ, შაჰის კარზე იზრდებოდნენ, მძევლად წაყვანილი მეფის უფლისწულები, რომ მერე საკუთარ ქვეყანაში მათივე ინტერესებისათვის შემოეგზავნათ.

თითქოს წესად იყო ქცეული, რომ საქართველოს დაქუცმაცებული სამეფოების მეფეთა მემკვიდრეები, შაჰის კარზე უნდა გაზრდილიყვნენ.

ისტორიიდან გვახსოვს მტრად მობრუნებული მეფეებიც და ისეთებიც, რომლებსაც რჯულის შეცვლამაც ვერ გაუნელა საყვარელი სამშობლოს სიყვარული!

-ახლა?!

-ახლაც იგივე ხდება.

ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, ეს მეთოდიც საკმაოდ დაიხვეწა.

დიდი ქვეყნები, რომლებიც გარეგნულად დემოკრატიის მანტიაში არიან გახვეულნი, ბევრად საშიშები გახდნენ, თუნდაც იმ მონღოლებზე, ოსმალებზე, რომლებიც სამასი წელიც კი ბატონობდნენ საქართველოზე და საკუთარი ფაშები ესვათ ქვეყანაში.

მაშინ იცოდი, რომ ის მტერი იყო და არც მტრის მტრულად დახვედრის ეშინოდა ქართველ კაცს, შვილსაც კი უყოყმანოდ სწირავდა სამშობლოს, რამეთუ იცოდა, რომ სამშობლო იყო უპირველეს ყოვლისა.

-ახლა კი...მტერი, საუკეთესო ახალგაზრდებს არჩევს და საზღვარგარეთ განათლების მისაღებად მიჰყავს.

-შედეგი?

ნებისმიერი უკან დაბრუნებული, ხშირ შემთხვევაში, მტრად უბრუნდება სამშობლოს. ევროპულსა, თუ ამერიკულ ფასეულობებს ძალით ახვევს თავზე საკუთარ ხალხს.

ფასეულობებს-თქო, ვამბობ და სულგაყიდული ადამიანები ცდილობენ გულუბრყვილო ერის გაცურებას! იმ ქართული ფესვის ძირფესვიანად ამოძირკვას, რამაც ქართველი ერი აქამდე მოიყვანა!

დღეს მხოლოდ მოღალატეები ჩანან.

მართალი ადამიანი სადღაც კულისებში გაყუჩებულა.

ჩვენ მოვესწარით ზვიადის მკვლელობას. რომელიც წარმატებით შეასრულეს ისევ „გადაგვარებული ქართველების ხელით!“

დადგეს სპექტაკლი და თვითმკვლელობად მონათლეს საუკუნის უმძიმესი მკვლელობა.

ხალხის არჩეული პრეზიდენტი სამეგრელოს ტყეში მოკლეს და მერე ისევ „თავისიანების“ პირით თვითმკვლელობად შემოგვასაღეს.

ზვიადი იყო დემოკრატიული პრეზიდენტი. ხალხმა აირჩია და ხალხს არ აპატიეს ეს არჩევანი. თუმცა ამ სიტყვამ დიდიხანია დაკარგა ღირებულებაცა და ფასეულობაც.

ცოტა დიდი შესავალი გამომივიდა, მაგრამ სხვანაირად ვერ ვიტყვი ჩემს სათქმელს.

სულ უფრო და უფრო ღატაკდება ხალხი მტერიალურადაც და სულიერი ღირებულებებითაც.

რადგან ეს ერთადერთი გზაა, აკეთებინო ის, რასაც ჩაუდებ თავში!

ნელ-ნელა ერი სათამაშოდ იქცა ამა ძლიერთა ხელში!

ქვეყანაში, ზვიადის შემდეგ, ერთგული ადამიანის მოძებნა გაჭირდა.

ერთმანეთს სცვლიან დაქირავებული ქართველები და ხალხს ერთი და იგივეზე ლაპარაკით თავგზას უბნევენ!

ამ დროს კი, ჩემი ქვეყანა ვიღაცებისთვის საექსპერიმენტო ქვეყანად გადაიქცა!

ნელ-ნელა გაყიდეს ყველაფერი (რა მნიშვნელობა აქვს ამ ყოველივეს, ინვესტიციას დაარქმევ თუ ნამდვილ სახელს). მიწაც კი გააქვთ საქართველოდან და, თურმე, ესეც ხალხის საკეთილდღეოდ! ნახევარი მოსახლეობა ქვეყნიდან გაიქცა, თავი რომ გადაერჩინა. იმ დარჩენილი ნახევრიდან კი ნახევარი ქუჩაშია. მაღალი საპროცენტო სესხით ბინებიდან გამოსახლებულნი და უსახლკაროდ დარჩენილები, საჭმლის ნარჩენებს რომ ნაგავში ეძებენ.

ვიღაცეები კი, მაღალი ტრიბუნიდან ევროპულსა, თუ ამერიკულ ღირებულებებზე საუბრობენ!

სასაცილოა!- სატირალი რომ არ იყოს!

ხალხი კი, ერთხელ მოატყუეს!

ორჯერ მოატყუეს!

სამჯერ...ოთხჯერ!

ისტორია ისევ მეორდება და მეორდება!

რა კატასროფული სისწრაფითაც ქვეყანა მიექანება, ისეთივე სისწრაფით ვკარგავთ თვითმყოფადობას! ერი კი, თვითმყოფადობის გარეშე უკვე ერი აღარაა!

სამწუხაროდ, იგი დანამატად, ან ვიღაცის წისქვილზე წყლის დამსხმელად ყალიბდება!

სააკაშვილი უცხო ქვეყნის მოდელი იყო, რომელმაც „დიდებულად“ გაართვა თავი დავალებას.

მარტო ტერიტორიები კი არა, ადამიანებიც გადააგვარა და წინ გახედვის საშუალება მოუსპო.

მანაც მოახერხა ქართველების დამარცხება ისევ ქართველებით. სულგაყიდული ზონდერების სახით გაღატაკებული ქართველები შიშის სინდრომითაც დაავადა!

ხოლო, ვინც ხმა ამოიღო მისი რეჟიმის წინააღმდეგ ყველა სიკვდილის გზას გაუყენა.

ესეც ერთგვარ ანგარიშსწორებად იქცა.

საკუთარი, გამოწვრთნილი, გაცოფებული, დაგეშილი მხეცებით მოახერხა, ციხეების გავსება უდანაშაულო ხალხით და სასაფლაოები კი, მისგან განაჩენგამოტანილი მიცვალებულებით.

რამოდენიმე წლის წინ სოციალურ ქსელში ადამიანი გამოჩნდა. თუმცა მას ყველა იცნობდა ფილმ „მზიურიდან“, რომელშიც იგი ღამის პერანგ გადაცმული საწოლზე სალამურს უკრავს და თითქოს გარიყულია კოლეგა გოგონებისგან.

მეგობრებმა ისიც მითხრეს, როგორ ნახეს მასთან სახლში, დიდი ტრაფარეტი, სადაც ასეთივე დიდი ასოებით ეწერა: საქართველოს პრეზიდენტი ნიკო ნადირაშვილი!

ყველა ხუმრობდა მაშინ, რადგან ეგონათ, თავად ნიკო ნადირაშვილიც ხუმრობდა.

მაგრამ, მალე მან, პოეტობასთან ერთად საზოგადო მოღვაწის სახელიც მიითავისა და უკვე მკვეთრი განცხადებების გაკეთება დაიწყო!

კაცი, რომელიც შევარდნაძიდან მოყოლებული ყველას დითირიმბებს უმღეროდა.

მერე სააკაშვილს. მერე ბიძინა ივანიშვილს.

ბიძინას გამოჩენის დროს კი პირდაპირ მოითხოვა სამი სახლი საქართველოში. კი არ ითხოვა, მოითხოვა. თითქოს სამშობლო მასზე ღირსეულს, ან უფრო წარჩინებულ ადამიანს არ დაეტოვებინოს და ემიგრაციაში არ გადახვეწილა!

ბატონმა ნიკო ნადირაშვილმა ემიგრაციაშივე შალვა ნათელაშვილთანაც მოსინჯა ბედი;

ნაბადმოსხმული იდგა მისი აღმატებულების ოთხკაციან ჯგუფთან ვაშიგტონში, თეთრ სახლთან, სადაც შავ ნაბადმოსხმული სოლიდარობას უცხადებდა შალვა ნათელაშვილს, რომელიც მონდომებით გაჰყვიროდა, კარგად ნაცნობ, „დაუნ დე დიქტეიტე!-ს“

ისე, ნაბადს ლეკებიც ხმარობდნენ და სულაც არ ვთვლი არც ჩოხას და არც ნაბადს ქართული პატრიოტობის გამოვლინებად. როცა ადამიანები, რაღაცის თავგამოდებით მტკიცებას იწყებენ, სწორედ მანდაა ძაღლის თავი დამარხული.

ინტერნეტ ქსელი იმით სჯობია ცოცხალ ურთიერთობებს, რომ უცბად, გადაშლილი წიგნივით ხედავ, თუ რითი სუნთქავს მავანნი.

ამბიციებმა (და ალბათ არამარტო ამბიციებმა) მეტი თავდაჯერება შემატა ნადარეიშვილს. ტაში არ წყდებოდა და ახლა უკვე ბიძინას ლანძღვა დაიწყო. ამით მოახერხა მასზე განაწყენებული ხალხის შემოკრება. ერთმა ჩემმა მეგობარმა მიამბო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნადირაშვილი ფლორიდაში ცხოვრობდა და შეიძლება ბევრმა არც იცოდა, რომ ნიკო ნადირაშვილი ამერიკაში იმყოფებოდა, თუ როგორ მოხვდა იგი ერთ ქართველ ბიზნესმენთან სამსახურის ძიებაში, რომელმაც უცბად გადაუშალა გული; რიტუალების დარბაზიც აჩვენა! მასონური ფილმიც ჩაურთო ეკრანზე მას და მის მეგობარს და ბოლოს როგორ შესთავაზა მასონისტურ ორგანიზაციაში გაერთიანება, რომელმაც იქვე დასძინა, რომ ნიკო ნადირაშვილს ჩვენ მივაღებინეთ მოქალაქეობა და ახლა ფლორიდაში იმალებაო!

დღეს ხალხის გასაბრიყვებლად ყველაზე კარგი ვარიანტი მორწმუნის ნიღაბია! ეკლესიასთან მიტმასნილი ნადირაშვილი, ეკლესიითაც სპეკულიანტობს. თავისი სიბრიყვის გასამაგრებლად ეკლესიას ახსენებს ხშირად.

ოცი წლის მერე კი, საქართველოში ბრუნდება ამბიციებით შეპყრობილი ერთი პატარა ადამიანი, რომელიც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ცდილობს ხალხის დაბნევას და „ღმერთისგან მოვლენილი მხსნელის“ ამბიციით წარსდგება მცირერიცხოვანი დამხვდურების წინაშე, მცირერიცხოვნობას კი არ იმჩნევს...

მარტო სალამურის კარგად დაკვრა არაა საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყანას წარუძღვე და ჰაერზე შეპირდე გაერთიანებას!

თუმცა მას რომ ჰკითხო აფხაზეთი სულაც არ დაგვიკარგავს.

მას რომ ვუსმენ, მგონია ვიღაც აბორიგენების ტომიდან მოიყვანეს და თავადაც არ იცის რას ლაპარაკობს.

ქართული ეკლესიის მრევლის მიერ შეკრებილი თანხით შეძენილი საჩუქრები, რატომღაც თავად მიიწერა, რომ ნიკო ნადირაშვილი ამერიკიდან ქველმოქმედებას ეწევა და საქართველოში გაჭირვებულებს ეხმარება!

მის გვერდით, ნიუ-იორკის წმინდა ნინოს ეკლესიის მღვდელიც გამოჩნდა ბევრჯერ.

ამერიკიდან საგანგებოდ გადაიღეს და ინტერნეტ სივრცეში ატვირთეს მისი „ესკორტით“ გამოცილება„(სადაც, სასაცილოა, მაგრამ დაცვის წევრებივით, შავ შარვალ -კოსტიუმში გამოწყობილები, შავი სათვალეებით, თავისი ოჯახის წევრები იყვნენ შემოსილნი, სიძე და შვილი).

ალბათ რომელიმე ამერიკული ფილმის გმირებს ბაძავდნენ, თორემ ვისგან, ან რისგან იცავდნენ სალამურის დამკვრელს, ახლაც არ ვიცი!

ერთ-ერთ ტელევიზიაში, ორი საათი იჯდა და მე ვიწვოდი მისი საცოდავობით და კიდევ სირცხვილით.

იგი ექვსი თვე დებდა განცხადებას სოციალურ ქსელში, 26 სექტემბერს მთელი საქართველო თავისუფლების მოედანზე დამხვდითო!-სალამურით უნდა გავაერთიანო საქართველოო!

იმასაც არ გაუტეხია გული მისთვის, რომ ორმოცდაათ კაცზე მეტი არ შეიკრიბა მის მოსასმენად.

ალბათ გამვლელები და დროებით შეჩერებულნი უფრო მეტნი იყვნენ. პრეზიდენტობის ამბიციაშეპყრობილმა ნადირაშვილმა ტელევიზით დაანონსა ახალი პარტიის სახელი: ნიკო ნადირაშვილი - მზიური.

კიდევ კარგი შერეკილებში არ ითამაშა, თორემ...როგორი მოსასმენია: ნიკო ნადირაშვილი-შერეკილები!

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ამ გაწამებულ ქვეყანას ტაკიმასხრები სჭირდება კიდევ?!

გუნდი შექმნილი მყავს, მაგრამ სიფრთხილის გამო არ დავასახელებ, რადგან საშიშროება არსებობსო!

გუნდიც ჰყოლია და მინისტრის პორტფელებიც ექნება განაწილებული.

სოციალურ ქსელში ვინც კი კითხვა დაუსვა ნადირაშვილს, ყველა დაბლოკა პასუხ გაუცემლად.

იქნებ დროა გამოფხიზლდეს ხალხი და ასე ბრმად, ცხვრებივით არ გაჰყვნენ პოლიტიკაში ყველა შემოხეტებულს.

ვისურვებდი, რომ მხოლოდ პირდი ამბიციები ჰქონებოდა მესალამურეს და არ ყოფილიყო მასონებისგან შემოგდებული სატყუარა.

არა და ყველგან მამაოებთან ერთად ჩნდება. ამით თითქოს და თავის სარწმუნოების განმტკიცებას ცდილობს სხვათა თვალში.

თუმცა იმასაც მოვკარი ყური იქაური მრევლისგან, რომ მხოლოდ წირვის დასრულებისას მიდიოდა ეკლესიაში და ტრაპეზზე თამადობას ვერავინ ასწრებდაო.

დანარჩენი კი, მკითველო თქვენთვის მომინდვია.

არ მინდა ჩემი ქართველი ხალხი კვლავ-მოტყუებული დარჩეს!!

ჰკითხეთ ერთი ბატონ ნადირაშვილს, სად იყო ეს ოცი წელი(ჩამოსვლის უფლება დიდიხანია აქვს).

ჰკითხეთ საიდან აქვს მწვანე ბარათი(არ დაიჯეროთ რომ სალამურის გამო მისცეს)

და ათქმევინეთ მამაო ჩვენო! (დარწმუნებული ვარ ბოლომდე ვერც იტყვის, რადგან არ იცის!)

ფრთხილად, ქართველებო!

ნამდვილი გმირი და ლიდერი სხვა ქვეყნიდან კი არ უნდა გეწვიოთ, ოცი წლის წინ გადაკარგული, არამედ თქვენს წიაღში უნდა იშვას და სრულად გამჭვირვალე უნდა იყოს მისი ცხოვრებაცა და წარსულიც.

სალამურის დაკვრით მოგვრილი ჟრუანტელი ნუ მოგატყუებთ!

ი. ზუბიაშვილი

ჩვენი ფოსტა

გაზეთ „განმათავისუფლებელის“ რედაქტორს ქალბატონ ლეილა ცომაიას

«ეს ერი, სამშობლო მიყვარს!» – ზვიადი ამას ეგულვნენ! – კიდე

განმათავისუფლებელი

2015 წლის 24 აპრილს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დაკანონებულ იქნა ჩემს სამემკვიდრეო საკუთრებაში ორსართულიანი ბინა კოდით 520133072 – www.napr.gov.ge-ზე. ამის მიუხედავად 7 თვეა პრობლემას წარმოადგენს წითელ ხაზს შიგნით მოქცეული ტერიტორიის სამხრეთი საზღვრის გატარება და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ორი სართულის ბედი, რაც გამოწვეულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და ინფრასტრუქტურის მუშაკთა მიკერძოებით, აგრეთვე პოლიციის სამმართველოს უმოქმედობით; უფრო მეტიც ადგილი აქვს მათი მხრიდან ჩემს მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მუქარას, თუკი მექნება პრეტენზია საკუთრების სრულ დაუფლებაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, დედოფლისწყაროში სამართლებრივი ვაკუუმია და მისი შევსება გამიძნელდა დღეს, რამეთუ 1992 წლიდან გენერალ თამაზაშვილის პოლიციის უფროსობისას რა ჩაგვრა-დევნასაც განვიცდიდი პირადად მისგან (რის საფუძველზეც გაეროს უმაღლესმა კომისარიატმა HCR-მა მომანიჭა, ჯერ პოლიტიკური დევნილის სტატუსი, შემდეგ კი საფრანგეთის მოქალაქეობა), ახლა უკვე მისგან დაკომპლექტებული კადრებისგან განვიცდი იგივეს. კიდევ კარგი რომ შარშან, გენერალმა თამაზაშვილმა სიტყვიერად „ილიადან ბიძინამდე“ ხაზი გადაუსვა ყველა ინტელექტუალ-ერისკაცთ და არა „შოთადან ილიამდე“...

სადღეისოდ სახეზეა: – 1) საკუთრების უფლების ხელყოფა 2) უძრავი ქონების განზრახ დაზიანება 3) მოყენებული ზარალის არ ანაზღაურება 4) საფრანგეთში ემიგრირებული სამი შვილისთვის ბინის თანამესაკუთრეობაში დარეგისტრირების გაჭიანურება. ზემონახსენები უსამართლობა ეწინააღმდეგება და სრულად იგნორირებს საქართველოში სადღეისოდ მოქმედ ბრძანებულებას N1-1/1254-ით „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითად დებულებების“ შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1992 წლის 6 იანვარს ბატონმა თამაზაშვილმა თვითნებურად მიატოვა კოლხური კოშკი, რის გამოც იგი არ გათავისუფლებულა დედოფლის წყაროს პოლიციის უფროსობიდან. შედეგად კოლხური კოშკი გადაიწვა. 1992-1993 წლებში შეიარაღებულ „მხედრიონელები“ შავი „ჩაიკით“ მომიცვივდნენ სახლში, მცემეს და იარაღის ქვეშ მაწამეს დახვრეტის ინსცენირებით (უფროსი თანამოაზრე ბარამ პაპაჩაშვილი შიფერის მონაჭრებით თავის არეში ისე სცემეს, რომ მხოლოდ რამდენიმე დღეღა იცოცხლა, ისიც მწოლიარე მდგომარეობაში).

ამდენად, 1990-იანი წლებიდან დღემდე ჩემდამი დამოკიდებულება უცვლელია „ლოგიკური“ უკანონობით.

დასასრული როგორი მექნება, ძნელად პროგნოზირებადია.

ონისე გოგილაშვილი,
პოლიტემიგრანტი, საფრანგეთი.

რედაქციისაგან: გამოვთქვამთ წუხილს ბატონი ონისე გოგილაშვილისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან და ვურჩევთ მას, რომ განცხადებით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის საჯარო რეესტრს სათანადო დოკუმენტაციების წარდგინებით

სიმართლეს წინ ვერავინ აღუდგება!

ღამის ორი საათია, თენდება 29 ივლისი და მე ტელეგადაცემისგან აღშფოთებული ვიწყებ ამ კორესპონდენციის წერას. გადაცემა იყო „რუსთავი–2„–ის არხზე თომა ჩაგელიშვილის ატვორობით, ჩვენი პირველი პრეზიდენტის, ბატონი ზვიადის საქართველოდან გაძევების თაობაზე.

გადაცემაში მრავალი რესპოდენტი მონაწილეობდა.

გადაცემის ირგვლივ ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია: ეს არის მცდელობა ავტორმა მოვლენები წარმოგვიდგინოს, რაც შეიძლება რბილად, შემრიგებლურად, სიმართლისა და პირდაპირობის მიჩქმალვით, დამნაშავეთა მიტევების და ამგვარად სიმართლის დაფარვით შექმნას მსმენელის ილუზიური შთაბეჭდილება.

სინამდვილეში კი სულ სხვაგვარად იყო საქმე. მე, ელენე აბაშიძე, ბატონ ზვიადის მიტინგებზე, მისი ყოველი გამოსვლის დროს ვიდექი მისგან მეტრნახევარში. ჩემი მოლოდინით და შთაბეჭდილებით დღითიდღე ვრწმუნდებოდი, რომ საქართველოს ჰყავდა დიდი პატრიოტი, მაღალი ზნეობის, სულიერებისა და ინტელექტის მქონე პრეზიდენტი, რაც დასტურდებოდა იმით, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობაში იგი იყო თავმდაბალი და თავდადებული.

ბატონი ზვიადი იმხანად მუშაობდა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის კვლევით ინსტიტუტში ქალბატონ ლია ანდღულაძესთან ერთად. ერთხელ, როცა ლიას ქალიშვილი ავად იყო, ზვიადმა, მოიცალა და რომელიღაცა სოფლიდან მოუტანა წამალი, სახლში მოართვა. იქ გახლდით და თვითონ გავაღე კარი, შევუძახი. მისმა გულისხმიერებამ დიდად გამაოცა. იქიდან დაიწყება ჩვენი ნაცნობობა.

ცნობილია, რომ ბავშვობიდან მოყოლებული ბატონი ზვიადი იმდენად იყო შევიწროებული ხელისუფლებისგან, რომ გზაში თავჩაღუნული დადიოდა, რათა თავისი სალმით ადამიანებისთვის ზიანი არ მიეყენებინა, რადგან ის იდევნებოდა შევარდნაძისაგან და იყო ხელისუფლებისაგან დაზვერვის ობიექტი.

ერთი ფაქტი შეიძლება მოვიყვანო დღევანდელ პარლამენტარებთან შესადარებლად; გამსახურდია უკვე პრეზიდენტი იყო, საჭირო გახდა საქართველოს ბიუჯეტის განაწილება სხვადასხვა ლონისძიების ჩასატარებლად. მოათავეს ეს განაწილება და ბოლოს აღმოჩნდა, რომ გამორჩენოდათ თვით პრეზიდენტის, ე. ი. ზვიად გამსახურდიას ხელფასი. მობოდიშებით ჰკითხეს ბატონ ზვიადს, რა ჩაეწერათ, რა თანხა მიეთითებიათ მისი ხელფასისთვის. ისიც დაფიქრდა და თქვა – „მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს რა ხელფასიც აქვს, იმას მიუმატეთ თუმანი და ის იქნება ჩემი ხელფასიო“. შეადარეთ ახლანდელი პარლამენტარების მადას, პრემიებზე დახარჯულ 321 მილიონს (ერთხელ 150 და მეორეჯერ 180 მილიონების ჯამს), მივიღებთ პასუხს თავისი ქვეყნისათვის ვინ როგორი პატრიოტი იყო და არის. სამწუხაროა, რომ ასეთ სულით ხორცამდე თავის ქვეყანაზე შეყვარებულ პატრიოტს, სამშობლოზე შეწირულ კაცს, როგორ ვერაგულად მოექცა ერთი მუჭა ინტელეგენცია, სწორედ ის ხალხი, რომლებიც გამოჩნდნენ ეკრანზე შემრიგებლური ტონით, რომლებსაც სურთ თავიანთი დანაშაული დაფარონ და ნახევარი სიმართლით ეცადონ ამის გაკეთებას. სწორედ ისინი, რომლებიც დიდი სიფრთხილით ლაპარაკობენ ნახევარ სიმართლეს, არიან და იყვნენ მისი მოწინააღმდეგეები, წარმოდგენილნი ჩაგელიშვილის ფილმში.

გულსატკენი და შეურაცხმყოფელია, რომ მავანნი ერთმანეთისაგან აცალკევებენ ორ დიდ პიროვნებას – ზვიადს და მერაბს. ამით ცდილობენ ზვიადს ჩრდილი მიაყენონ, მაგრამ მათი ცდა უიმედოა, ამას ისტორია არ დაუშვებს, რადგან თვით მერაბი უთმობდა მას პირველობას, რადგან პატრიოტული მოძრაობის თავკაცად ის მხოლოდ ზვიადს თვლიდა.

ბატონი ზვიადის მოღვაწეობა პრეზიდენტის თანამდებობაზე გაგრძელდა მხოლოდ 6 თვე. წარმოიდგინეთ, დღევანდელმა ხელისუფლებამ 6 თვეში კი არა, სამ წელიწადში ვერ შექმნა სახელმწიფოში კეთილი მდგომარეობა, რომ შესამჩნევად დატყობოდა სახელმწიფოს – ხალხისათვის ელემენტარული ცხოვრებისეული შეღავათი. იმ დროს, სწორედ იმ 6 თვეში მოხდა წყალდიდობა (ფოთში სახლები და კარმიდამოები მთლიანად დაიტბორა), მეწყერები აჭარაში (ოჯახები ქართლში გადაასახლეს და შუქმეს ცხოვრების სათანადო პირობები), მიწისძვრა, დაინგრა საჩხერე, ამბროლაური, სვანეთში ზვავით მთლიანად ჩაიძირა სოფელი, სვანების ოჯახები გადაიყვანეს ქართლში და იქ დაასახლეს, მისცეს კარ–მიდამოები, სახლები; ახლად ააშენეს ამბროლაური და საჩხერე, არც ერთი პრეტენზია არ ყოფილა დაზარალებულთა ოჯახებიდან. ამასთან ერთად, რუსეთიდან გადმოსახლებულმა დუხობორების 300–მა ოჯახმა გადაწყვიტა დაბრუნებოდა თავის სამშობლოს. გაყიდეს სახლები, რომლებიც შეიძინა სახელმწიფომ, ამ 300 ოჯახის კარ–მიდამოები და ბინები დაურიგდათ ახალადქორწინებულ წყვილებს და ა. შ. ეს ყველაფერი (და ურფო მეტიც) გაკეთდა იმ 6 თვეში. აღარ მივუთითებ რამდენი გზა და ხიდი, ეკლესია და ა. შ. აშენდა, შეკეთდა. ამასთან ერთად, შემოიღო და დააკანონა ისეთი კანონები, რომლებიც სამუდამოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის. რაც მთავარია, თავისი დიპლომატიური პოლიტიკით კარგი დამოკიდებულება შეინარჩუნა აფხაზეთში და სამაჩაბლოში, უბრძოლველად გააუქმა უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მათ მიერვე მიღებული იურიდიულად არაკომპეტენტური გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიამ შეძლო სულ რაღაც 6 თვეში.

რომ არა საქართველოს მიმართ შევარდნაძის საბედისწერო პოლიტიკა, ზვიადი დღესაც ცოცხალი იქნებოდა.

ჟურნალისტ ჩაგელიშვილის გასაგონად მინდა ვთქვა, რომელმაც პუტჩისტთა მთელი „თაიგული“ წარმოგვიდგინა რესპოდენტებად თავის ფილმში: განა რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, მისი ასაკის ჟურნალისტებს დავიწყებოდათ დისიდენტის, პუბლიცისტისა და მწერლის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდა, სისხლიან რეჟიმს შეწირული, ერისა და მამულისათვის მართლაც თავგანწირული და უკომპრომისო ჟურნალისტი ირაკლი გოცირიძე, რომელიც უშუალოდ შევარდნაძისაგან ითხოვდა პასუხს იმ 120 კითხვაზე, რომლის საპასუხოდ არა მარტო ქართულ ჟურნალისტიკაში გამორჩეული პიროვნება, არამედ თითქმის მთელი მისი ოჯახი გაანადგურა.

განა ჩვენს თვალწინ, დღისით მზისით, შუაგულ თბილისში არ მოგვიკლეს ეროვნული მოღვაწე, პროფეესორი, პუბლიცისტი და მკვლევარი, მართლმადიდებლობისა და ეროვნული ინტერესებისათვის თავგანწირული მებრძოლი გურამ შარაძე? ქართული ემიგრანტული ლიტერატურისა და საარქივო მასალების მკვლევარს, აკაკისა და ილიას ცხოვრებისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური ნაშრომების ავტორს, ილიასავით დაუნანებლად მოუსწრაფეს სიცოცხლე ზუსტად ილიას მკვლელობის 100 წლისთავზე!

განა ქართული პრესის მესვეურებს ასე დაუნანებლად უნდა მიევიწყებინათ იმ ახალგაზრდის სახელი, რომელიც 9 აპრილს, თბილისში შემოჭრილ სიკვდილის მანქანებს ფიცრის ნაპობი შეალეწა ფოლადის ჯავშანზე. ეს იყო ქართული უდრეკი სულის დემონსტრირებასთან ერთად იმის თვალსაჩინო დასუტრიც, რომ კბილებამდე შეიარაღებულ მკვლელებსა და ჯალათებს ქართველი ხალხი უიარაღოდ აღუდგა წინ – განსხვავებით იმ ვერსიებისა, როდესაც ლამის შეიარაღებულ გამოსვლად მონათლეს 9 აპრილის ტრაგედია.

ეს ახალგაზრდა, რომლის სახელი, ვეჭვობ ვინმეს ახსოვდეს დღეს – მართალია 9 აპრილის ჯოჯოხეთს გადაურჩა, მაგრამ ბაბუშერაზე სეპარატისტების მიერ ჩამოგდებული თვითმფრინავის მსხვერპლი გახდა, მაშინ, როდესაც თავისი ჟურნალისტური მისიის შესასრულებლად, ოპერატორებთან ერთად, სატელევიზიო სიუჟეტის მოსამზადებლად მიდიოდა, რათა გორში მის მიერ დაფუძნებული ტელევიზიისათვის რეალური ვითარების ამსახველი კადრების ჩამოეტანა და თავისი პირველი ჟურნალისტური ნათლობა ამ გადაცემით აღენიშნა. ვინ, თუ არა ჟურნალისტმა უნდა უკვდავყოს ასეთი მამულიშვილების სახელები. აინტერესებს კი, ჩაგელიშვილსა და ზოგიერთ მის „თანამოძმეებს“ ამ თავგანწირული ახალგაზრდის მსგავსი ადამიანების ბიოგრაფია ან ვინაობა? თუმცა არიან ჩვენს საზოგადოებაში ისეთი პუბლიცისტებიც, რომლებიც არასოდეს მიდიან კომპრომისზე საკუთარი სინდისის წინაშე.

ამ ახალგაზრდის სახელი და მისი დაუვიწყარი თავგანწირვის ბიოგრაფიული დეტალები, ზედმიწევნით, თანმიმდევრულად აღწერა მწერალმა და ესეისტმა ბატონმა კარლო ქრისტესიაშვილმა. ეს თავგანწირული ახალგაზრდა გორელი ალეკო ჩიტაძეა, რომლის არა მარტო სახელი, არამედ 9 აპრილის ეს უჩვეულო და დაუვიწყარი კადრებიც მაშინვე გადმოაწერინა ტელევიზიის მესვეურებს, რათა შთამომავლობისათვის შემოენახა...

თავგანწირულსა და სამშობლოსთვის ამგვარადვე თავშეწირულ პრეზიდენტს, რომელიც ხალხმა აირჩია, პუტჩისტებმა 4 წელიც არ აცადეს, რათა საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ კვლავ ხალხს გამოეხატა თავისი ნება და თუ საჭიროდ ჩათვლიდა გადაირჩევდა კიდეც.

არ მოწონდათ ბატონი ზვიადი? მოეთმინათ 4 წელი და გადაერჩიათ! მათი წყალობით, აგერ უკვე 25 წელია დავბორიალობთ და ვერ გაგვიგნია გზა ჩახლართულ ლაბირინთებში. ყველა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირიდან გამოყოფით უკვე ჩვენზე კარგად მოიწყო ცხოვრება, ჩვენ კი ერთ ადგილზე ვიტკეპნებით.

ეხლა შევარდნაძის ვერაგული ნატურა, რომელიც ვერ იტანდა ზვიადის არსებობას! ის საქართვლეოში ჩამოაბრძანა სწორედ ჩაგელიშვილის „თაიგულმა“ და ბევრმა სხვამ (სულ დაახლოებით 2000–მა კაცმა), ირინე სარიშვილის თაოსნობით საზოგადოება დააჩოქეს რესპუბლიკის მოედანზე, რათა შევარდნაძე არ გადამდგარიყო, რომლის თუნდაც საქართველოს ღალატად ერთი მიზეზიც იყო საკმარისი – როკის გვირაბის გაყვანა, რითაც საქართველოს დასარბევად აჩუქა შევარდნაძემ რუსეთს, იქნებოდა საკმარისი საბაბი, რომ საქართველოს პირველ მტრად გამოცხადებულიყო. ამასთან ერთად შევარდნაძის ცოდვებიდან აღსანიშნავია იუზა კობახიძის, თვითმფრინავის ბიჭების (მათთან ერთად მღვდლის), სოლიკო ხაბეიშვილის, პატარიძის და ბოლოს მერაბის და ზვიადის მკვლელობა, მთავარი კი ის იყო, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო უმტკივნეულოდ ჩააბარა რუსეთს. ამ ომში ჩაწყვიტა საქართველოს პატრიოტულად გამორჩეული ახალგაზრდობა, ეროვნული გენოფონდი. ამის შემდეგ რა პომპეზურად გაისტუმრეს ამ ქვეყნიდან, რა ღირსეული დასაფლავება და რა ნლისთავი ჰქონდა? კარგი იქნებოდა მისი შვილიშვილი თავს შეიკავებდეს და ფრთხილობდეს, რათა ტანგოს ცეკვით არ აღიზიანებდეს საქართველოს დათრგუნულ და გაღატაკებულ საზოგადოებას. ჩვენ, ქართველებმა ბატონი ზვიადი „ბერბიჭაშვილებს“ დავუთმეთ და დღეს უნდათ თავი იმართლონ, შეარბილონ ამ „ბერბიჭაშვილების“ „საქმენი საგმირონი“ (ილია ჭავჭავაძე ერთმა ბერბიჭაშვილმა მოკლა, ზვიადი კი მრავალმა).

ობიექტურობა მოითხოვდა, ეს ფილმი დაწყებულიყო სწორედ იმით, რომ ჩვენი მოსახლეობის 87% იყო ზვიადის მომხრე, მხოლოდ 13% იყო მოწინააღმდეგე, სწორედ ისინი, ვინც მონაწილეობდნენ ამ ფილმში და მასთან დამატებით კიდევ 2000–მდე კაცი, ისიც თბილისში მაცხოვრებელი კორუმპირებული ქართველი ინტელიგენცია. ამ პროცენტული რაოდენობით და თანაფარდობით უკვე იყო მიღწეული ის, რომ ზვიადმა ჩამოაყალიბა დემოკრატიული საქართველო, შექმნა დემოკრატიული მთავრობა, მაგრამ ვინ აცალა? – 6 თვის განმავლობაში დაამხეს ეს ნამდვილად დემოკრატიული, ეროვნული და პატრიოტული, პატიოსანი ხალხისგან შედგენილი მთავრობა და მოიყვანეს შევარდნაძის, თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის კრიმინალური მთავრობა.

ისეთ დემოკრატიულ მთავრობას უკვე ალბათ ვეღარ ვეღირსებით ნამდვილად, მით უფრო მე, უკვე ჩემი წლოვანების გამო, რადგან საუკუნოვან ასაკს ვუახლოვდები. მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც 9 წელი უთმინა ჩვენმა ხალხმა ხოლო თუნდაც ერთი წელი ვერ მოუთმინეს ღვთისნიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. შემდგომი მთავრობები ცდილობდნენ და ცდილობენ გაძარცვონ და დაეუფლონ საქართველოს ქონებას. აბა რა ჰქვია 321 მილ. რომ დაიხარჯა პრემიებზე 150 ან 200 პარლამენტარის და სხვადასხვა მოხელეთა სასარგებლოდ? მაშინ როცა 800000 პენსიონერის პენსიებზე იმ თანხის მხოლოდ მესამედი – 100 მილიონი გამოყვეს სამარცხვინო 10 ლარის მომატებისთვის. ასე გაამათხოვრეს თითქმის მილიონი პენსიონერი მაშინ, როცა 2015 წლის 29 ივნისის „ახალ თაობაში“ ქვეყნდება ინფორმაცია ასეთი სათაურით: „ცესკოს თავმჯდომარემ სამ თვეში პრემიის სახით 11410 ლარი მიიღო“. ეს ხომ ამ გასაცოდავებული ხალხის შეურაცხყოფაა? ეს ხომ დაცინვაა? აქ მინდა უსათუოდ აღვნიშნო დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის დამსახურება, მის მიერ პრემიული სისტემის უსამართლობის აღიარებაზე.

იცით თუ არა, რომ 321 მილიონით დაკმაყოფილდებოდა 10000 უსახლკარო მოქალაქე თითოეული ოთხოთახიანი ბინით? ეს როგორო? იკითხავს მავანი, გიპასუხებთ: ჩემმა ახლობელმა მუხიანში გაყიდა სამოთახიანი ბინა 40 ათას დოლარად და მხოლოდ 10 ათასი ლარის დამატება დაჭირდა, რათა აეშენებინა ორსართულიანი სახლი თითოეულ სართულზე 4 ოთახით. სწორედ ამ ანგარიშით მივედი იმ დასკვნამდე, რომ ასე დაკმაყოფილდებოდნენ უბინაონი, უსახლკარონი თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, მრავალშვილიანი, დავრდომილ წევრებიანი ოჯახები, რომელთა შესახებაც ყველა ტელეგადაცემას გულისტკივილამდე მიყავს ადამიანები? საკითხავია, ფულის გაუფასურებაც ხომ არ არის ამის მიზეზი?

ამასთან ერთად სულ რაღაც 2 მილიონი ლარი იყო საკმარისი, რომ 1630 მეცნიერი დოქტორისათვის, რომლებიც მხოლოდ 150 ლარ პენსიას იღებენ, 70 ლარის დამატება მიეცათ, ამით დაფასდებოდა მათი 50 წლიანი დამსახურება და არ მოხდებოდა მათი გათანაბრება იმ პენსიონერებთან, რომლებსაც საერთოდ არ უმუშავიათ და მაინც იგივე პენსია – 150 ლარს იღებენ. „ჩარეცხილების“ იარლიყსაც მოიხსნიდნენ და დაფასებულად წავიდოდნენ ამ სოფლიდან. აი ეს გააკეთა დღევანდელმა მთავრობამ ნოდარ ხადურის თაოსნობით.

აი, ასეთი საქართველო მივიღეთ შევარდნაძის და სააკაშვილის პოლიტიკით.

ჩაგელიშვილს კი ვეტყვი: ეცადე უფრო კარგად შენიღბო საქართველოს მტრების ნამოქმედარი, თორემ ჯერ კიდევ ვართ ცოცხლები, ისინი, ვინც უშუალოდ ვმონაწილეობდით მაშინდელ მოვლენებში და გვახსოვს როგორ დაამხეს ზვიად გამსახურდიას პატიოსანი მთავრობა.

ელენე აბაშიძე
გეოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, ამერიკისაგან
მეცნიერებაში წლის ქალად
აღიარებული
93 წლის, 100–ლარიანი
მარტოხელა პენსიონერი.

ჯანმრთელობის გვერდი

ლიმონით მკურნალობა ქიმიოთერაპიაზე 10 000-ჯერ მეტ შედეგს იძლევა (?!)

ლიმონის წვენს ბევრ სასარგებლო თვისებას მიაწერენ. მას ანტიმიკრობული პრეპარატის შეფასებას აძლევენ, რომელიც ბაქტერიული და სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ ეფექტურ, ქმედით საშუალებას წარმოადგენს. ლიმონი ასევე არეგულირებს სისხლის მიმოქცევას, არის ბრწყინვალე ანტიდეპრესანტი, ხსნის ნერვულ დაძაბულობას და ა.შ. აღარაფერს ვამბობთ ადამიანის ორგანიზმზე მისი, როგორც ვიტამინების წყაროს, პოზიტიურ გავლენაზე.

ლიმონის სასარგებლო თვისებებიდან ყველაზე საინტერესო გახლავთ ლიმონის მოქმედება სიმსივნურ დაავადებებზე. ეს საოცარი პროდუქტი ეფექტურად ანადგურებს მეტასტაზებს და ქიმიოთერაპიაზე მეტი შედეგიანობით გამოირჩევა.

მედიცინის მეცნიერებათა ინსტიტუტის ინფორმაციით (Institute of Medical Sciences, 819 N. LLK Goats Street, Baltimore, MD1201), 1970 წლიდან მოყოლებული 20-ზე მეტმა ლაბორატორიულმა კვლევამ დაამტკიცა, რომ ლიმონი ეფექტურად ებრძვის სიმსივნურ უჯრედებს. კვლევების თანახმად, ლიმონი 10 000-ჯერ უკეთესია Adriamycin-ის პროდუქტზე - პრეპარატზე, რომელიც ქიმიოთერაპიის სამყაროში გამოიყენება და მეტასტაზების ზრდას ანელებს. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ პრეპარატს ლიმონთან ერთად გაძლიერებული ეფექტი აქვს - მეტასტაზებს ანადგურებს ისე, რომ ჯანმრთელ უჯრედებს საერთოდ არ ეხება.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ ურთულესი დაავადების მარტივად მკურნალობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, მსხვილი კორპორაციების ინტერესებიდან გამომდინარე, დღემდე არ ხდება. არადა, ლიმონს, ქიმიოთერაპიისგან განსხვავებით, თანმდევი არასასიამოვნო შეგრძნებები არ ახასიათებს, უკეთესი ეფექტიც აქვს და გემოსაც სასიამოვნოს ტოვებს.

გთავაზობთ ონკოლოგების მიერ შემუშავებულ უნიკალურ რეცეპტს კიბოს და სხვა მრავალი დაავადების თავიდან ასაცილებლად.

ინგრედიენტები:

1. 15 ც. მწიფე ლიმონი
2. 12 თავი ნიორი
3. 1კგ. ნატურალური თაფლი
4. 400გრ. ხორბლის მარცვალი
5. 400 გე. ნიგოზი

მომზადების წესი:

დავფქვათ ხორბლის მარცვლები; შემდეგ დავფქვათ ნიორი და ნიგოზი ერთად; დავაქუცმაცოთ (ბლენდერის მეშვეობით) 5ც. ლიმონი კანიანად; შევურიოთ ყველაფერი ერთმანეთში და დავამატოთ დარჩენილი 10 ც. ლიმონის, მხოლოდ წვენი; ბოლოს ვამატებთ თაფლს და ხელახლა კარგად ვურევთ.

მიღებული მასა გადავიტანოთ მინის ქილაში ,კარგად მოვარგოთ ხუფი და შევდგათ მაცივარში,3დღის შემდეგ მზადაა გამოსაყენებლად.

გამოყენების წესი:

I ვარიანტი - 1-2 ს/კ ჭამამდე 30 წუთით ადრე,დღეში 4 ჯერ;

II ვარიანტი (ონკოლოგიური დაავადებების დროს) - 1-2 ს/კ ყოველ 2 საათში.

ეს უნიკალური რეცეპტი სასარგებლოა მთელი ორგანიზმისთვის :

- გულსისხლძარღვთა დაავადებების დროს;
- იმუნური სისტემის გასაძლიერებლად;
- ღვიძლის ,თირკმლისა და სასუნთქი გზების გასაწმენდად;
- გონებრივი შესაძლებლობების და მეხსიერების გასაუმჯობესებლად;
- ამცირებს გულის იშემიური დაავადებების განვითარების რისკს, არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მათ სამკურნალოდ;
- აღადგენს ორგანიზმის სასიცოცხლო რესურსებს პოსტოპერაციულ პერიოდში;
- უნარჩუნებს სხეულს სიჯანსაღეს, ენერგიას,ახალგზრდულ იერს, ვინაიდან შეიცავს ყველა საჭირო ვიტამინს, მინერაულ მარილებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, კარბოჰიდრატებს და ცხიმს.

ლიმონის წვენს ანტისეპტიკური და სოკოს საწინააღმდეგო ფუნქცია გააჩნია. ლიმონმჟავა, რომელიც ამ ციტრუსში დიდი რაოდენობით მოიპოვება შეამცირებს სოკოს გავრცელების ფარგლებს. აიღეთ ახლად დაწურული ლიმონის წვენი და წაისვით ფჩხილზე, გაიჩერეთ 10 წუთით და თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ეს პროცედურა შეიძლება ჩაიტაროთ ერთხელ დღეში მინიმუმ ერთი თვის განმავლობაში. დილით. უზმოზე და დღის განმავლობაშიც წყურვილის დროს სვით ლიმონჩაწურული წყალი!

ექიმების ბოლო სამედიცინო გამოკვლევები - რისი გაკეთება არ შეიძლება ჭამის შემდეგ:

არ შეიძლება: სეირნობა.

ბევრი თვლის, რომ კარგად დანაყრების შემდეგ ფეხით სეირნობა სასარგებლოა, თუმცა, ეს მცდარი აზრია. ეს შესაძლოა, კუჭის დისპეპსიის მიზეზი გახდეს.

როგორც ჩანს, ჩვენს ორგანიზმზე გავლენას არა მხოლოდ საკვები ახდენს, არამედ ისიც, რას ვაკეთებთ ჭამის შემდეგ. იზრუნეთ საკუთარ თავსა და ჯანმრთელობაზე.

ადამიანებს ათასობით ჩვევა აქვთ, რომლებმაც დროთა განმავლობაში ტვინში „საფუძველი“ გაიმყარეს და ბევრი მათგანი, შესაძლოა, ჩვენი ცუდად ყოფნის მიზეზიც კი გახდეს.

არ შეიძლება: ხილი.

ფიქრობთ, რომ ხილი დესერტის სახით, ჭამის დასრულებისთანავე აუცილებლად უნდა მიიღოთ? ესეც მცდარი აზრია. ჭამის შემდეგ მიღებული ხილი არღვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის ნორმალურად მუშაობის პროცესს. უმჯობესია, ხილი ჭამამდე ერთი საათით ადრე ან ჭამიდან, მინიმუმ, 2 საათის შემდეგ მიიღოთ.

არ შეიძლება: ჩაი.

ექიმები არ გვირჩევენ ჭამის შემდეგ ჩაის მიღებას, რადგან ის შეიცავს მჟავებს, რომლებიც რკინის აბსორბირებას იწვევს. საკვებზე ჩაის დაყოლებით, ადამიანის ორგანიზმი კერძიდან საჭირო რაოდენობის რკინას ვერ იღებს, ამიტომ ჩაის დასალევად იდეალური დროა - ჭამიდან ერთი საათის შემდეგ.

არ შეიძლება: ძილი.

ადამიანების უმეტესობას ჭამის შემდეგ დაძინება ყველაფერს ურჩევნია, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ეს ძალიან მავნებელია. მწოლიარე მდგომარეობაში კუჭ-ნაწლავის წვენი საყლაპავ მილში გროვდება, რაც გულ-ძმარვას იწვევს. იმისთვის, რომ ეს პრობლემა თავიდან აიცილოთ, დაიძინეთ ჭამიდან მხოლოდ 2 საათის შემდეგ.

არ შეიძლება: აბაზანის მიღება.

თბილ წყალში ბანაობა მთელ სხეულში სისხლის მიმოქცევას აჩქარებს. შესაბამისად, კუჭის გარშემო სისხლის ნაკადი შედარებით მცირდება. წყლის პროცედურები ჭამიდან ნახევარი ან ერთი საათის შემდეგ შეგიძლიათ შეასრულოთ.

არ შეიძლება: მოწევა.

ჭამის შემდეგ სიგარეტის მოწევა გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომს იწვევს. ის, ასევე, ნეგატიურად მოქმედებს მსხვილი ნაწლავის კუნთებზე.

შეიძლება: თბილი წყალი.

საჭმლის სწორად მოსანელებლად ჭამიდან ერთი საათის შემდეგ ორგანიზმს ენერგია და სითბო სჭირდება. ამიტომ, სასურველია, ძირითადი კერძის მიღების შემდეგ ცივი კერძები მალევე არ მიიღოთ. მაგალითად: ნაყინი. ჭამის შემდეგ ყველაზე კარგია ცოტაოდენი თბილი წყლის მიღება.

შეიძლება: საუბარი ახლობლებთან.

სისხლის სწორი მიმოქცევისა და საჭმლის სწორად მონელებისთვის, ჭამის შემდეგ მოერიდეთ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დაძაბულ საქმიანობებს. ამ დროს, ყველაზე კარგია სასიამოვნო საუბრები ახლობლებთან, ყველანაირი კამათისა და ჩხუბის გარეშე.

შეიძლება: თავისუფალი სტილის ტანსაცმელი და ქამარი.

იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ გასტროეზოფაგური რეფლექსური დაავადება, ნუ ჩაიცვამთ მჭიდრო ტანისამოსს და მოერიდეთ ქამრებს.

წყარო: http://funtime.ge/saknatuno-ambebi/sami-sheizleba-da-eqvsi-ar-sheizleba

✠ სულთათანა ✠

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს, უაღრესად კეთილშობილ, დახვეწილ ინტელიგენტს ქალბატონ დალი აბულაძეს ეროვნული მოძრაობიდან, ძმის

ნოდარ აბულაძის

გარდაცვალების გამო და შესთხოვს ღმერთს, რათა ნათელში დაამკვიდროს ახალშესვენებულის სული, ამინ!

წიგნი ქართველი ერის გენოციდზე აფხაზეთში



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა წიგნი ინგლისურ ენაზე, რომელშიც ასახულია 1992-1993 წლებში აფხაზეთში არაადამიანური სისასტიკით გახორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის სამართლებრივი შეფასება და ფსიქო- ანალიზი.

ფაშისტები ტყვეობაში მყოფ და სასიკვდილოდ განწირულ ებრაელებს არ ექცეოდნენ ისეთი სისასტიკით, როგორც აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას მოექცნენ. მაგალითად, თავის მოკვეთას, სხეულის დანაწევრებას, ცოცხლად დაწვას ან დამარხვას, ორსულთა მუცლის გამოფატვრას და ა.შ. ანალოგი ნაკლებად მოიპოვება თანამედროვე მსოფლიოში, ანუ გეტოს „ჰუმანიზმიც“ არ აღირსეს ოკუპანტებმა ქართველებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ებრაული ჰოლოკოსტი მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე სამუდამოდ დასრულდა, რადგან პირველ რიგში თავად გერმანელმა ერმა აღიარა დანაშაული და დაგმო ფაშისტთა მიერ არაადამიანური ქმედება, რასაც მთელი ცივილიზებული კაცობრიობაც შეუერთდა.

სამწუხაროდ XX საუკუნის ბოლოს რუსეთმა აფხაზეთის მშვიდობიანი, უპირატესად ქართული მოსახლეობა ფიზიკურად გაანადგურა ან დევნილებად აქცია. ეს ბარბაროსობა კრემლმა აფხაზ სეპარატისტთა სახელით და მათი უშუალო მონაწილეობით განახორციელა, მაგრამ არც სეპარატისტები და არც ოკუპანტები - ამ არნახული დანაშაულისთვის დღემდე არ დასჯილან, არამედ პირიქით, მსოფლიო თანამეგობრობისგან უტიფრად ითხოვენ ოკუპირებული ტერიტორიების „დამოუკიდებლობის“ აღიარებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთი გერმანიის მსგავსად თავისი დანაშაულის აღიარებას არც აპირებს, არამედ აგრძელებს ქართველთა დევნას და მოსახლეობის რუსიფიკაციას.

წიგნში ასევე მოყვანილია ოკუპანტების მიერ უმოწყალოდ დახოცილ ხუთიათასამდე მშვიდობიანი მოქალაქის და ოთხასი უგზო- უკვლოდ დაკარგული ადამიანის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის სახელობითი სია, აფხაზეთის ქალაქების, რაიონებისა და სოფლების მიხედვით.

სწორედ საერთაშორისო სახელმწიფო ინსტიტუციების და მსოფლიოს საზოგადოების ვერდიქტისთვის შეიქმნა ეს წიგნი იმის იმედით, რომ ოკუპანტთა ისტორიულ დანაშაულობებს და უსამართლობებს მოეღოს ბოლო საქართველოში.

ნუგზარ მგალობლიშვილი

რელიგია

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)

სკვნილის შესახებ

მახსოვს, 60-ან წლებში სოხუმის ეპარქიაში სასულიერო პირთა შორის კამათი წარმოიშვა: აქვს თუ არა სკვნილზე ლოცვის უფლება ერისკაცს. ჩემი აზრით, ამ კამათმა მხოლოდ ერთი რამ გვაჩვენა: რამდენად უსულო გახდა ჩვენი დრო. ადამიანები, რომლებიც წოდებითა და ხარისხით მოწოდებული არიან ლოცვა ასწავლონ, აღარ ესმით, რა არის უფლის წინაშე დგომა, შინაგანი ლოცვით, რომელსაც ასევე ეწოდება „მღვიძარება“, „იდუმალი სწავლება“, „ღვთის ხსოვნა“ და იესოს ლოცვა. მათ მიაჩნიათ, რომ პავლე მოციქულის სიტყვები: მოუკლებელად ილოცევდით * - ყველა ქრისტიანს კი არ ეხება, არამედ მხოლოდ იმათ, ვინც ასკეტური ცხოვრება აირჩია ანუ თანამედროვე ბერებს.

სკვნილი ეს ლოცვის ერთ-ერთი გარეგანი იარაღია; ეკლესიური წესების მიხედვით, ადამიანმა შეიძლება, ის გამოიყენოს იესოს ლოცვის გარკვეული რაოდენობით სხვადასხვა ლოცვებისა და მსახურების (რა თქმა უნდა, საეკლესიო საიდუმლოებების გარდა) შესაცვლელად. გარდა ამისა სკვნილი ადამიანს მუდამ ახსენებს ლოცვას.

საისტორიო ლიტერატურაში შემორჩენილია არაერთი მოწმობა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ორი ასწლეულის წინ სკვნილს ატარებდნენ ხელოსნები, გლეხები და ჯარისკაცებიც კი. საბრძნეთის ეკლესიებსა და აღმოსავლეთში სკვნილით ლოცვას ეჭვით არასდროს უყურებდნენ, ეს ეკლესიურ ტრადიციად ითვლებოდა. ჩვენს დროში შინაგანი ლოცვის დაკარგვამ, გარეგან მოღვაწეობაზე გადასვლამ და მთავარის - გულის უფალთან შეერთების - დავიწყებამ თანამედროვე ქრისტიანები ლოცვის დამახინჯებულ გაგებასთან მიიყვანა, თითქოს ის განსაზღვრული დროითა და ადგილით უნდა შემოიფარგლოს, დანარჩენ დროს კი გონება და სული მიწიერ საგნებსა და წარმოდგენებში დაუბრკოლებლად შეიძლება ტრიალებდეს. ამიტომაც დღეს სკვნილს ბევრი უყურებს, როგორც ბერების ატრიბუტიკას, როდესაც ერისკაცის ხელზე სკვნილს ხედავენ, ამბობენ: „სკვნილის ტარების ნება ვინ მისცა; ბერი ხომ არ არის? ეს წესების დარღვევაა!“ - მაგრამ რომელი წესების, თავადაც არ იციან. უნდა ითქვას, რომ სკვნილზე ლოცვის ძველი ტრადიცია არა მხოლოდ მართლმადიდებლებს შემორჩათ, არამედ ისეთ კონფესიებსაც, როგორიცაა მონოფიზიტობა და კთოლიკობა, გარდა ამისა, სკვნილი ასევე არსებობს მუსულმანებთან, ბუდისტებთან და ასე შემდეგ.

ბერების ძველ წესდებებში, სადაც განმარტებულია ბერული სამოსის სიმბოლური მნიშვნელობა, სკვნილი არ არის ნახსენები. XVIII საუკუნემდე გამოცემულ კურთხევანშიც სკვნილით დალოცვის წეს-ჩვეულება არ არის, რადგან მაშინ სკვნილი ქრისტიანული ცხოვრების ჩვეულებრივი საგანი იყო, და მხოლოდ XVIII საუკუნეში სკვნილით უწყვეტი ლოცვისთვის საჭირო შეიქნა კურთხევა, რადგან ასეთი ლოცვა ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა. ამის შესახებ არქიმანდრიტ სერაფიმეს (საუბარია სქემარქიმანდრიტ სერაფიმეზე (რომანცოვზე)) შეევეკითხე.

მან მიპასუხა, რომ „ფსკვნილმებრძოლეობა“ უცოდინრობისგან მოდის და დასძინა: მონასტრის მოძღვრებს მიაჩნდათ, რომ ერისკაცს „სკვნილზე“ მოძღვრისგან კურთხევა უნდა მიეღო, რადგან იესოს ლოცვას განსაკუთრებით პირველ ხანებში ხელმძღვანელობა და სწავლება სჭირდება; მისი აზრით, სკვნილის ტარება ადამიანისგან განუწყვეტლივ ლოცვით შრომას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლის სამსჯავროზე სკვნილი თავად ამხელს მას უდებებაში ან ფარისევლობაში. მამა სერაფიმე ამბობდა, რომ გლინის ბერები, თავიანთ სულიერ შვილებს სკვნილით ლოცვაზე კურთხევას აძლევდნენ, მაგრამ ღვთისმებრძოლი პერიოდის გამო სკვნილის ღიად ტარებას არ ურჩევდნენ. ერთი მოხუცებული მონოზონი მიყვებოდა, რომ მისი ბებია პალესტინაში იყო და იქიდან ხეზე ამოკვეთილი ქრისტეს შობის ხატი და ასევე ხისგან გაკეთებული, ლამაზი ჩუქურთმით დამშვენებული სკვნილი ჩამოიტანა. შემდეგში შვილებმა ეს სკვნილი გაინაწილეს, თითოს ოცი მძივის მარცვალი ერგო და იესოს ლოცვას ამით კითხულობდნენ. მან მითხრა, რომ ბეთლემელი არაბები ხატებისა და სკვნილების მოჩუქურთმების ხელოვნებით იყვნენ სახელგანთქმული. მომლოცველებს ბეთლემიდან ხშირად ჩამოჰქონდათ სკვნილები, რომლებიც მათ ოჯახებში, როგორც სიწმინდე ინახებოდა. მე მინახავს ძველ რუსეთში გავრცელებული, ტყვიისგან დამზადებული სკვნილები; მათ საეკლესიო სლავურ ენაზე კიბეს უწოდებდნენ, რადგან მასზე ლოცვას ადამიანის გონება მიწიდან ცისკენ აჰყავდა. კავკასიაში ქრისტიანების უმრავლესობა მუდმივად ატარებდა ქარვის სკვნილს. ეპისკოპოსებისა და თავადების სკვნილები სპილოს ძვლისა და ძვირფასი ქვებისგან იყო დამზადებული. როდესაც ეშმაკი დევნისა და ცილისწამებით ქრისტიანობას ვერ ამარცხებს, ცდილობს, ადამიანს შინაგანი სულიერი ცხოვრება წაართვას და მხოლოდ გარეგნული ქრისტიანობა დაუტოვოს. ამიტომაც მტერი იესოს ლოცვასა და ზიარებას აუმხედრდა, ბევრ ადამიანს, მათ შორის მღვდლებსაც კი, შთააგონა, რომ იესოს ლოცვა მხოლოდ ბერის საქმეა, ხოლო ხშირმა ზიარებამ, ადამიანს შეიძლება, მოწიწების გრძნობა დააკარგვინოს და ხიბლში ჩააგდოს.

როდესაც 60-იან წლებში სიღნაღში, წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში ვმსახურობდი, მოვინდომე მონახულება ხირსის მონასტრის, სადაც განისვენებს წმიდა იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე - წმიდა სტეფანე ხირსელი. სიღნაღთან ახლოს კახეთის პატარა სოფელში ერთი მღვდელი ცხოვრობდა. მას ტაძარში მსახურება აღარ შეეძლო, თავისთან სახლში ნათლავდა ბავშვებს, საკუთარ და მეზობელ სოფლებში მიცვალებულებს წესს უგებდა. სამწუხაროდ, მისი სახელი დამავიწყდა. ზოგჯერ ის ბოდბის მონასტერში მიდიოდა. გადავწყვიტე, მისთვის მეთხოვა, ხირსამდე გავეცილებინე და ეკლესიის მნესთან ერთად მის სოფელში გავემგზავრე.

მოხუცი მღვდელი მიტოვებულ, უკაცრიელ მონასტერში ჩვენთან ერთად წამოსვლაზე მაშინვე დაგვეთანხმა; როგორც მერე გავიგე, ამ მონასტერთან მისი ბავშვობა იყო დაკავშირებული. რევოლუციამდე ხირსის მონასტერთან სასულიერო სასწავლებელი არსებობდა. ოდესღაც აქ იყო სულიერების კერა, საიდანაც ქრისტიანობის ნათელი ჰერეთად წოდებულ საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებსა და აგრეთვე კავკასიის ალბანეთის დასავლეთ ნაწილში ვრცელდებოდა. ქართველების მიერ აშენებული ბევრი ძველი ტაძარი შემორჩენილია ჰერეთის ძველ ნაწილში-საინგილოში, აქ მცხოვრებმა ქართველებმა სპარსელების დამპყრობელი ომებისას მუსულმანობა მიიღეს, თუმცა ნაწილი დღემდე მართლმადიდებელი დარჩა, ისინი საუბრობენ ქართული ენის განსაკუთრებულ დიალექტზე, რომელმაც ბევრი ისტორიული არქაიზმი შეინარჩუნა. ეს რეგიონი გაქრისტიანდა ნაწილობრივ IV საუკუნეში, მეფე ბაქარის დროს, შემდეგ კი - VI-VII საუკუნეებში იოანე ზედაზნელის მოწაფეების მიერ. არაბთა ექსპანსიისა და ისლამის ძალადობრივად გავრცელების შემდეგ ეს კუთხე თავიდან მეფე დავით აღმაშენებელმა გაანთლა (XI-XII საუკუნეები). XIII საუკუნეში მისიონერული ნაშრომებით აქ სახელი გაითქვეს წმიდნებმა ანტონმა და პიმენმა.

XVIII საუკუნის შუაწლებში დიდმა განმანათლებელმა, მანგლისის მიტროპოლიტმა იოანემ, რომელსაც შეიძლება უკანასკნელი მოციქულთა სწორი მამა ვუწოდოთ, მონასტერი დააარსა, რომლის მთავარი მიზანი მუსულმან ინგილოთა გაქრისტიანება იყო.

ჩვენმა მეგზურმა გვიამბო, რომ ხირსის სასწავლებელი უფასო იყო. კვირაობით და საზეიმო დღეებში მოსწავლეები ყველა ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ; გალობდნენ, ზოგიერთი საკურთხეველშიც ემსახურებოდა. ლოცვით იწყებოდა და მთავრდებოდა დღე. დილისა და საღამოს ლოცვებს ხშირად ილუმენი ესწრებოდა. ლოცვას საუკეთესო მოსწავლე კითხულობდა, ეს ჯილდოდ ითვლებოდა. მონასტერში ასეთი ტრადიცია იყო: კელიებში წასვლის წინ ბერები ერთად იყრიდნენ თავს, ერთი იესოს ლოცვას კითხულობდა, დანარჩენები მდუმარედ უსმენდნენ, შემდეგ იშლებოდნენ. ბევრ მონასტერში ასეთი ტრადიცია იყო: ბერები ეკლესიაში იკრიბებოდნენ და ბინდბუნდში, რამდენიმე კანდელის შუქზე, იესოს ლოცვას კითხულობდნენ.

მღვდელმა გვიამბო, რომ ახალგაზრდობაში ბერობა უნდოდა, მაგრამ მშობლები წინააღმდეგი იყვნენ, იგი დაემორჩილა მათ და დაქორწინდა. შვილები შეეძინა და გადაწყვიტა, თავისი სახლი პატარა მონასტრის მსგავსად მოეწყო. საღამოობით მთელი ოჯახი ერთად ლოცულობდა. მან შვილებს ლოცვების კითხვა ასწავლა და მათ ლოცვას ახალისებდა, ამბობდა, რომ პატარა ბავშვებთან ერთად ლოცვა მონასტრის ლოცვის მსგავსად განსაკუთრებულ ნუგეშს აძლევდა; როგორც მონასტერში საღამოს ლოცვის შემდეგ, ბავშვები რიგრიგობით იესოს ლოცვას კითხულობდნენ. წმიდა ბასილი დიდის ცხოვრების აღწერაში წერია, რომ ლოცვას ჩვილობიდან ასწავლიდნენ. მე ვკითხე: რომელია ლოცვის აღვლენის შემდეგი პერიოდები?“. მან მითხრა: „ბევრი ბერი ლოცვის სუნთქვასთან შეერთებას ასწავლის. თავად სუნთქვა შინაგანი სკვნილივით ლოცვას გვახსენებს. მაგრამ შემდეგ, როდესაც გონება გულს უერთდება (ლოცვა თითქოს გულში „ჯდება“), მაშინ გონება სუნთქვას ყურადღებას აღარ აქცევს, ლოცვა უფრო გულის ცემისკენ არის მიმართული და მას ერწყმის; ამ დროს სუნთქვა თავისთავად იზღუდება; მაგრამ ესეც ლოცვის ბოლო ზღვარი კი არა, მხოლოდ საფეხურია“. მე ვკითხე: „მერე რა არის?“ - და გავიგონე პასუხი: „არ ვიცი; ბერებს ამაზე საუბარი არ უყვარდათ“. კვლავ ვკითხე: „შენი ლოცვა როგორ მიდის?“ მან მიპასუხა: „ჩემს ცოდვებს ვიხსენებ და ვთხოვ: „უფალო, შემიწყალე“ - აი, მთელი ჩემი ლოცვა. ზოგი ამბობს, ისე უნდა ილოცო, როგორც ბავშვი მამას სთხოვს, მე კი უფალს დახმარებასა და გადარჩენას, როგორც ჭაობიდან, ისე შევღაღადებ“. ერთი გამოცდილი ბერის სიტყვები მახსოვს: „სადაც სინანული არ არის, იქ არც იესოს ლოცვაა. იესოს ლოცვა ეს საკუთარ ცოდვებზე უწყვეტი შინაგანი ტირილია. ღმერთთან მიახლოვება მხოლოდ მონანიებით შეიძლება“.

წყარო: http://www.agmsarebeli.ge/#!

მირიამ სოლოლაშვილის მხატვრობა

დავიბადე 1961 წელს, თბილისში. პედაგოგების ოჯახში (დედით ებრაელი ვარ). დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფერწერის ფაკულტეტი. პარალელურად, ტექნიკური უნივერსიტეტი. ფერწერას გავდიოდი ლადო ასათიანის და გია ბუღაძის კლასში. შემდეგ დავოჯახდი. ამჟამად ვცხოვრობთ ისრაელის ცენტრში, ქალაქ ხოლონში, თელ-ავივთან ახლოს. ივრითის შესწავლასთან ერთად სავაჭრო ცენტრში მენეჯერად მოვეწყვე.

პერსონალური გამოფენა თელ-ავივის ფეშენ რაიონში, სასტუმროების და სანაპირო ცენტრში, ჯგუფური გამოფენები თელ ავივის მთავარ თეატრში- „აბიმა“, ასევე გამოფენები- ქ.აშდოდში, ბათ-იამში. ვმუშაობ ზეთის საღებავით, ტილოზე. დავდივარ თელ-ავივში, მხიბლავს, კაფეების ინტერიერი, ადამიანები, მათი ფიქრების გამოცნობას ვსურვილობ. მაქვს კაფეების სერია. სამხრეთ ისრაელში ბედუინების ყოფა მომწონს, ერთი შეხედვით ეგზოტიკა, რომელიც უამრავ ისტორიას იტევს. კაბალის მეცნიერება ამოუწურავია, პერიოდულად ვუსმენ პროფესორ მიხეილ ლაიტმანის ლექციებს. ვხატავ კაბალისტურ თემებს, წმინდა ადგილებს, ვცდილობ სამი კონფესიის თავშეყრას...

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

რედაქტორი ლეილა ცომაია
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli. webs. com***
ელ. ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo. com***